ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 19 ნოემბერი, 2009 №299 (5040) ფასი: 30 თეთრი

## „რესპუბლიკური საავადმყოფო“ 12 მილიონად შეფასდა



გვ.2

# გამსახურდიას მკვლელობაში დიდი ფულია გადახდილი



გვ.6

## ლარსის გახსნა ყაზბეგს დაგვაკარგვინებს

ექსპერტები ხელისუფლებას რუსეთთან საზღვრის გახსნას არ ურჩევენ



გვ.5

## სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არჩევნები არ ჩატარებულა



გვ.3

## რაზე ევაჭრებოდა ლორთქიფანიძე თორთლაძე-დავითაიას?



გვ.2

## „ჯოზეფ ქეი ცდილობს, შავი ლაქა მოგვაცხოს“



გვ.4

ნანა პატარკაციშვილი: „ჩვენსა და ინას შორის ურთიერთობები ისევ ისეთი თბილია, როგორც ყოველთვის იყო“

## კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს არ ტოვებს

გვ.5



გვ.7

## დუდაევის ქვრივი საქართველოს მოქალაქეობას ელოდება

რატომ წავიდა ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი საბჭოთა არმიაში

## აფხაზები ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვენ



გვ.6



## შალამბერიძემ ცესკო-ს დაკომპლექტების ახალი მეთოდი მოიფიქრა

გვ.3

**2** მერაბიშვილი ალასანიას დანაპირებს უსრულებს

**8** გალაკტიონის უცნობი ნახატები საჯაროდ გამოიფინა

**2** უკრაინა საქართველოს იარაღს უკანონოდ არ აწვდის

**7** კოდორიდან რუსებს ინერტული მასალა გააქვთ





# რაზე ევაჭრებოდა ლორთქიფანიძე თორთლაძე-დავითაიას?

ნანა მიშელაშვილი

**დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე გია თორთლაძის ფრაქციის დატოვებას არ აპირებს. მან მართალია პარტია „ჩვენ თვითონ“ დატოვა, მაგრამ ფრაქციას არ ტოვებს. ლორთქიფანიძე ამბობს, რომ დავითაიასთან ერთ ფრაქციაში და საპარლამენტო უმცირესობაში რჩება.**

**რატომ დარჩა ფრაქციაში ლორთქიფანიძე? ვაჭრობდა თუ არა ის რაიმე საკითხზე გია თორთლაძესთან და პაატა დავითაიასთან? განაწყენდა თუ არა ლორთქიფანიძე პაატა დავითაიაზე?**

**„ახალი თაობა“ დიმიტრი ლორთქიფანიძეს ესაუბრა:**

*— თქვენ დატოვეთ პაატა დავითაიას პარტია და დარჩით გია თორთლაძის ფრაქციაში. რატომ წახვედით პარტიიდან? რაიმე შეუთანხმებლობა გქონდათ დავითაიასთან?*

— პარტიაში ჩემი მარგი ქმედების კოეფიციენტი ძალიან დაბალი იყო.

*— რატომ?*

— პარტიას, როგორც პოლიტიკურ, ცოცხალ ორგანიზმს ვერ ვიყენებდი იმ ინიციატივების განხორციელების საქმეში, რომელსაც მე ვსვამდი. თუ რატომ, ეს თავად პოლიტიკური ორგანიზაციის აქტივობაზეა დამოკიდებული.

*— ანუ პარტია არ იყო აქტიური?*

— ჩემი აზრით, ის პასუხისმგებლობა, რომელიც პიროვნულად ჩემ წინაშე იდგა, პარტიისთვის თავს არ უნდა მომეხვია. აღარ ჩავთვალე თავი საჭიროდ, რომ პარტიაში ვყოფილიყავი.

*— ე.ი. პარტია პოლიტიკურად არ გაძლევდა არაფერს?*

— რა თქმა უნდა, პარტია არ მაძლევდა იმ აუცილებელ ბაზას, რომელზეც ზედნაშენი უნდა ამეგო.

*— პაატა დავითაიასთან ურთიერთობა გაწყვიტეთ თუ არა?*

— რაც შეეხება პაატა დავითაიასთან ურთიერთობას, ჩვენ ვრჩებით ერთ ფრაქციაში, უმცირესობაში და ეს არ გამორიცხავს გარკვეულ ეტაპზე მასთან თანამშრომლობას. თუმცა, ჩემთვის მისაღები გადაწყვეტილებები ჩემ მიერ იქნება მიღებული, ჩემი პირადი პასუხისმგებლობით.

*— როდესაც ადამიანი პარტიიდან მიდის, ბუნებრივად იბადება კითხვა, არის თუ არა უთანხმოება პარტიის ლიდერთან, ამ შემთხვევაში პაატა დავითაიასთან?*

— ზოგადად არსებობს პიროვნული უთანხმოება, პოლიტიკურ შეხედულებებს შორის უთანხმოება, ასევე არსებობს პოლიტიკური აქტივობის ვერგანხორციელებიდან გამომდინარე უთანხმოება. ეს უკავშირდება იმას, რომ ის პოლიტიკური მოსაზრებები, რომლის რეალიზებასაც მომავალში ვაპირებ, თანხვედრი არ არის პარტიის დღევანდელ პოზიციასთან. ეს არის ჩემი სუბიექტური შეხედულება.



ჩემთვის ალიან მნიშვნელოვანია, მქონდეს ტრიბუნა

*— ამ დღეებში თქვენ პაატა დავითაიას დახურულ კარს მიღმა შეხვდით. რაზე საუბრობდით? წინასწარ აცნობეთ თუ არა, რომ პარტიას ტოვებდით?*

— რა თქმა უნდა, მე პაატა დავითაიასთან საუბარი მქონდა. ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უკავშირდება ჩემს მომავალს პოლიტიკაში, არ უნდა იყოს დამალული და მოულოდნელობით აღსავსე. ბატონ დავითაიასთან ამ თემაზე მქონდა საუბარი და ჩემი შეხედულებების შესახებ მას ვუთხარი. ეს გადაწყვეტილება ჩემგან ერთპიროვნულად იყო მიღებული. ეს არ უკავშირდება სხვა რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაში გადასვლას. ეს ამ ეტაპზე უკავშირდება ჩემი დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლებას.

*— თქვენ რჩებით ფრაქცია „ძლიერ საქართველოში“. ამ ფრაქციის თავმჯდომარე გია თორთლაძესთან თქვენ ასევე შეხვედრა გქონდათ. ამბობენ, რომ გარკვეული მოლაპარაკება გქონდათ იმაზე, რომ ფრაქციიდან არ წასულიყავით. მართლა ასე იყო?*

— მე ჩემი პოზიცია გამოვხატე ბატონ გია თორთლაძესთან, ამას არც ვმალავ. ნებისმიერ საკანონმდებლო ინიციატივას, რომელსაც პირადად წარმოვადგენ, ფრაქციის ხელმძღვანელის დონეზე უნდა იქნეს მხარდაჭერილი.

*— ამას შეგპირდა თორთლაძე, რომ ასე იქნება?*

— დიახ, შემპირდა.

*— ამის გამო დარჩით ფრაქციაში?*

— დიახ. იმიტომ, რომ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია მქონდეს ტრიბუნა, ეს ტრუბუნა არის ფრაქციის დონეზე, ვინაიდან ფრაქცია არის მთავარი შემადგენელი საპარლამენტო ცხოვრების. თუ ფრაქციაში არ ხარ და დამოუკიდებელ რეჟიმში საქმიანობ, ეს გარკვეულ უფლებებს გაძლევს, მაგრამ არა იმხელა ბერკეტებს, რასაც ფრაქცია. არსებობს მთელი რიგი ინიციატივები, რომელსაც ფრაქციის გარეშე ვერ წარმოადგენ. ეს არ არის ულტიმატუმი, მე ვიკითხე და ამომწურავი პასუხი მივიღე, რომ ჩემი ინიციატივები ფრაქციის მიერ მხარდაჭერილი იქნება.

*— თუ თქვენი ინიციატივები გია თორთლაძის მიერ მხარდაჭერილი არ იქნება, ასეთ შემთხვევაში ფრაქციიდან წასვლაზეც იფიქრებთ?*

— რა თქმა უნდა, ვიფიქრებ ფრაქციიდან წასვლაზეც. პანაცეა არ არის ფრაქციაში ყოფნა, ჩემთვის ფრაქცია ეს არის ხალხის მხარდაჭერა.

*— პარლამენტში ხმები ვრცელდება, რომ თქვენ ფრაქციიდან თანამდებობების გამო არ წახვედით. კერძოდ, ფრაქციის კვოტით თქვენ გიკავიათ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტი, ასევე ხართ ე.წ. უდოს კომისიის წევრი. მართალია?*

— არც ერთი თანამდებობა არ არის ზედმეტად ანაზღაურებადი, ანუ ამაში მე ხელფასს ცალკე არ ვიღებ. მონაწილეობის მიღება მიწევს ე.წ. უდოს კომისიაში, ასევე კომიტეტში არსებულ პენიტენციალური სისტემის მუდმივმოქმედ კომისიაში, რაც მავალებს, რომ პასუხისმგებლობა, რომელიც ამ კომისიებში მუშაობის დროს ავიღე, ბოლომდე მივიყვანო. იქედან წამოსვლაზე ადვილი ჩემთვის არაფერი არ არის, მაგრამ ის პასუხისმგებლობა, რომელიც ავიღე, მათ შორის იმ პატიმართა ოჯახის წევრების წინაშე, რომლებიც ყოველ ორშაბათს ჩემთან მოდიან, მავალებს, რომ ფრაქციაში და კომიტეტში ყოფნის გზით მათი კანონიერი ინტერესები დავაკმაყოფილო.

*— ასეთი ინფორმაციაც გავრცელდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ფრაქციიდან წახვიდოდით და ფრაქცია დაიშლებოდა, პაატა დავითაია ვიცე-სპიკერის პოსტს დაკარგავდა. ანუ თქვენ გარკვეულწილად ვაჭრობდით როგორც თორთლაძესთან, ასევე დავითაიასთან?*

— არა, არანაირ ვაჭრობას ადგილი არ ჰქონია. მარტივად გეტყვით, ჩემი ცნობილი განცხადების შემდეგ გია თორთლაძემ მალევე გააკეთა განცხადება, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა დამოუკიდებელ დეპუტატ რამაზ თედორაძესთან. ჩემი ინფორმაციით, თედორაძე ნამდვილად აპირებს „ძლიერ საქართველოში“ შემოსვლას. ასე რომ, 6 დეპუტატი ფრაქციაში იქნებოდა და ფრაქცია არ დაიშლებოდა. ჩემი გასვლა-არგასვლა ბატონ პაატა დავითაიას პრობლემას არ შეუქმნიდა ვიცე-სპიკერის პოსტი შეენარჩუნებინა. ასე რომ, ეს ვერსია ჭორად დარჩება და მას არავითარი კავშირი სიმართლესთან არა აქვს.

*— ბოლო პერიოდში საუბრობენ იმაზეც, რომ პარლამენტში შესაძლოა ახალი ფრაქცია შეიქმნას. მომავალში ახალ ფრაქციაში ხომ არ გადახვალთ?*

— ახალი ფრაქციის რესურსი არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ რაოდენობრივ შემადგენელზე, ხარისხობრივზე უნდა იყოს დამოკიდებელი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ახალი ფრაქციის შექმნის საკითხში ხარისხობრივ მდგენელს ვერ ვხედავ.

*— ახლო მომავალში შესაძლოა რომელიმე პარტიაში გიხილოთ?*

— პოლიტიკოსის ცხოვრებაში გამორიცხული არაფერი არ არის. დეპუტატი უნდა ცდილობდეს მონახოს ის პოზიცია, საიდანაც ყველაზე უფრო აქტიური იქნება საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის.

*— პირდაპირ მიპასუხეთ, ქრისტიან-დემოკრატებთან აწარმოებდით თუ არა მოლაპარაკებას მათ ფრაქციაში და პარტიაში გაწევრიანებაზე?*

— არა. ქრისტიან-დემოკრატები კარგად შეკრული პოლიტიკური ორგანიზმია, რომელიც მიზანმიმართულად ახორციელებენ იმ ამოცანებს, რომელსაც ისახავენ. მათ მიმართ დიდი სიმპათიების მიუხედავად, ჩემთვის ამ ეტაპზე საჭიროა თავისუფლების მეტი ხარისხის მოპოვება.

*— არადა ამბობენ, რომ თავად ქრისტიან-დემოკრატებმა გითხრეს უარი ფრაქციასა და პარტიაში შესვლაზე?*

— არა, არა, ასეთი რამ ნამდვილად არ ყოფილა. არც შეთავაზება ყოფილა და არც ამ საკითხის განხილვა. რაც არ ყოფილა, იმას ვერ დავადასტურებ. თუ მომავალში ჩვენ შორის რაიმე მოლაპარაკებას ექნება ადგილი, არც ეს იქნება საზოგადოებისთვის დამალული.

## საქართველოსა და კოსტა რიკას შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

კოსტა რიკის დედაქალაქ სან ხოსეში, პოლიტიკური კონსულტაციების ფარგლებში, გაიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ნალბანდოვის შეხვედრები კოსტა რიკის საგარეო საქმეთა და კულტურის, საგარეო ვაჭრობის, ტურიზმის განვითარებისა და კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროების მაღალი დონის წარმომადგენლებთან.

ქართული მხრიდან შეხვედრებში ასევე მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის დეპარტამენტის დირექტორი ოთარ ბერძენიშვილი, პოლიტიკური დეპარტამენტოს დირექტორის მოადგილე თეიმურაზ კეკელიძე და ამერიკის დეპარტამენტის ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის სამმართველოს მრჩეველი ზურაბ მჭედლიშვილი.

შეხვედრების ძირითად მიზანს წარმოადგენდა საქართველოსა და კოსტა რიკის რესპუბლიკას შორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების განხილვა და კონკრეტული სფეროებისა და მიმართულებების განსაზღვრა.

ვიზიტის მსვლელობისას ხელი მოეწერა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს და კოსტა რიკის საგარეო საქმეთა და კულტურის სამინისტროს შორის თანამშრომლობის მემორანდუმს.

**მედიანიუსი**

## უკრაინა საქართველოს იარაღს უკანონოდ არ აწვდის

უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშჩენკოს განცხადებით, უკრაინა საქართველოს შეიარაღებას უკანონოდ არ აწვდის.

— რაშია ჩვენი დანაშაული? იმაში, რომ ჯერ მოსკოვს არ ვკითხეთ, თუ რითი გვევაჭრა? ჩვენ ვასრულებთ ყველა საერთაშორისო ვალდებულებას და ამ ბაზარზე ვმუშაობთ ღიად, პატიოსნად და ყოველგვარი ფარული ვარიანტების გარეშე, — ამბობს იუშჩენკო.

მისი თქმით, უკრაინას საქართველოსთან ისეთივე ურთიერთობა აქვს, როგორ რუსეთს შეიარაღების ბაზრის ათეულობით მომხმარებელთან.

— რუსულ მხარე ერთი კონკრეტული პრეტენზიაც რომ ჰქონდეს, ის უკვე ასჯერ მოსდებდა ამ პრეტენზიას მსოფლიოს, — აცხადებს უკრაინის პირველი პირი.

**მედიანიუსი**

## რუსები ოკუპირებულ ტერიტორიებზე განლაგებულ სამხედრო ბაზებს შენიღბავენ

როგორც „მედიანიუსს“ ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა აფხაზეთში და რუსეთში განლაგებული სამხედრო ბაზების შენიღბვის ბრძანება გამოსცა.

კერძოდ, მაკაროვის ბრძანებით, 2010 წლის თებერვლამდე სრულად უნდა შეინიღბოს გუდაუთის, ოჩამჩირის, ჯავისა და ცხინვალის სამხედრო ბაზები.

ინფორმირებული წყაროს თქმით, რუსული მხარის ეს გადაწყვეტილება უკავშირდება ევროკავშირის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც, ევროპული ხელოვნური თანამგზავრები ოკუპირებულ ტერიტორიებზე სატელიტურ გადაღებას განახორციელებენ.

რუსული მხარე ხელოვნური თანამგზავრების შეცდომაში შესაყვანად, სოფელ ლაბრასთან ფსევდო ბაზის მაკეტს ააგებს.

**მედიანიუსი**

## აფხაზეთში ბელორუსი დეპუტატები ჩავიდნენ

აფხაზეთში ბელორუსი დეპუტატების დელეგაცია იმყოფება. ამის შესახებ საინფორმაციო სააგენტო „აპსნი პრესი“ იუწყება.

ბელორუსი პარლამენტარები აფხაზეთის ე.წ. სახალხო კრების წევრებს და სპიკერს ნუგზარ აშუბას შეხვდებიან. ამის შემდეგ კი გაიმართება შეხვედრები ე.წ. მინისტრთა კაბინეტის წევრებთან, ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასთან და ე.წ. თავდაცვის მინისტრ მერაბ ქიშმარიასთან.

საღამოს კი ბელორუსი პარლამენტარების დელეგაციას სოხუმის რეჟიმის ლიდერი სერგეი ბაღაფში მიიღებს.

ბელორუსული დელეგაცია აფხაზეთის უნივერსიტეტს ესტუმრება, ასევე შეხვდებიან აფხაზური ეკლესიის ე.წ. წინამძღოლს ბესარიონ აპლიას. ხვალვე დეპუტატები ახალ ათონს დაათვალიერებენ.

დელეგაცია აფხაზეთს 20 ნოემბერს დატოვებს.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები**: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.**
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**E-mail: axtaoba@mail.ru**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# შალამბერიძემ ცესკო-ს დაკომპლექტების ახალი მეთოდი მოიფიქრა



ყოფილი დეპუტატი ალექსანდრე შალამბერიძე ხელისუფლებას და ოპოზიციას ცესკო-ს დაკომპლექტების მისეული პრინციპს სთავაზობს.

როგორც ალექსანდრე შალამბერიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ცესკო 7 წევრით იმ პარტიების წარმომადგენლებისაგან უნდა დაკომპლექტდეს, რომლებმაც ბოლო არჩევნებზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

მისი თქმით, ყველა დონის საარჩევნო კომისიის წევრები უნდა დაინიშნონ პარიტეტულ საწყისებზე, პრინციპით „ერთი პარტია-ერთი ხმა“.

— თუ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი, კვლავ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის სასარგებლოდ დარჩა, გაიმარჯვებს სააკაშვილი, ვინაიდან დისკრიმინაციული და ცინიკური პრინციპი — „მთავარია ვინ ატარებს არჩევნებს“, ძალაში დარჩება, — აღნიშნა შალამბერიძემ.

ყოფილი დეპუტატი ხაზს უსვამს, რომ ყოველი სახელისუფლებო არჩევნები ახალი ეტაპია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საზოგადოებასა და მათი პოლიტიკური ნების გამომხატველ პარტიებს სასტარტო პირობები თანაბარი უნდა ჰქონდეთ.ყოფილი „ნაციონალის“ განცხადებით, რადგან პრეზიდენტი იმავდროულად ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეცაა, ანუ მიკერძოებული საკუთარი გუნდის მიმართ, ის ყოველთვის მისწრაფებული იქნება მისი პოლიტიკური ორგანიზაციის სასარგებლოდ დააკომპლექტოს საარჩევნო კომისიები.

— დღეს ყველას ამოცანაა მოვიპოვოთ სამართლიანი არჩევნების ჩატარების უფლება, რომელიც, ძალით მისაკუთრებული აქვს ერთ პარტიას და ნებით მის დათმობას არ აპირებს. საჭიროა, ჩვენი ძალისხმევა მივმართოთ კონკრეტულად ამ უფლების ხელში ასაღებად, საიდანაც სათავეს იღებს ჩვენი ძირითადი უფლებების დაცვისათვის ბრძოლა,— განაცხადა შალამბერიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

# ჩეჩენი ლტოლვილები პანკისში ჩასულ რუს ჟურნალისტს არ შეხვდნენ

პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩნეთიდან ლტოლვილებმა ხეობაში ჩასულ რუს ჟურნალისტთან, იულია ლატინინასთან შეხვედრა არ ისურვეს. როგორც ლტოლვილებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, ისინი ლატინინას არ ენდობიან.

ლატინინასთან ერთად ხეობაში რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე თევდორაძე და ამავე სამინისტროს მთავარი სპეციალისტი მექა ხანგოშვილიც იმყოფებოდნენ. ხეობაში ჩასულ სტუმრებს მხოლოდ რამდენიმე ადამიანი შეხვდა, თუმცა ლტოლვილებმა რუსი ჟურნალისტის შეკითხვებს არ უპასუხეს.

პანკისის ხეობის შემდეგ იულია ლატინინა და რეინტეგრაციის სამინისტროს წარმომადგენლები ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანში ჩავიდნენ, სადაც ოსები ცხოვრობენ. შეხვედრაზე იქაც რამდენიმე ადამიანი მივიდა.

**მედიანიუსი**

# 6 კილომეტრიანი გზის დასაგებად საქართველო 118 მილიონიან სესხს აიღებს

საქართველო მორიგ საგარეო სესხს იღებს — ამჯერად თანხის აღება აჭარაში ექვს კილომეტრიანი გზის დასაგებად გადაწყდა. პარლამენტმა ქობულეთის ახალი შემოვლითი გზისა და ქობულეთსა და ბათუმს შორის გზის რეკონსტრუქცია — მშენებლობისთვის 118-მილიონი დოლარის სესხის აღებაზე თანხმობა გასცა. — იუწყება რადიო „კომერსანტი.“

თანხას საქართველო აზიის განვითარების ბანკისგან იღებს. სამშენებლო სამუშაოების დაწყება 2010 წლის მეორე კვარტლისთვის არის დაგეგმილი, ხოლო დასრულება 2013 წლისთვისაა ნავარაუდევი. ამ თანხის განკარგვას რეგიონული განვითარებისა და ინფრასრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი მოახდენს.

დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტმა საგზაო დეპარტამენტისაგან ხსენებული თანხის საჭიროების დოკუმენტური დასაბუთება და დეტალური ხარჯთაღრიცხვა ჯერ კიდევ ოქტომბრის დასაწყისში მოითხოვა, თუმცა საგზაო დეპარტამენტს ეს დოკუმენტაცია ამ დრომდე არ წარუდგენია. თუმცა მიუხედავად ამისა, როგორც კომიტეტში აცხადებენ, პარლამენტი გზების დაგების პროცესს ვერ შეაფერხებს, რადგან ინფრასტრუქტურაში ჩადებული ფული ეკონომიკაში ჩაბრუნებული ფულია. ეს კი კომიტეტის წარმომადგენელთა განცხადებით პოსტკრიზისულ პერიოდში ქვეყნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს საგარეო ვალი 33 პროცენტით გაიზარდა და დღეისათვის 5 მილიარდ 586 მილიონ ლარს აღემატება.

**მედიანიუსი**

# ცხინვალში უშიშროების საბჭოს სხდომა გაიმართა

გუშინ ცხინვალის მარიონეტულმა რეჟიმმა ე.წ. უშიშროების საბჭოს სხდომა გამართა, რომელსაც რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იური ზუბაკოვი დაესწრო. სხდომას ედუარდ კოკოითი ხელმძღვანელობდა.

ადგილობრივი წყაროების ინფორმაციით, მხარეებმა უსაფრთხოებისა და ოპერატიული მდგომარეობის საკითხები განიხილეს.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არჩევნები არ ჩატარებულა

შორენა კოწოწაშვილი



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით ყველა პოლიტიკური ძალის პოზიცია ცნობილია, თუმცა, ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რამდენი კანდიდატი ეყოლება ოპოზიციას თბილისის მერის პოსტზე და რამდენად გავლენიანი კანდიდატურებით შეეცდება ოპოზიცია ხელისუფლებასთან არჩევნების გზით დაპირისპირებას. ამ ეტაპისთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თბილისის მერობისთვის ბრძოლას ლეიბორისტული პარტია არ აპირებს და შესაბამისად, არც კანდიდატურას დაასახელებს.

ლეიბორისტული პარტიის ლიდერები მიჩნევენ, რომ სააკაშვილის რეჟიმი არჩევნებს არ ჩაატარებს და ის მაინც იმ შედეგს დადებს, რომელიც სააკაშვილს აწყობს. აქედან გამომდინარე, შალვა ნათელაშვილი და მისი თანაგუნდელები მიიჩნევენ, რომ არჩევნებში მონაწილეობა სააკაშვილის თამაშში ჩაბმაა და მისთვის დემოკრატიული მმართველის იმიჯის შექმნა.

როგორ აფასებს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას ლეიბორისტული შრომის პარტია, რა რეიტინგი აქვს, რატომ არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობას და რატომ არის გიგი უგულავა კრიმინალი? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკური მდივანი **გიორგი გუგავა** საუბრობს.

***— ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, ის პროცესი, რომელიც ადგილობრივ არჩევნებთან მიმართებაში მიმდინარეობს, სააკაშვილის შემოგდებული თემაა, თუ მართლა გადაწყვიტა სააკაშვილმა დემოკრატიული არჩევნების ჩატარება?***

— სააკაშვილი დემოკრატი მმართველი ვერასოდეს გახდება. მისი ყოველი მოქმედება, ანუ რეჟიმის მიზანი არის ერთი — შეინარჩუნოს ძალაუფლება. სააკაშვილი, ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით, ცდილობს შეფუთოს ძალაუფლების შენარჩუნების მეთოდიკა. ამის ერთ-ერთი საშუალება არის ე.წ. არჩევნები. საქართველოში არჩევნები არ ტარდება. ჩვენ ამის მოწმენი და ხელოვნური ციფრების გამოყვანის მომსწრე არაერთხელ გავხდით სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ქვეყანაში არჩევნები ფაქტობრივად არ ჩატარებულა. იგივე ხასიათის იქნება ის ე.წ. თვითმმართველობის არჩევნები, სადაც უკვე წინასწარ განსაზღვრულია, ვინ დაინიშნება ქალაქის მერად.

წინასწარგანსაზღვრულია როლები როგორც სახელისუფლო პარტიის მხრიდან, ასევე ე.წ. ოპოზიციის იმ ნაწილის მხრიდან, რომელიც თავქუდმოგლეჯილი გარბის არჩევნებში და ქმნის იმის ილუზიას, რომ სააკაშვილს თბილისის მერის პოსტს გამოსტაცებს. პირიქით, მათი ფუნქცია ამ არჩევნებში არის ის, რომ ამ არჩევნებს შეუქმნან დემოკრატიულობის იმიჯი; შექმნან მრავალპარტიული პოლიტიკური ჭიდილის ფონი, რათა შემდგომ სააკაშვილმა უცხოელების თვალში დაიტრაბახოს იმით, რომ მრავალკანდიდატსა და მრავალპარტიას შორის ჭიდილში გაიმარჯვა ღირსეულმა ძალამ — სახელისუფლო კანდიდატმა.

***— ის პოლიტიკური ძალები, რომლებიც მზადყოფნას გამოთქვამენ ადგილობრივ არჩევნებში მიიღონ მონაწილეობა, რეალურად სააკაშვილს თამაშს თამაშობენ?***

— მე გეუბნებით სიტუაციას: სააკაშვილი ამ ქვეყანაში არჩევნებს არ ატარებს. რეჟიმი ამას არ დაუშვებს. ჩვენ უკვე ვნახეთ ადგილობრივი არჩევნების სააკაშვილის ხელში, ვნახეთ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. ყველა ეს არჩევნები იქნა ტოტალურად გაყალბებული. გამოყენებულ იქნა ძალადობა, მოსყიდვა, შანტაჟი, ციფრებით მანიპულირება. მოხდა არჩევნებში მძევლების და პატიმრების გამოყენება, როდესაც ხელმოწერებს აგროვებინებდნენ ნაციონალური მოძრაობის სასარგებლოდ პატიმრების განთავისუფლების მიზნით. აქედან გამომდინარე, თუ იმაში დარწმუნებული ხარ, რომ რეჟიმი ამას არ დაუშვებს და არჩევნებს აუცილებლად გააყალბებს, მოახდენს დანიშვნას და წინასწარ იცი, რომ წაგებულ თამაშში შედიხარ, მაშინ რა არის შენი როლი? შენი როლი არის ამ თამაშში ის, რომ შეეცადო ფასადური როლი შეასრულო ამ პროცესში; ან შეასრულო სპექტაკლში დეკორაციის როლი, რომ სააკაშვილმა უცხოეთის თვალში ისე წარმოაჩინოს, რომ აქ დემოკრატიული პროცესი მიდის.

***— ფიქრობთ, რომ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით გარკვეულ გარიგებას აქვს ადგილი?***

— მეტ-ნაკლებად. თავისუფალ არჩევნებს სჭირდება მინიმუმ სამი პირობა. პირველი — საარჩევნო კოდექსი, რომლის თანახმად საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტებული იქნება პარიტეტულ საწყისებზე; მეორე აუცილებელი პირობაა თავისუფალი სასამართლო; და მესამე — თავისუფალი მასმედია. არც ერთი ეს პირობა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს. მე არაფერს ვამბობ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაზე, „შავ ფულზე“, რომელიც არჩევნებს ხმარდება. არაფერს ვამბობ ძალადობაზე, რომელსაც პოლიცია ახორციელებს. პრაქტიკულად ნაცმოძრაობის შტაბადაა ქცეული ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ყველა საბიუჯეტო ორგანიზაცია. საბავშვო ბაღებამდე დავიდნენ და კომისრები ჰყავთ ის დანიშნული. არც ერთი ეს პირობა არ არსებობს, რათა მეტ-ნაკლებად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. ზემოთ გითხარით, როგორი გამოცდილება გვაქვს ამათ მიერ ჩატარებული არჩევნების შესახებ. მაშინ, რატომ ვიქმნით იმის ილუზიას, რომ შესაძლებელია თავისუფალი არჩევნების პირობებში თბილისის მერის პოსტი ვითომდა წაართავს ხელისუფლებას ოპოზიციას. რას ნიშნავს ეს? — ან პოლიტიკურ სიბეცეს ნიშნავს, ან ნიშნავს იმას, რომ მიზანმიმართულად, შეგნებულად თამაშობ სააკაშვილის თამაშს. ხშირ შემთხვევაში, ზოგ-ზოგიერთი ოპოზიციონერები უფრო დიდ საქმეს უკეთებენ სააკაშვილს, ვიდრე მთელი ნაციონალური მოძრაობა. ამის დასტურად ერთ მარტივ მაგალითს მოგიყვანთ. როდესაც საქართველოში ევროკავშირის ელჩები იმყოფებოდნენ, მათ დასანახად ოპოზიციადწოდებულმა ზოგიერთმა სუბიექტმა ზარ-ზეიმით გამოაცხადა, რომ თითქოს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მიაღწიეს უზარმაზარ შეთანხმებას. შემდგომ უშიშროების საბჭოზე მისვლით სააკაშვილის მოწყობილ მაგიდაზე წინა სხდომით შემდგომ რომ გააფორმეს და გამოაცხადეს, რომ ჩვენ შეთანხმებას მივაღწიეთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხთან დაკავშირებით, ეს სცენა და წარმოდგენა მხოლოდ ევროპელი ელჩებისთვის დაიდგა. ამით უნდოდათ ეჩვენებინათ, რომ სააკაშვილი არის დემოკრატი მმართველი. რომ მას შეუძლია წავიდეს დათმობაზე და ამ გზით საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით ოპოზიციასთან შეთანხმებას მიაღწიოს. ამით სააკაშვილი ცდილობს ისე წარმოაჩინოს, რომ ვითომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებში ოპოზიციაც ჰყავს ჩართული და ის ერთმმართველი არ არის. ეს პიარი რომ შეექმნათ და მიეწოდებინათ აქ ჩამოსული ევროკავშირის ელჩებისთვის, ამიტომ მოხდა ამ წარმოდგენის დადგმა. ამას სააკაშვილი ვერ გაუკეთებდა მთელი ნაციონალური მოძრაობა ერთად აღებული. მართალია ყორანი არ გათეთრდება, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის გათეთრება ოპოზიციადწოდებულმა ძალებმა დაიწყეს.

***— საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით მიღწეულ შეთანხმებაზე რა აზრის ხართ და 30%-იან ბარიერზე?***

— გვეუბნებიან, რომ არჩევნებში მონაწილე პარტიებს თითო წევრი კი არ ეყოლება კომისიაში, არამედ უმრავლესობა ნაციონალურ მოძრაობას ეყოლება და დანარჩენს გაინაწილებენ ის პარტიები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ასევე ნაციონალური მოძრაობის დანამატს წარმოადგენენ. ასეთ ფონზე რა არჩევნები უნდა ჩატარდეს?! თურმე შეთანხმებას მიაღწიეს 30%-იან ბარიერზე. ეს 30% ზუსტად ის პოცენტია, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო საპარლამენტო არჩევნებში და საპრეზიდენტო არჩევნებში თბილისში. 30% ზუსტად ის პროცენტია, რომელიც უზრუნველყოფს გიგი უგულავას მერად დანიშვნას. ამ შეთანხმებას მიაღწიეს და ეს არის დემოკრატიული შეთანხმება? და თურმე ხელისუფლება რაღაც დათმობებზე წავიდა? ასე წარმოაჩინეს და ამით საკუთარ მოქალაქეებს თვალში ნაცარი შეაყარეს. უცხოელებსაც ხომ მიჰყიდეს თავიანთი პოლიტიკური პროდუქტი, რომ აი, რა დემოკრატიული პროცესი მიმდინარეობს ქვეყანაში. ჩვენი, საზოგადოების უპირველესი ამოცანაა, თეთრის და შავის გარჩევა ვისწავლოთ. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ქვეყნის გადარჩენის და რეჟიმისგან განთავისუფლების ერთადერთი გზა არის ის გზა, რომელსაც ლეიბორისტული პარტია და მისი ლიდერი სთავაზობს.

***— „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერები 50%-იან ბარიერს მოითხოვდნენ და წინააღმდეგ შემთხვევაში არჩევნებში არმონაწილეობას არ გამორიცხავდნენ...***

— 50%-იანი ბარიერი არ იქნება. მარტივი შეფასებაა საჭირო იმისათვის, რათა დარწმუნდე, რომ ეს ხელისუფლება არაფერს არ დათმობს. ყველაფერს გააკეთებს ისე, რომ უზრუნველყოს სისხლიანი რეჟიმის მმართველობის გაგრძელება საქართველოში. ტელევიზიები კი არ განთავისუფლდა სახელისუფლო წნეხისაგან, არხები დაამატეს და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ყველა უწყებას თავისი ტელევიზია აქვს. კანცელარიას თავის ტელევიზია აქვს, პარლამენტს — თავისი, თავდაცვის სამინისტროს — თავისი, უშიშროების სამინისტროს — თავისი. სადმე შენიშნეთ, რომ ლიბერალიზაცია მოხდა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე თოქშოუები გაიხსნა. გაიხსნა ოპოზიციისთვის ტრიბუნა. თუ სიუჟეტების ხასიათი შეიცვალა? ყველა ტელესიუჟეტს, ფაქტობრივად, ერთი რეჟისორი ჰყავს. ყველა ინფორმაცია იწყება იმით, რა მზრუნველი ხელისუფლებაა და რა ცუდია ოპოზიცია. ამ პირობებში შენ სააკაშვილს არჩევნებს მოუგებ? თარხნიშვილი გაუშვეს, დიდი გამარჯვებაა. თარხნიშვილის ჩატარებული არჩევნების, პირიქით, ხელისუფლების დისკრედიტაცია იქნებოდა. მერე რა, აგერ ნახავთ, რა უფრო მოიყვანენ ახალ თარხნიშვილს. გადახედეთ, როგორ ცხოვრობენ დღეს ცესკოს ყოფილი თავმჯდომარეები, გამყალბებლები, რომლებმაც პირნათლად შესრულეს

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# „ჯოზეფ ქეი ცდილობს, შავი ლაქა მოგვაცხოს“

## ნანა პატარკაციშვილი: ჩვენსა და ინას შორის ურთიერთობები ისევ ისეთი თბილია, როგორც ყოველთვის იყო

ნათია ხურცილავა



ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა და ადვოკატმა ლაშა ბირკაიამ გუშინ პრესკონფერენცია გამართეს. ჟურნალისტებს ადვოკატმა ახალი გარმოების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

როგორც კომპიუტერული ექსპერტიზის შედეგად გაირკვა, ბადრი პატარკაციშვილის ანდერძი არ არსებობს და ის გაყალბებულია. ადვოკატის განცხადებით, ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ანდერძი, რომელიც პატარკაციშვილის სიკვდილის შემდეგ აღმოჩნდა, მისი გარდაცვალების შემდეგ არის შედგენილი. ადვოკატის განცხადებით, არც ერთი დოკუმენტის, მათ შორის ანდერძის დედანი არ არსებობს. არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, დედანი ჯოზეფ ქეიმ ვერ წარმოადგინა.

— ლონდონის სასამართლომ გადმოგვცა კომპიუტერულ მონაცემთა აღდგენის ექსპერტის დასკვნა, რომლითაც დგინდება, რომ დოკუმენტები, კერძოდ, ანდერძი და ანდერძის აღმასრულებლად დანიშვნის აქტი შექმნილია ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ. კომპიუტერულმა ექსპერტმა ასევე დაადგინა, რომ არსებობს ანდერძის და მის აღმასრულებლად დანიშვნის აქტის მრავალი ვარიანტი. სავარაუდოდ, 11 დოკუმენტი. აქედან 4 დოკუმენტი არის გადაღებული ასლი. დანარჩენი დოკუმენტების ნაწილი არის ნაწილობრივ კოპირების და ნაწილობრივ ტექსტური ფაილების შედეგად შექმნილი ხელოვნური დოკუმენტები. ყველა ეს დოკუმენტი შექმნილია ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ. ლესნევიჩის დასკვნაში სრულად არის ასახული, რომ დოკუმენტებზე ხელმოწერები კალკირებულია, გაყალბებულია. კომპიუტერული ექსპერტიზის დასკვნაში ნაჩვენებია მეთოდოლოგია როგორ, რა საშუალებით იქნა ეს დოკუმენტები შექმნილი, — განაცხადა ადვოკატმა ლაშა ბირკაიამ.

გუშინ ინა გუდავაძის ადვოკატებმა ქართულ სასამართლოს ჯოზეფ ქეის წინააღმდეგ ახალი მტკიცებულება გადასცეს.

— ჩვენ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები სრულიად ავსებენ სასამართლო დოკუმენტაციის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო სასამართლო ექსპერტის ლესნევიჩის დასკვნას, რომლის თანახმადაც ჯოზეფ ქეის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაფიქსირებული ხელმოწერები ყალბია. კომპიუტერულ მონაცემთა სფეროში ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო სასამართლო ექსპერტის დასკვნაში ნათლად ჩანს, თუ როდის და როგორ შეიქმნა ყალბი დოკუმენტაცია. ეს დასკვნა უკვე წარვადგინეთ უზენაეს სასამართლოში. ბუნებრივია, ველოდებით, რომ უზენაესი სასამართლო მიიღებს მხედველობაში ექსპერტიზის დასკვნას და ადეკვატური იქნება. ლონდონის სასამართლო დავაში არის წარდგენილი დოკუმენტები, სადაც იკვეთება თავად ჯოზეფ ქეის როლიც. ამას საბოლოოდ ლონდონის სასამართლო დაადგენს. ვფიქრობთ, რომ ამასაც გაითვალისწინებს ქართული სასამართლო, — ამბობს ადვოკატი ლაშა ბირკაია.

ლაშა ბირკაიას განცხადებით, ლონდონის სასამართლომ ლონდონში ჯოზეფ ქეის პირადი ქონების დაყადაღება მოახდინა.

— ასევე განხორციელდა ჯოზეფ ქეის ოფისის ჩხრეკა. ამის საფუძველი გახდა არა მხოლოდ ეს დასკვნა, არამედ, სავარაუდოდ, სხვა გარემოებებიც, რომელიც იმ საქმეშია და ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია. ვთვლით, რომ ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ქართული სასამართლოსთვის, რომ ქართულმა სასამართლომ მიიღოს მხედველობაში. ჯოზეფ ქეის და პატარკაციშვილის ყველა მემკვიდრეს შორის დავები მიმდინარეობდა ლიხტენშტეინის და გიბრალტარის სასამართლოებში. ლიხტენშტეინის სასამართლომ საბოლოოდ უარი უთხრა ჯოზეფ ქეის, რომ მან აკონტროლოს პატარკაციშვილის ქონება და აქტივები. ასევე ველოდებით პოზიტიურ გადაწყვეტილებას გიბრალტარის სასამართლოდან, სადაც პროცესი უკვე დასრულებულია. ველოდებით მხოლოდ გადაწყვეტილებას. იმ პროცესის ფარგლებშიც, სასამართლოს მიერ ჯოზეფ ქეის აკრძალული აქვს განახორციელოს პატარკაციშვილის ქონების მართვა, განკარგვა, ან რაიმე ფორმით აქტივებთან ურთიერთობა, — განაცხადა ადვოკატმა ლაშა ბირკაიამ.



ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით ლონდონის არბიტრაჟი იხილავს დავას პატარკაციშვილის მემკვიდრეებსა და ჩვენს სახელმწიფოს შორის



პატარკაციშვილის ოჯახის წევრები თავიდანვე აცხადებდნენ, რომ ჯოზეფ ქეი ყალბი დოკუმენტებით მოქმედებდა და შეუძლებელი იყო ის ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის აღმსრულებელი ყოფილიყო.

— პატარკაციშვილის ოჯახი ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ ჯოზეფ ქეი ყალბი დოკუმენტებით მოქმედებდა. რის გამოც არ ცნობდა მას, როგორც ბადრის მიერ დანიშნულ ანდერძის კანონიერ განმკარგავს. განსვენებული ბიზნესმენის ოჯახის ადვოკატებმა საქართველოს სასამართლოს გასულ წელს წარუდგინეს დოკუმენტების სიყალბის დამადასტურებელი მასალები. წამყვანი ამერიკელი ექსპერტის დასკვნა და მოწმეთა ჩვენებები, თუმცა, ქართულმა სასამართლომ ეს მტკიცებულებები არ გაითვალისწინა, — ნათქვამია პრესრელიზში.

ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ დავამ შეიძლება სტრასბურგის სასამართლოში გადაინაცვლოს.

— იმ შემთხვევაში, თუ მაინც არ იქნა მიღებული მხედველობაში ახალი მტკიცებულებები ქართული სასამართლოს მიერ, მაშინ დავის გადატანა მოგვიწევს საქართველოს საზღვრებს გარეთ, — განაცხადა ბირკაიამ.

ჟურნალისტები ტელეკომპანია „იმედის“ ბედითაც დაინტერესდნენ.

— ჩვენთვის უცნობია, „იმედს“ ჰყავს თუ არა სხვა მეპატრონე. არაერთხელ მივმართეთ ამ ინფორმაციის მოთხოვნით, ახლა სასამართლოს მეშვეობით ვცდილობთ გამოვითხოვოთ ეს ინფორმაცია. ახალი მეპატრონე ვერ იქნება კეთილსინდისიერი შემძენი. ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებით ლონდონის არბიტრაჟი იხილავს დავას პატარკაციშვილის მემკვიდრეებსა და ჩვენს სახელმწიფოს შორის. გარდა ამისა, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოში გოგი ჯაოშვილს აქვს საქმე აღძრული. ჯაოშვილი აცხადებს, რომ გარიგება ჯოზეფ ქეისა და მას შორის მოტყუებით და იძულებით დაიდო. აღნიშნული სასამართლო მოსამზადებელ ეტაპზეა. ჯაოშვილმა დააყენა შუამდგომლობა, რომ სასამართლოზე მოწმის სახით გამოძახებულ იქნას ნოტარიუსი მერი გუგაშვილი, ვინც დაამოწმა გარიგება და ასევე მოწმის სახით მოწვეულია გიორგი ისაკაძე, რომელზეც ჯაოშვილი უთითებს, რომ ის ესწრებოდა აღნიშნულ ვითარებას, — განაცხადა ადვოკატმა ლაშა ბირკაიამ.

პრესკონფერენციას ბადრი პატარკაციშვილის და ნანა პატარკაციშვილიც ესწრებოდა. მისი განცხადებით, ჯოზეფ ქეის მიერ ბოლო დროს აგორებული შავი პიარი მათი ოჯახის და ინა გუდავაძის წინააღმდეგ, ქეის შიშით არის გამოწვეული.

— როგორც იტყვიან, შიშს დიდი თვალები აქვს, ამიტომაც არის, რომ ჯოზეფ ქეი ცდილობს შავი ლაქა მოგვაცხოს. ჩვენსა და ინას შორის ურთიერთობები ისევ ისეთი თბილია, როგორც ყოველთვის იყო და არ შეიძლება, რომ სხვანაირად იყოს. თითქმის ყველა პრესაში იბეჭდება შეკვეთილი და დაფინანსებული სტატიები ჩვენ წინააღმდეგ და ამას ჯოზეფ ქეი აკეთებს, რადგან მას ეშინია, — განაცხადა ნანა პატარკაციშვილმა.

ინა გუდავაძის წარმომადგენელმა, ნონა ყანდიაშვილმა, რომელიც ასევე ესწრებოდა პრესკონფერენციას, აღნიშნა, რომ შეკვეთილი და დაფინანსებული სტატიები ინა გუდავაძის შავ პიარს ემსახურება და ეს არის ჯოზეფ ქეის მიზანი.

# სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს არჩევნები არ ჩატარებულა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

სააკაშვილის დაკვეთა: ჭიაბერაშვილი — სტრასბურგში ელჩია, ჩალაგაშვილი — სემეკ-ის თავმჯდომარეა და საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვს. თარხნიშვილსაც მაღალანაზღაურებად თანამდებობაზე დანიშნავენ.

***— გამოსავალს რაში ხედავთ?***

— გამოსავალი პრინციპულობაში და შეუვალობაშია. ხელისუფლებას კი არ უნდა შეეთამაშო და მისი თამაშის წესებით კი არ უნდა ითამაშო პოლიტიკაში, პრინციპული და შეუვალი უნდა იყო. დაუმორჩილებელი უნდა იყო რეჟიმის მიმართ. თუ ამას მიაღწევთ, ინგრევა ასეთი რეჟიმი. ფაშისტური რეჟიმი დაინგრა, ბოლშევიკური რეჟიმი დაინგრა, ვინ მიგდია სააკაშვილი?! მაგრამ ზოგ-ზოგიერთებს, რომლებიც ოპოზიციის სახელით მოვლინებული არიან ოპოზიციაში და ის უფრო მეტი მიშისტია, ვიდრე თვითონ ნაციონალური მოძრაობის წევრები, აწყობთ ასეთი მდგომარეობა. იმიტომ, რომ პირადი კეთილდღეობა მოწყობილი აქვთ. პირად ამბიციებს იკმაყოფილებს და მაპატიეთ, სულ ფეხზე კიდიათ ამ ქვეყნის ბედი და მომავალი.

***— შეგიძლიათ თქვათ, რომ გიგი უგულავას თბილისის არჩეული მერობა უკვე გარანტირებული აქვს?***

— ამ თამაშით და ამ თაღლითური სქემებით, რომელსაც ხელისუფლება ათამაშებს ვითომდა ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად, უგულავა იქნება თუ სხვა ვინმე დასახელებული სააკაშვილის მიერ, დაინიშნება თბილისის მერად.

***— ოპოზიციის ნაწილი არ გამორიცხავს, რომ სახელისუფლო კანდიდატი უგულავა არ იყოს თბილისის მერის პოსტზე. გამორიცხავთ ამას?***

— გიგი უგულავა არის ამ ხელისუფლების ერთ-ერთი რჩეული, ერთ-ერთი ყველაზე შავი ფიგურა. სააკაშვილთან ერთად გიგი უგულავა სახეა დღევანდელი სისხლიანი რეჟიმისა. სხვათა შორის, უგულავა არის ერთ-ერთი ავტორი ეკლესიის, მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლისა. ასე რომ, ყალბია ის ილუზიები, თითქოს უგულავას და სააკაშვილის დაჯგუფებას შორის დაპირისპირებაა. ეს სააკაშვილისგან არის შემოგდებული.

***— ოპოზიციის ნაწილის აზრით, უგულავას რეიტინგმა მოიმატა მას შემდეგ, რაც პოლიტიკური განცხადებების გაკეთებაზე უარი თქვა და მეურნე მერის იმიჯის შექმნას ცდილობს...***

— ეს ყველაფერი სიტუაციას სჭირდება და უგულავა ასე იმიტომ იქცევა. ყველას გვახსოვს, რომ აგვისტოს ომში უგულავა გვყავდა ერთ-ერთ მხედართმთავრად. თუ უგულავას დამოკიდებულება არ გახსოვთ მიტინგების მიმართ? ანდა უგულავას შავ-ბნელი საქმეები არ გახსოვთ თბილისის მერის პოსტზე საკუთრების უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით; ნგრევასთან დაკავშირებით; ქონების მიტაცებასთან დაკავშირებით. დღეს უგულავას სჭირდება და ხალხს ისე ენახება, თითქოს თბილისზე მზრუნველი მერია. უგულავას უნდა ქალაქზე მზრუნველის იმიჯი შეიქმნას. რატომ უწყობ ამაში ხელს, თუ ოპოზიცია გქვია? უგულავა დამნაშავეა. უგულავას წინააღმდეგ მასალებია დადებული 250 მლნ-ის მითვისების შესახებ. მე შემიძლია ტომები წარმოვადგინო უგულავას დანაშაულობებთან დაკაშვირებით. გიგი უგულავას კრიმინალური საქმიანობის შესახებ არის მტკიცებულებები.

***— ამ მასალებში, ბატონო გიორგი, კონტროლის პალატის მიერ დადებულ შემოწმების მასალებს გულისხმობთ, რომელსაც დროულად დაედო გრიფით საიდუმლო?***

— არა მარტო მერიის კეთილმოწყობის სამსახურთან დაკავირებით არსებულ მასალებს ვგულისხმობ. უგულავას აქვს 5 მლნ-იანი სარეზერვო ბიუჯეტი. ამას წინათ ჩვენმა პარტიამ საზოგადოებას გააცნო, სად წავიდა ამ ბიუჯეტის ნაწილი. დოკუმენტურად არის გაწერილი, ვისზე აქვს გაცემული უგულავას ეს თანხები და რა მიზნით. დოკუმენტების ნაწილი გვაქვს როგორც კონტროლის პალატიდან, ისე თბილისის საკრებულოდან.

***— დღემდე არ აეხსნა უგულავას წინააღმდეგ არსებულ მასალებს გრიფით საიდუმლო?***

— არ ახსნილა. ვინმემ ამიხსნას, რატომ დაედო მერიის შემოწმების მასალებს გრიფით საიდუმლო. პირდაპირ ჩანს ამ მასალებში, რომ ეს ფული მოპარულია და ის სამუშაო გაკეთებული არ არის. ბიუჯეტიდან გამოიყო 500 მლნ ლარი. ამ 500 მლნ-ით გაკეთებული საქმე, დაგებული ასფალტი არ ჩანს. ეს ფული მოპარულია.

***— იურისტი ლევან ბეჟაშვილი, რომელიც ნაციონალებმა კონტროლის პალატის ხელმძღვანელად დანიშნეს, შეგნებულად მალავს უგულავას საწინააღმდეგო და მამხილებელ მასალებს?***

— რა არის აქ გასაკვირი. ჩვენთან ხომ ინსტიტუტები არ არსებობს. ეს არის რეჟიმი და ამ ქვეყანაში ყველაფერი არის სააკაშვილი. ლევან ბეჟაშვილმა ის გააკეთა, რაც უბრძანეს. უბრძანეს და გრიფით საიდუმლო დაადო. რატომ? რაიმე მოტივაცია არსებობს? თუ დადგი გარე განათების ბოძი, რატომ არის საიდუმლო იმაზე გაწეული ხარჯი? რადარია თუ საკონტინენტთაშორისო რაკეტაა. იმიტომ არის დამალული, რომ ფულია შეჭმული. წახვალ სასამართლოში და გეტყვიან, გარდაუვალი აუცილებლობით იყო გამოწვეული, რომ გრიფით საიდუმლო დაედო. ამ ქვეყანაში არ არსებობს, მოსამართლე, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და ა.შ. ყველაფერი არის რეჟიმი.

***— არჩევნებს დავუბრუნდეთ. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ერთ კანდიდატზე ვერ შეჯერდება?***

— ვერ შეჯერდება და ეს ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის. რამდენიმე კანდიდატურა იქნება ვითომდა ოპოზიციიდან. მერე ხელისუფლება იტყვის, იმიტომ მოხდა ასე და ოპოზიცია დამარცხდა, რომ ოპოზიცია ერთ კანდიდატურაზე ვერ შეთანხმდაო. ვიმეორებ, როლები წინასწარ არის განაწილებული. თამაშის წესები განსაზღვრულია. ფარსის რეჟისურა არის კანცელარიაში. ამ ფარსის ფინალი იქნება სააკაშვილის მიერ დანიშნული მერის დამტკიცება. ამას მოჰყვება ოპოზიციის გოდება, როგორ გაუყალბეს არჩევნები და ა.შ. უცხოეთში კი სააკაშვილი თამამად იტყვის, დემოკრატიაა ქვეყანაში; ჩატარდა მერის პირდაპირი არჩევნები და მმართველმა პარტიამ გაიმარჯვა.

***— „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრები არ გამორიცხავენ, რომ ლეიბორისტებმა თბილისის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატი დაასახელოთ. მათი ინფორმაციით ლეიბორისტული პარტია რეიტინგებში მესამე ადგილზეა და ის მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს...***

— ამას ვინც ამბობს, ალბათ, საკუთარ პარტიაში ჩაატარა გამოკითხვა. ლეიბორისტული პარტია და მისი ლიდერი დღეს არის უპირობო ლიდერი და შალვა ნათელაშვილი პირველ ადგილზეა. დანარჩენები მას ერთი ან ორი პროცენტით კი არ ჩამორჩებიან, არამედ ბევრად. მე ზუსტ მონაცემებს გეუბნებით. თუ ვინმეს სურვილი აქვს, შეუძლია პარტიიდან აქტივისტები გამოყოს და ერთობლივად ჩავატაროთ კვლევა. რაც შეეხება ჩვენს კანდიდატურას, ლეიბორისტების პოზიცია ამ არჩევნებთან დაკაშვირებით ყველასთვის ცნობილია: ჩვენ ამ არჩევნებში არ ვმონაწილეობთ. იმიტომ, რომ ქვეყანაში არჩევნები არ ტარდება. ხომ წააგო საპრეზიდენტო არჩევნები, რატომ გვყავს პრეზიდენტად სააკაშვილი?! გააყალბა და რაც უნდოდა, ის შედეგი არჩვენა. ჩვენ ამ არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებთ და არც ჩვენი კანდიდატურა არ გვეყოლება მერის პოსტზე. ჩვენ ვიქნებით აქტიური ბრძოლის რეჟიმში. ეს იქნება შეურიგებელი ბრძოლა, მხილების პერიოდი, წინააღმდეგობის ბრძოლა. ეს იქნება დაუმორჩილებლობის ბრძოლა. ასეთ ფარსში არც შენ უნდა იცხოვრო და არც ქვეყანა არ უნდა აცხოვრო.

# „პოპ-არტ“ ბარათის მფლობელები „პოპულიში“ ფასდაკლებით ისარგებლებენ

**„პოპულიმ“ მომხმარებლებისთვის საჩუქრების, ფასდაკლებებისა და გათამაშების აქციებში მონაწილეობის მისაღებად პლასტიკური დაგროვების ბარათი „პოპ-არტი“ გამოუშვა.**



შორენა გონგლაძე

როგორც სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ პრესკონფერენციაზე სავაჭრო ქსელის მენეჯერმა განაცხადა, „პოპ-არტ“ ბარათი არის „პოპულის“ ახალი სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც მომხმარებლისათვის საუკეთესო პირობების შეთავაზებას გულისხმობს.

— აქამდე ჩვენს ამოცანას ქსელის გაფართოება წარმოადგენდა, ამიერიდან კი ზრდის ტენდენციას მომხმარებელზე ზრუნვით ჩავანაცვლებთ, სწორედ ამიტომ შემოვიღეთ დაგროვების ტიპის პლასტიკური ბარათი, რომელსაც მომხმარებელი, დარწმუნებული ვარ, შეიყვარებს და აქტიურად მოიხმარს. მისი მიღების წესი მარტივია: „პოპულის“ ქსელში ყიდულობთ 15 ლარის ღირებულების პროდუქტს და პირადობის წარდგენის შემდეგ 3 სხვადასხვა ვიზუალის მქონე ბარათს შორის მომხმარებელი ირჩევს სასურველ ვარიანტს. „პოპულის“ ქსელში პროდუქციის შეძენისას „პოპ-არტ“ ბარათზე დაგროვდება ქულები სახელწოდებით „პოპულარი“— განაცხადა პოპულის გენერალურმა დირექტორმა ევგენი ფიჩხაიამ. მისივე განცხადებით, „პოპ-არტ“ ბარათი არის „პოპულის“ შიდა მოხმარების ბარათი, რომელიც აღრიცხავს მხოლოდ დაგროვილ ქულებს. ის არ არის საკრედიტო ბარათი და მასზე თანხის შეტანა ან გამოტანა შეუძლებელია.

რაც შეეხება პოპულარის დარიცხვის წესს, ყოველ დახარჯულ 10 ლარზე ირიცხება 1 პოპულარი, დახარჯული თანხის პროპორციულად: 5 ლარზე — 0.5 პოპულარი, 7 ლარზე — 0.7 პოპულარი, 16 ლარზე — 1.6 პოპულარი, 50 ლარზე — 5 პოპულარი. „პოპ-არტ ბარათის“ ყველა მფლობელს 1.5 პოპულარი ბარათზე ავტომატურად დაერიცხება.

„პოპულის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსის სანდრო ლომთაძის განცხადებით, ბარათთან ერთად მომხმარებელი მიიღებს ცნობილი ბრენდის „ვილეროი და ბოხის“ საჩუქრების კატალოგს, რათა მისთვის სასურველი საჩუქარი შეარჩიოს. პარალელურად პოპულარის ოდენობით „პოპულის“ ქსელში არსებული ასორტიმენტიდან შესაძლებელი იქნება 100-ზე მეტი სახეობის პროდუქციის შეძენა, ამისათვის შევარჩიეთ ისეთი პროდუქცია, რომლის იმპორტს საქართველოში მხოლოდ „პოპული“ ახორციელებს. ასორტიმენტის ეს კატეგორია და საჭირო რაოდენობის პოპულარი მაღაზიის თაროებზე სპეციალური ფასდაკლებით იქნება გამოყოფილი, — განაცხადა სანდრო ლომთაძემ.

პოპულარის რაოდენობა დაფიქსირდება სალაროს ჩეკზე, ყოველი შესყიდვის და ბარათის გატარების დროს. დაგროვილი პოპულარის რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელი იქნება ცხელი ხაზის (43-11-22) და „პოპულის“ კორპორატიული ვებ გვერდის www.populi.ge მეშვეობით.

„პოპ-არტ“ ბარათი უვადოა და მის მფლობელს „პოპული“ ფასდაკლების აქციებს, გათამაშებებს და სხვადასხვა ტიპის საინტერესო ღონისძიებებს მუდმივად შესთავაზებს. და კიდევ ერთი სიახლე, „პოპულის“ გუნდმა ჟურნალისტებისთვის და ფოტოკორესპონდენტებისთვის „პოპ არტ“ ბარათის თემაზე კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებმა სლოგანები, გარითმული ფრაზები, ექსპრომტები და ფოტოსურათები უნდა წარმოადგინონ.

კონკურსის მონაწილეებმა მასალები ელექტრონულ მისამართზე — popartkonkursi@populi.ge — უნდა გამოაგზავნონ. ყველა სლოგანი, გარითმული ფრაზა, ექსპრომტი თუ სურათი „პოპულის“ ვებგვერდზე გამოქვეყნდება და მათ შორის 5 გამარჯვებული ელექტრონული ხმის მიცემის შედეგად გამოვლინდება.

საპრიზო ადგილზე გასული კონკურსის მონაწილეები 500, 400, 300, 200 და 100-ლარიანი პრიზით დაჯილდოვდებიან. სამახსოვრო საჩუქარი „პოპულისაგან“ ყველა მონაწილეს გადაეცემა.

— „პოპულის“ გუნდისათვის მნიშვნელოვანია მედიის აზრი და მხარდაჭერა ნებისმიერ ჩვენს ახალ წამოწყებაში. ამიტომ გადავწყვიტეთ „პოპ-არტ“ ბარათის დანერგვის კამპანიაში ჩავრთოთ ჟურნალისტები და ფოტოკორესპონდენტები. დავამყაროთ მათთან მეგობრული ურთიერთობა და „პოპ-არტ“ ბარათის პოპულარიზაციას ხელი ერთობლივად შევუწყოთ, — განაცხადა „პოპულის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ლიკა მიქაუტაძემ.

გამარჯვებულთა გამოსავლენად საზეიმო ცერემონია 17 დეკემბერს „პოპული XL-ში“ გაიმართება. „პოპ-არტ“ ბარათის მიღება მომხმარებელს 17 დეკემბრიდან შეეძლება.

სავაჭრო ქსელი „პოპული“ საცალო და საბითუმო გაყიდვების ბაზარზე 2001 წლიდან ფუნქციონირებს და ამ დროისათვის 40 მაღაზიას მოიცავს. ქსელში დასაქმებულია 1500-მდე თანამშრომელი. დღეისათვის სს „პოპული“ სამ ფორმატში ოპერირებს: „პოპული სუპერმარკეტი“, „პოპული ექსპრესი“ და „პოპული XL“.

„პოპულის“ აქციონერები არიან წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები: საქართველოს ბანკი, ამერიკული საინვესტიციო კომპანია „ფაიარბერდ აურორა ფონდი“, გერმანული საინვესტიციო ჯგუფი „ოსტინვესტორი“ და შვედური საფინანსო ინსტიტუტი „ისტკაპიტალი“.

# ლარსის გახსნა ყაზბეგს დაგვაკარგვინებს

## ექსპერტები ხელისუფლებას რუსეთთან საზღვრის გახსნას არ ურჩევენ

თეა მარხვაიძე

**ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტის გახსნა თითქმის გადაწყვეტილია. საქართველოს ხელისუფლება თანახმაა, რუსეთთან ჩაკეტილი საზღვარი გახსნას. საზღვრის გახსნაზე რუსეთთან ადრეც მიდიოდა საუბარი. თუმცა, მაშინ საქართველოს ხელისუფლება ამბობდა უარს. აგვისტოს ომის ერთი წლის თავზე კი ამ საკითხით რატომღაც ძალიან დაინტერესდნენ.**



ჩვენებურებს ლარსის გახსნაზე შეიძლება კიდევ თავი შეეკავებინათ, მაგრამ ერევანი არ მოგვეშვა. სომხეთის ხელისუფლება დიდი ხანია ლარსის გახსნაზე ჩალიჩობს. ამ მიზნის მისაღწევად ისინი არც შანტაჟს ერიდებიან.

როგორც ამბობენ, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს სომხეთში ჩასვლა უკვე ეზარებათ, რადგანაც სომეხი კოლეგები გამარჯობა-ნახვამდის ნაცვლად ლარსი, ლარსიო ეუბნებიან.

ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტის გახსნაზე სომხები საქართველოს პრეზიდენტსაც ესაუბრნენ. სააკაშვილი სრულიად სომხეთს შუაგულ ერევანში დაჰპირდა, ლარსი გაიხსნებაო.

საუბრები ლარსის გახსნაზე ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში გააქტიურდა. საპარლამენტო ოპოზიციამ ამ თემაზე უშიშროების საბჭოს სხდომის ჩატარებაც კი მოითხოვა.

ოპოზიციას აინტერესებდა, ლარსის გახსნა შეუქმნიდა თუ არა საქართველოს რაიმე სახის პრობლემებს. ახლა ვან ბაიბურთს თუ ვკითხავთ ჩამოწეული „შლაგბაუმი“ რისკს არ ამცირებს. რაღაცაში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი მართალია, მაგრამ მისგან განსხვავებით ექსპერტები ფიქრობენ, რომ „შლაგბაუმის“ აწევა რისკებს კიდეთ უფრო ზრდის.

ლარსისადმი მიძღვნილი უშიშროების საბჭოს სხდომა წინა კვირაში გაიმართა. ხელისუფლებამ თქვა, რისკი როგორ არ არის, მაგრამ ლარსის გახსნა უნდა გავრისკოთო.

მართლა უცნაური ხელისუფლება გვყავს, ლარსის გახსნაზე მათ თანხმობა ომის შემდეგ განაცხადეს. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ის პრეტენზიები, რაც რუსულმამხარემ საზღვრისპირა ყაზბეგის რაიონის მიმართ გამოხატა. მართალია ეს განცხადებები ედუარდ კოკოითმა და არსენ ფაძაევმა გააკეთეს. მაგრამ ყველასთვის ნათელია, რომ ამის უკან რუსეთი დგას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არსენ ფაძაევი რუსეთის დუმის დეპუტატი გახლავთ.

მან პირდაპირ დუმიდან მოითხოვა — დროა საქართველომ ჭეშმარიტად ოსური მიწები დააბრუნოსო. ჭეშმარიტად ოსურ მიწებში კი არსენამ ყაზბეგი იგულისხმა. მისმა სამხრეთელმა ძმაკაცმა კოკოითმა კი თრუსოს ხეობა მოითხოვა. თრუსოს ხეობაც ყაზბეგის ტერიტორიაზე მდებარეობს. ის ჯავის რაიონს ესაზღვრება.

ცოტა ხნის წინ კი ჩრდილოეთ ოსეთში მოძრაობა „დარიალი“ შეიქმნა. ქართველი ექსპერტების მტკიცებით ამ „დარიალის“ უკან რუსული სპეცსამსახურები დგანან. ოფიციალური მონაცემებით კი ეს ორგანიზაცია ვითომდაც ყაზბეგიდან წასული ოსების მიერ არის შექმნილი. თვე-ნახევრის წინ „დარიალმა“ გაეროშიც გააგზავნა წერილი. ამ უსტარში მათ დაიჩივლეს, ქართველები ჩვენს სახლებს ანადგურებენო.

ეს ამბები ჩვენს ხელისუფლებას გულთან ახლოს არ მიუტანია. და ალბათ ამიტომაც დათანხმდნენ ლარსის გახსნას. რაც, ქართველი ექსპერტების აზრით, შესაძლოა ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მძიმე შედეგით დასრულდეს.

— რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ საკონტროლო გამშვები პუნქტის გახსნის საკითხი განსაკუთრებულ ყურადღებას ითხოვს. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რუსი სამხედროები უკვე სწავლობენ ოკუპირებული ცხინვალის რეგიონიდან ყაზბეგის რაიონთან სახმელეთო მიმოსვლის განვითარების პერსპექტივას, ხოლო რუსეთის სპეცსამსახურებმა თრუსოსა და გუდის ხეობების, ასევე კობის ქვაბულის მიმართებაში კარგად აპრობირებული სცენარის გათამაშება დაიწყეს, — მიიჩნევს „ექსპერტთა კლუბის: წარმომადგენელი გოგი მაისურაძე.

ექსპერტთა კლუბში ჩვენს ხელისუფლებას „დარიალის“ მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენას ურჩევენ.

— ვლდაკავკაზში ახლახან შეიქმნა საზოგადოებრივი მოძრაობა „დარიალი“, რომლის მიზანი — ყაზბეგის რაიონის საქართველოდან მოწყვეტა — მაშინვე იქნა გაჟღერებული. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი სალბიევმა რუსეთის მედიისათვის მიცემულ პირველსავე ინტერვიუებში თრუსოსსა და გუდის ხეობებისადმი, ასევე კობის ქვაბულისადმი ტერიტორიული პრეტენზიები დააფიქსირა. მისი სიტყვებით: „თვითონ რეგიონის გეოგრაფია მიილტვის რუსეთისაკენ“ და „რუსეთმა არ უნდა დაკარგოს ეს ოსური ტერიტრია... რომელსაც უდიდესი გეოპოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია“. სალბიევის თქმით, მისი შექმნილი ორგანიზაცია 1500 ადამიანს აწევრიანებს, რომლებიც გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ყაზბეგიდან განდევნილი ოსები არიან. ამასთან დაკავშირებით ოფიციალურ მონაცემებზე და საარქივო მასალებზე დაყრდნობით გოგი მაისურაძემ დაადგინა, რომ სელბიევის აღნიშნული განცხადება სრული აბსურდია — კობის ქვაბულში, თრუსოსა და გუდის ხეობებში ეთნიკურ ოსებს ასეთი რაოდენობით არასოდეს უცხოვრიათ: ამ შემთხვევაში ანგარიში უპრიანი იქნებოდა არა ასეულებზე, და მით უმეტეს, ათასებზე, არამედ ათეულებზე წარმოებულიყო. მით უმეტეს, ამ რაიონში ოსების გამოჩენა ჩრდილოეთ ოსეთიდან-ალანიიდან ოსი მწყემსების სეზონურ მიგრაციასთან იყო დაკავშირებული, რომლებიც საბჭოთა პერიოდში ადგილობრივ იალაღებს საკუთარი ნახირის საძოვრად იყენებდნენ, — მიაჩნიათ ექსპერტთა კლუბში.

გოგი მაისურაძის აზრით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ საზოგადოებრივ აზროვნებაში ყაზბეგის რაიონის „ოსურ ტერიტორიებად“ ჩამოყალიბების მიზნით რუსეთის მედია სივრცეში შესაბამისი პროპაგანდა დაიწყო.

— „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნის შემთხვევაში უსაფუძვლო და რადიკალური მოთხოვნებით კობის ქვაბულის, თრუსოსა და გუდის ხეობების მიმართულებით რუსული და „სამხრეთ ოსეთის“ პასპორტების მქონე „დარიალის“ ორგანიზაციის წევრები მასობრივად დაიძვრებიან და ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რას მოიქმედებს ამ შემთხვევაში რუსეთი, — მიაჩნიათ ებსპერტთა კლუბში.

მაისურაძე განსაკუთრებით იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ ოკუპირებული ტერიტორიიდან ყაზბეგის რაიონის მიმართულებით სახმელეთო მიმოსვლის დამყარებაში რუსი სამხედროები განსაკუთრებულ დაინტერებას იჩენენ.

— ახალგორის რაიონში დისლოცირებული რუსი „მესაზღვრეები“ ადგილობრივი მოსახლეობისაგან აგროვებდნენ ინფორმაციას ახალგორიდან თრუსოს ხეობისაკენ მიმავალი ბილიკების, ასევე საავტომობილო გზების შესახებ და შესაბამისი აღნიშვნები სამხედრო დანიშნულების რუკებზე დაჰქონდათ. ამ ფონზე, „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ქართულმა მხარემ ყველა გარემოება უნდა გაითვალისწინოს, რათა სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, შესაბამისი, რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს, — მიიჩნევენ ექსპერტთა კლუბში.

ექსპერტთა კლუბს მართლაც საინტერესო შენიშვნები აქვს. თუმცა, საეჭვოა ეს ხელისუფლებამ გაითვალისწინოს. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ლარსის გახსნას აღარც ოპოზიცია აპროტესტებს. არადა, ეს შეიძლება ძალიან ცუდად დასრულდეს.

არადა, რისთვის ვრისკავთ, როგორც ამბობენ, ლარსით მხოლოდ სომხები ისარგებლებენ. ამის გამო კი ალბათ არ ღირს რომელიმე ტერიტორიის რისკის წინაშე დაყენება. თუ რასაკვირველია ჩვენს ხელისუფლებას გულში რაიმე სხვა განზრახვა არ უდევს.

# კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს არ ტოვებს

## მისი კომისია კი დასაკითხი მაღალჩინოსნების სიას ადგენს

ნანა მიშელაშვილი

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების შემსწავლელი დროებითი კომისიის მეორე სხდომაზე გუშინ გადაწყდა, რომ პროკურატურიდან იმ მასალებს გამოითხოვენ, რომელიც პროკურატურის არქივშია. პროკურატურა 2003 წლიდან მუშაობს და გამოძიებას აწარმოებს პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების საკითხზე.

კომისიის თავმჯდომარის კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, კომისია პროკურატურას ოფიციალური წერილით მიმართავს და იმ მასალებს გამოითხოვს, რომელიც პროკურატურაშია.



გუშინ კომისიის წევრებმა ის ფილმი ნახეს, რომელიც კონსტანტინე გამსახურდიას თანაავტორობით არის გადაღებული. ეს ჟურნალისტური გამოძიება ორ ნაწილად არის წარმოდგენილი და დაახლოებით საათი და ოცწუთიანი ქრონომეტრაჟი აქვს.

ფილმში — „დინების საწინააღმდეგოდ“ ზოგიერთი ის მაღალჩინოსანია დაკითხული, რომელიც 1992-93 წლებში თანამდებობაზე იყო. ეს ფილმი 2007 წელს ტელეკომპანია „იმედმა“ აჩვენა, თუმცა, გუშინ გაირკვა, რომ კომისიის წევრების დიდ ნაწილს ნანახი არ ჰქონდა.

ფილმში საუბარია იმაზე, თუ როგორ ჩავიდა პირველი პრეზიდენტი 1993 წლის 24 სექტემბერს გროზნოდან ზუგდიდში, სადაც მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეების წინაშე წარდგა. მასში ნაჩვენებია იმ ადამიანების კომენტარები, რომლებიც გამსახურდიას პირადი დაცვის წევრები იყვნენ. ასევე ჩაწერილია რამდენიმე მაღალჩინოსნის, მათ შორის ავთანდილ იოსელიანისა და ედუარდ შევარდნაძის კომენტარები.

ორნაწილიანი ფილმის ნახვის შემდეგ კომისიის წევრები დაინტერესდნენ იმით, რომ პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ ურთიერთგამომრიცხავ კომენტარებს აკეთებენ ის ადამიანები, ვისაც

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# გამსახურდიას მკვლელობაში დიდი ფულია გადახდილი

ნონა ცაბა ე



კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტში შევიდა და იმ კომისიას თავმჯდომარეობას, რომელმაც მისი მამის, ზვიად გამსახურდიას, გარდაცვალების მიზეზები უნდა შეისწავლოს. მოულოდნელად გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა პარტია თავისუფლების ლიდერმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, პარლამენტი დატოვოს. თუ რა გახდა ამ განცხადების მიზეზი, ჩვენ მის თანაპარტიელ **სანდრო ბრეგაძეს** ვესაუბრეთ.

***— ბატონო სანდრო, რა გახდა ამ განცხადების გაკეთების საფუძველი და რა მოტივით შეიძლება დატოვოს პარლამენტი კონსტანტინე გამსახურდიამ?***

— პარლამენტში შესვლა ჩვენი მხრიდან იყო არაპოპულარული ნაბიჯი, მაგრამ ეს არაპოპულარული ნაბიჯი გადავდგით იმისათვის, რომ პირველ რიგში, ობიექტურად გამოგვეძიებინა ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე. ამასთანავე, მივაღწიოთ იმას, რომ დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები, რომელიც ჩატარდება ობიექტურად. ეს იყო ძირითადი საფუძველი იმისა, რომ ჩვენ გავუწიეთ ანგარიში დასავლელი კოლეგების აზრს და შევედით პარლამენტში. თუმცა გეტყვით იმასაც, რომ ჩვენ პარლამენტში გამოსაცდელი ვადით ვართ შესული და თუკი არ მოგვეცემა საშუალება გამოვიძიოთ ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე, თუკი არ მოგვეცემა იმის საშუალება, რომ ჩვენ მივაღწიოთ ვადამდელ საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნებს, რაღა თქმა უნდა, დემოკრატიის ფარგლებში, მაშინ ჩვენს პარლამენტში ყოფნას არანაირი აზრი არ აქვს. ეს იყო ჩვენი განცხადება და აბსოლუტურად ლოგიკურიც არის, თუ სადმე ხარ და იქ ვერაფერს აღწევ, თუ ყველანაირად ბლოკირებული ხარ, ამ შემთხვევაში შენს იქ ყოფნას არანაირი აზრი არ აქვს.

***— ბატონო სანდრო, რატომ აკეთებთ ასეთ განცხადებებს, ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ არაფრის გაკეთება არ არის შესაძლებელი?***

— სიმართლე გითხრათ, მე რეალისტი ადამიანი ვარ და არ მქონია იმის ილუზია, რომ ჩვენი პარლამენტში შესვლის შემდეგ ეს ხელისუფლება გარდაიქმნებოდა და სავლე გახდებოდა პავლე. ნიშნები იმისა, რომ შესაძლებელია ჩვენ არ მოგვცენ საშუალება ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე გამოძიებულ იქნას, უკვე გამოჩნდა იმით, რომ პარლამენტში უნდა შექმნილიყო საგამოძიებო კომისია და შეიქმნა დროებითი კომისია. მათ შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა, საგამოძიებო კომისიას შეუძლია აიძულოს მოწმეები, რომ მოვიდნენ დაკითხვაზე პარლამენტში, ხოლო დროებით კომისიას ამის უფლებამოსილება არ გააჩნია. შემოპარებას უფრო ჰგავს ეს ყველაფერი, შემოგვაპარეს ეს პრინციპი. დავაკვირდებით, თუკი ის უმაღლესი თანამდებობის პირები არ მოვლენ პარლამენტში, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს იმ ვანდალურ აქტში, რასაც ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ჰქვია, ამის ნიშნები უკვე არის, შევარდნაძემ უარი განაცხადა, რომ ის არ აპირებს პარლამენტში მისვლას, თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ შევალთ პარლამენტში მოთხოვნით, რომ დროებითი კომისია გადაკეთდეს საგამოძიებო კომისიად, რათა ვალდებულნი გავხადოთ ეს პირები, მოვიდნენ და კომისიას მისცენ სათანადო ჩვენება. თუკი ეს ასე არ განხორციელდა და ჩვენ ვერ მოვახერხეთ იმდროინდელი მაღალი თანამდებობის მქონე პირების დაკითხვა, მაშინ აზრი ეკარგება ჩვენს ყოფნას პარლამენტში. პარლამენტში არ შევსულვართ იმისთვის, რომ კაბინეტები გვქონოდა და მანქანები გვყოლოდა. ჩვენ ეს არ გვაინტერესებს, როგორი ჯიბეგაფხეკილებიც შევედით პარლამენტში, ისეთივე ჯიბეგაფხეკილები გამოვალთ პარლამენტიდან სხვებისგან განსხვავებით. ჩვენ ორჯერ შევხვდით სააკაშვილს ღია ფორმატით და მასთან შეხვედრაზეც განვაცხადეთ ეს ყოველივე. თუ ეს საკითხები არ იქნა გადაწყვეტილი, მაშინ აბსოლუტურად ყველაფერს აზრი ეკარგება.

***— ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა კოკო გამსახურდიას პარლამენტში შესვლას, ხელისუფლებასთან ალიანსშიც დაგდეს ბრალი. ითქვა, რომ თავად ხელისუფლება იყო დაინტერესებული ამ კომისიის შექმნით, მაშინ რატომ არ უწყობს ხელს მის მუშაობას?***

— მე არ ვიცი, ვინ დაგვადანაშაულა ხელისუფლებასთან ალიანსში, რადგან ეს სიცრუეა. სხვებისგან განსხვავებით, ჩვენ არც სარდაფებში, არც კონსპირაციულ ბინებში, არც პრეზიდენტის საზაფხულო თუ საშემოდგომო რეზიდენციებში ჩუმად არ შევხვედრივართ ხელისუფლების წარმომადგენლებს. უშიშროების საბჭოს ფორმატში ჩვენ გვქონდა ღია რამდენიმე შეხვედრა. აქედან გამომდინარე, არანაირ გარიგებებზე ჩუმჩუმად ჩვენ არ დავდივართ. რაც შეეხება ხელისუფლების პოზიციას, მე მათ პოზიციაზე ვერ ვილაპარაკებ, რადგან არ ვიცი საერთოდ რა ტრიალებს ამ ხელისუფლების თავში. რაც თქვეს და შესთავაზეს ოპოზიციას, ჯერ არაფერი შეუსრულებიათ. მათი ფენომენი რთულად ამოსაცნობია და ამას ჩვენი ანალიტიკური ტვინი არ ყოფნის.

***— საზოგადოებაში მუსირებს აზრი, რომ იქნება კომისია ობიექტური, რადგან მას ზვიად გამსახურდიას ვაჟი უდგას სათავეში...***

— ამას აცხადებენ, პირდაპირ ასე დაწერეთ, ისეთი ნაძირლები, როგორებიც არიან თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი. იმიტომ, რომ ამ ადამიანებს აქვთ ღრმა შიში იმისა, რომ მათ მოუწევთ პასუხისგება. რასაკვირველია, ასეთი ადამიანები ყველაფერს იზამენ იმისათვის, კონსტანტინე გამსახურდიას საქმიანობას ჩირქი მოსცხონ. ჩვენ წინასწარ არ განგვიცხადებია, ვინ არის დამნაშავე და ვინ არა. ამ კომისიაში კონსტანტინეს გარდა არის 10 პარლამენტარი და ისინი ერთობლივად გამოიძიებენ თუ ვინ იყო ამ საქმეში დამნაშავე. რა თქმა უნდა, კუდი აეწვებათ იმ ადამიანებს, რომელთა ბინძური ხელებიც ამ საქმეში ურევია და გარწმუნებთ, ეს სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც გაიძახიან იმ სისულელეს, რომ კომისიის დასკვნა არ იქნება ობიექტური. ამის თაობაზე შეუძლიათ მას შემდეგ ისაუბრონ, რაც კომისია დასკვნას დადებს. როდესაც დადანაშაულდება ადამიანი ისეთ ვანდალიზმში, რასაც პირველი პრეზიდენტის მკვლელობა ჰქვია, რა თქმა უნდა, მან თავი უნდა იმართლოს და რაღაც უნდა თქვას, თუნდაც ის, რომ კომისიის დასკვნა არ იყო ობიექტური. იქნება თუ არა ობიექტური, ამას შემდეგ ქართველი საზოგადოება დაადგენს.

***— ფიქრობთ, რომ მიზანმიმართულია ასეთი განცხადებები?***

— რა თქმა უნდა. ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ჩადენილი იქნა საკმაოდ დიდი მონსტრის მიერ, რომლის უკანაც დგას საკმაოდ დიდი ფინანსური და სხვა პოლიტიკური საშუალებები. ჩვენ ახლა ვებრძვით ამ უდიდეს მონსტრს და ეს უდიდესი მონსტრი, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების უმაღლესი პირებისგან შედგება და რომელსაც მილიარდები აქვს დაგროვილი ქართველი ერის გაყვლეფის ხარჯზე და კანონიერი ხელისუფლების დამხობის ხარჯზე. ყველაფერს ილონებს იმისათვის, რომ კომისიას მუშაობაში ხელი შეეშალოს, შემდგომში დასკვნა არ დაიდოს, შეიძლება ვილაცის ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც კი წავიდნენ ეს ადამიანები, ანუ ეს ხალხი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მათი გვარები არ ჩაიწეროს დღეიდან ისტორიაში, როგორც ჩაიწერა სერგო ორჯონიკიძის, ფილიპე მახარაძის და ასე შემდეგ. ეს გარდაუვალი ისტორიული აუცილებლობაა, ჩვენ თუ ვერ მოვახერხეთ, სხვები მოახერხებენ ამას. სხვათა შორის, ეს ხალხი შესაძლოა გარიგებაზეც კი წავიდნენ ხელისუფლებასთან, რომ როგორმე კომისიის მუშაობას ხელი შეეშალოს.

***— ე.ი არც ამას გამორიცხავთ?***

— მაქვს ინფორმაცია, რომ ეს ადამიანები უკვე სერიოზულად მოძრაობენ ამ მიზნის მისაღწევად, რომ როგორმე ჩაიშალოს ამ კომისიის მუშაობა.

# აფხაზები ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას ითხოვენ

თეა მარხვაი ე



ორი თვის წინ აფხაზეთის ეკლესიამ საქართველოს ეკლესიიდან გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება 15 სექტემბერს სოხუმში გამართულ შეკრებაზე იქნა მიღებული. ამ თავყრილობას ყველა აფხაზი სასულიერო პირი ესწრებოდა.

იმავე დღეს აფხაზეთის ეკლესიის ხელმძღვანელმა ბესარიონ აპლიამ რუსეთის საპატრიარქოს საგანგებო თხოვნით მიმართა. აპლია რუსულ ეკლესიას სთხოვდა, დამოუკიდებლობის აღიარებაში დაგვეხმარეო.

რუსულმა ეკლესიამ აპლიას უარი შემოუთვალა. რუსული ეკლესია ქვეყნის ხელისუფლებისაგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ჯერ კიდევ აღიარებს. ამდენად, რუსული ეკლესია აფხაზებს დამოუკიდებელი სტატუსის აღდგენაში არ დაეხმარა. ყოველ შემთხვევაში ოფიციალურად ასეთი განცხადება გაკეთდა. არაოფიციადურად კი ამ კუთხით რაღაცრაღაცები მაინც ხდება.

ყველას კარგად გვახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინ აფხაზეთის ტერიტორიაზე ძალიან აქტიურობდნენ რუსი მისიონერები. რუსი სასულიერო პირებიც ხშირად სტუმრობდნენ აფხაზეთს.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებამ არაერთი პროტესტი გამოთქვა. საქმეში საქართველოს პატრიარქიც ჩაერია. რამდენიმე წლის წინ რუსეთში მყოფმა ილია II ეს საკითხი კატეგორიულად დასვა. რუსული სამღვდელოება მას შეჰპირდა, რომ ასე აღარ მოიქცეოდნენ. იმ დღიდან მოყოლებული რუსულმა ეკლესიამ აფხაზეთში აგრესიული ქმედება შეასუსტა.

ბესარიონ აპლიას თხოვნაზე სტატუსის აღიარების შესახებ ოფიციალური უარი განაცხადეს. გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი რუსი სასულიერო პირი. რომელმაც განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესია დროებით რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს. მისი თქმით, ეს იმ დრომდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე საქართველო და რუსეთი ერთმანეთთან საბოლოოდ არ მოაგვარებდნენ ურთიერთობას.

რუსულმა ეკლესიამ არც ეს ინიციატივა გაიზიარა. და ორი თვის განმავლობაში ბესარიონ აპლია ამაოდ ელოდა, როდის მიანიჭებდა რუსეთი მას დამოუკიდებელ სტატუსს.

ორი თვის თავზე აპლიამ გადაწყვიტა, რუსული ეკლესიისთვის თავი შეეხსენებინა, მან საგანგებო მიმართვა საქართველოს საპატრიარქოშიც გამოაგზავნა. რუსული სააგენტო „ინტერფაქსის“ ცნობით, დამოუკიდებელი სტატუსის აღიარების თხოვნით აპლიამ რუსეთის ეკლესიას 17 ნოემბერს კვლავ მიმართა.

„ინტერფაქსისსავე“ ცნობით, სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდს წერილი გაუგზავნა, რომლითაც აფხაზეთის კანონიკური ეკლესიის აღდგენის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

საქართველოს საპატრიარქოში გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს ე.წ. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიალურ რიგგარეშე კრებაზე ე.წ. აფხაზეთის კანონიკური ეკლესიის — ბიჭვინთის საკათოლიკოსოს აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. აპლია წერილში იმასაც წერს, რომ ახლად აღდგენილ ეპარქიას „ბიჭვინთისა და სოხუმის“ უწოდეს.

თავის წერილში აპლია ამტკიცებს, კრებამ გადაწყვიტა, აღნიშნულის შესახებ პირველად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდისთვის ეცნობებინა.

აფხაზური ეკლესიის წინამძღოლის ვარაუდით 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ქართული ეკლესიისთვის სასიხარულო უნდა ყოფილიყო.

— არაფერი უფრო გასახარი მცხეთის საკათალიკოსოსთვის არ უნდა იყოს, ვიდრე ის, რომ მან დაეკლესია — აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია ბიჭვინთის საკათოლიკოსო შეიძინა, — ნათქვამია წერილში.

თბილისში გამოგზავნილ წერილში ბესარიონ აპლია იმასაც წერს, რომ აფხაზეთში ეკლესიის მოქმედება მთლიანად შეჩერებულია. აპლიას მტკიცებით, ასეთი მდგომარეობა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ შეიქმნა.

საგანგებო წერილი ბესარიონ აპლიამ მოსკოვშიც გააგზავნა, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად მეუფე დანიელზეც არის საუბარი, რომელიც ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსია.

აპლია რუს სასულიერო პირებს წერს, რომ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აფხაზეთში ეპარქია მღვდელმთავრის, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტის დანიელის მიერ არ იმართება.

ბესარიონ აპლიას ამ ინიციატივას აფხაზეთში დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მართალია აფხაზეთს ყოველივე „დამოუკიდებელი“ მოსწონთ, მაგრამ აპლიას გაჟღერებული დიდად არ ხიბლავთ.

აფხაზეთის ეკლესიის ხელმძღვანელი დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. მისინიციატივას აფხაზური ეკლესიის აღიარების შესახებ რუსულ პრესაში საინტერესო გამოხმაურება მოჰყვა.

რუსული მედიის ვარაუდით ამ განცხადების გაკეთება ბესარიონ აპლიას საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად დასჭირდა. რუსულ პრესაში იმის შესახებაც წერდნენ, რომ აპლიას ხელში აფხაზეთში საეკლესიო ცხოვრება თითქმის ჩამკვდარია. ეკლესიებით და სიწმინდეებით მდიდარ აფხაზეთში ხატების შოვნა თურმე დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ასეა თუ ისეა, აპლია ისევ დამოუკიდებლობას ითხოვს. რუსული ეკლესია ისევ უარზეა. ამასობაში კი ნელ-ნელა ნათელი ხდება აპლიას ცხოვრების შავი დეტალები. რაც აფხაზეთის ეკლესიის ხელმძღვანელს დიდ უხერხულობას არ უქმნის.

დასაწყისი მე-5 გვერდზე

# კონსტანტინე გამსახურდია პარლამენტს არ ტოვებს

უშუალოდ შეხება ჰქონდა ზვიად გამსახურდიასთან. ფილმში რამდენიმე ადამიანი პრეზიდენტის გარდაცვალების სხვადასხვა თარიღს ასახელებს.

— ამ ფილმში წარმოდგენილი ადამიანები ცოცხლები არიან? მათი კომისიაში დაბარება შესაძლებელია? — დაინტერესდა ფილმის ნახვის შემდეგ უმრავლესობის წევრი ლაშა თორდია.

კონსტანტინე გამსახურდიას განმარტებით, ფილმში ნაჩვენები ყველა ადამიანი ცოცხალია, გარდა ავთანდილ იოსელიანისა, დანარჩენების მისამართები და კოორდინატები ცნობილია, ამიტომ მათი კომისიაში დაბარება პრობლემა არ იქნება.

კონსტანტინე გამსახურდიას თქმით, ჟურნალისტურ გამოძიებას თავის სპეციფიკა აქვს, მასში არ არის კომენტარები და მოსაზრებები და ძირითადად ნაჩვენებია ის სიტუაცია, რომელიც მაშინ იყო.

კომისიის წევრებმა მოსაზრება გამოთქვეს, რომ კარგი იქნება თუ კომისიაში მიიწვევენ ისტორიკოსებს, პოლიტოლოგსა და ფსიქოლოგს.

რაც შეეხება იმ ადამიანების სიას, ვისაც ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად დროებით კომისიაში მიიწვევენ, მათი ვინაობა ჯერ უცნობია.

— ჩვენ უახლოეს ხანებში შევადგენთ კონკრეტულ სიას. მას შემდეგ, რაც დავასრულებთ აუდიო და ვიდეო მასალების შესწავლას, შევადგენთ იმ ადამიანების სიას, ვისაც შეუძლია ფასეული ინფორმაცია მოგვაწოდოს. რასაკვირველია, ეს ადამიანები იქნებიან როგორც პრეზიდენტის გარემოცვიდან, ასევე ყოფილი მაღალჩინოსნები, — აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

პარლამენტის დროებით კომისიაში დაბარებული იქნება თუ არა ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე? ამ შეკითხვას კონსტანტინე გამსახურდიამ არაპირდაპირი პასუხი გასცა: „ყველა იქნება დაბარებული, ვისაც შეუძლია კომისიას ფასეული ინფორმაცია მისცეს. სიას მაშინ გაგაცნობთ, როდესაც ამაზე კომისიის წევრები შევჯერდებით, ყოფილი მაღალჩინოსნები ამ სიაში უნდა იყვნენ“.

კიდევ ერთი საკითხი უკავშირდება იმას, რომ პარლამენტის დროებით კომისიას საგამოძიებო სტატუსი არა აქვს. ორი დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს კონსტანტინე გამსახურდია კომისიისთვის საგამოძიებო სტატუსის მინიჭებას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კომისიას საგამოძიებო ფუნქციები არ მიენიჭებოდა, ის პარლამენტს დატოვებდა. კონსტანტინე გამსახურდია გუშინ განმარტავდა, რომ მას ასეთი ულტიმატუმი არ წამოუყენებია და ჟურნალისტის მხრიდან შეკითხვა არასწორად იყო დასმული.

— მე ასეთ ულტიმატუმებს არ ვსვამ. ჟურნალისტის მხრიდან კითხვა დაისვა უაღრესად ჰიპოთეტურ რეჟიმში და ამ შეკითხვაში ორი თუ სამი „თუ“ იყო. ჩვენ ამ ფორმატში სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია მუშაობის დაწყება, თუმცა, მომავალში, როცა საქართველოდან გასულ პირებს შეეხება საქმე, მართლაც შესაძლოა დაგვჭირდეს თანამშრომლობის ვალდებულების შემოღება. ვფიქრობ, ეს საკითხი გადაწყდება, — აღნიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ.

კომისიისთვის საგამოძიებო სტატუსის მინიჭება პირველივე სხდომაზე მოითხოვა უმრავლესობის წევრმა ბეჟან ხურციძემ. მას იგივე საკითხი გუშინ აღარ დაუსვამს.

იმისათვის, რომ დროებით კომისიას სტატუსი შეეცვალოს, ამ საკითხს მხოლოდ კომისია ვერ წყვეტს. კომისიას საგამოძიებო ფუნქციები მიენიჭება თუ არა, ამ საკითხს პარლამენტი წყვეტს და არა თავად კომისია.

კომისიის გუშინდელ სხდომას ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. ამ კომისიაში „ქრისტიან-დემოკრატებს“ 2 წევრი ჰყავს: ლევან ვეფხვაძე და რატი მაისურაძე. კომისიის სხდომის გაცდენის მიზეზი საპატიოა თუ არა, ამაზე გუშინ არაფერი თქმულა.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი 2 კვირის განმავლობაში კომისიის სხდომას ზედიზედ ორჯერ არასაპატიო მიზეზით გააცდენს, მისი კომისიიდან გაწვევის საკითხი დგება.

კომისიამ ამჯერად ორი სხდომა გამართა და არც ერთ სხდომას არ დასწრებია ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ლევან ვეფხვაძე. იმ შემთხვევაში, თუ ვეფხვაძის გაცდენები არასაპატიოდ ჩაითვლება, შესაძლოა ის კომისიიდან გაიწვიონ.

# დუდაევის ქვრივი საქართველოს მოქალაქეობას ელოდება

## რატომ წავიდა ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი საბჭოთა არმიაში

გერა მამულაშვილი

**„ჩეჩნეთის ხალხი ჯერჯერობით დუმს“, — ამ სათაურით ინტერვიუს „იჩქერიის“ პირველი პრეზიდენტის ქვრივ ალა დუდაევასთან რუსული გამოცემა „კომერსანტ ვლასტი“ აქვეყნებს. „ახალი თაობა“ მასალას შემოკლებით გთავაზობთ.**

*— მართალია, რომ თქვენ რამდენიმე წლის წინ რუსეთის მოქალაქეობაზე უარი თქვით, რასაც ჩეჩნეთის ხელისუფალნი გთავაზობდნენ?*

— ახმად კადიროვი იჩქერიაში ჩასვლას მთავაზობდა, უსაფრთხოების გარანტიას მაძლევდა და ფინანსური პრობლემის გადაწყვეტას, მაგრამ უარი განვაცხადე. როგორ უნდა წავსულიყავი ამაზე, როდესაც სხვებს საფილტრაციო ბანაკებში აწამებდნენ? მე სსრკ-ს მოქალაქე ვიყავი, მერე იჩქერიის მოქალაქე, ლიტვაში დროებით მაცხოვრებლის სტატუსი მომცეს, გაეროს ხაზით დევნილი ვარ. ამჟამად ვიმედოვნებ, რომ საქართველოს მოქალაქეობას მომცემენ.

*— თქვენ ცხოვრობდით თურქეთში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, მაგრამ მოქალაქეობა საქართველოში მოითხოვეთ. რატომ შეარჩიეთ ეს ქვეყანა?*

— ამ სამყაროში ნებისმიერი უსამართლობის მოწინააღმდეგე ვარ და მცრხვენია რუსად ვიწოდებოდე მას შემდეგ, რაც ჩეჩნებთან მიმართებაში გააკეთეს. ვფიქრობ, რომ საქართველოში ყველაზე დიდ სარგებელს მოვიტან. იცით, ჯოჰარი ამბობდა: „რუსეთის დამარცხება მხოლოდ ძალით შეიძლება“. ჩეჩენი ხალხი მაშინ ერთიანი იყო, იგი ძალას წარმოადგენდა და მან გამარჯვება შეძლო. მაგრამ ამის შემდეგ რუსული სპეცსამსახურების მრავალსვლიანი ოპერაცია იყო: ტყუილი, ეშმაკობა, გამყიდველობა, განხეთქილება უკვე რელიგიის საფუძველზე და ჩვენ დაგვამარცხეს.

მაგრამ ომი არ მსურს, მშვიდობის მომხრე ვარ. ჩვენ შვილებს ვშობთ არა იმისთვის, რომ ისინი კვდებოდნენ. იცით, თუ არა თქვენ ამჟამად ჩეჩნეთში რამდენი ქვრივია? მე თავად ქვრივი ვარ, მაგრამ 62 წლის ვარ და მიადვილდება და რამდენი ახალგაზრდა ქვრივი დარჩა, თითოეულს სამი-ოთხი ბავშვი ჰყავს. მათთვის ამ ცხოვრებაში ბედნიერება არ არსებობს. მე ვხედავ, როგორ მუშაობს მასმედია რუსეთში. როგორ ქმნიდნენ ისინი მტერს თავიდან ჩეჩნებისგან, ხოლო შემდეგ — ქართველებისგან. საქართველოშიც ხომ იგივე მეორდება, იმავე მეთოდებს იყენებს მათთან მიმართებაში რუსეთი.

ქართველმა ხალხმა ნაკლებად იცოდა იმის შესახებ, რაც ჩეჩნეთში ხდებოდა, მათ ჩვენნაირი გამოცდილება არ აქვთ. არ მსურს პოლიტიკით დავკავდე — მხოლოდ ჩვენი ბავშვების და შვილიშვილების სიცოცხლის უფლება უნდა დავიცვათ. მაგრამ როდესაც პოლიტიკოსები ახალ ცხელ წერტილებს ორგანიზებას უკეთებენ, ეს ჩვენს ცხოვრებაში და სიცოცხლის უფლებაში უხეში ჩარევაა.

*— როგორ ხედავთ თქვენს მონაწილეობას ტელეარხ „პირველ კავკასიურში“?*

— მსურს გადაცემაში მოვიწვიო ცნობილი ხალხი ჩრდილოეთ კავკასიიდან, რუსეთიდან, სხვა ქვეყნებიდან. ერთად ვიფიქროთ იმაზე, როგორ გავაერთიანოთ ჩვენი ხალხები. რუსები, აფხაზები, ჩეჩნები, ქართველები — ყველანი ძმები არიან, ჩვენ ხელოვნურად გაგვყვეს და გვაიძულებენ, რომ ერთმანეთი გვძულდეს.

*— თქვენი აზრით, რა ხდება ამჟამად ჩრდილოეთ კავკასიაში?*

— ეს ხომ ნათელია: ჩეჩნეთში მოსკოვის ხელდასმული კადიროვია, რომელიც პუტინზე ლოცულობს და ყველაფერს ზემოდან კარნახით აკეთებს. ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერია ოკუპირებულია, ხალხის ნახევარი საფილტრაციო ბანაკებში გაატარეს. წამებები, ძალადობები და შეურაცხყოფები, ეს ყველაფერი იყო, რათა ამ გზით ხალხის სიამაყე გაეტეხათ. მაგრამ ისინი ცდებიან. ჩეჩნეთის ხალხი დუმს — ძალის წინაშე ვერაფერს გააკეთებ, მაგრამ ასეა ჯერჯერობით. თქვენს გენერლებს იქ მხოლოდ ქვედაკაბების დატოვება სურდათ და მათ ეს გააკეთეს. საუკეთესო მამაკაცები დაიღუპნენ. ამჟამად იქ არიან ქალები, ბავშვები და ისინი, ვინც ადრე რუსეთზე „ენკავედეში“, „კაგებეში“ და „ფეესბეში“ მუშაობდნენ. ბევრნი ძალით არიან მიზიდულნი, ზოგიერთები სამუშაოდ წავიდნენ, რათა მათი ნათესავები არ დაეხოცათ, ანდა საკუთარი ოჯახები რომ გამოეკვებათ.

დემოკრატია, რომლისაც თქვენ ასე გჯერათ, ეს ერთ-ერთი ნაწილია იმ უზარმაზარი სიცრუის, რომელშიც რუსი ხალხი იმყოფება. ეს ჩვეულებრივი ტოტალიტარული რეჟიმია, რომელიც ხელისუფლებაში გადატრიალების გზით მოვიდა. როგორც ეს ყოველთვის ხდებოდა კრემლში. ეს არის სახელმწიფოს ტერორი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ომი მეზობელ ხალხებთან და მათი ძარცვა. ამჟამად რუსი პოლიტიკოსები კავკასიაში ახალი ომის გაჩაღებას ცდილობენ — საქართველოზე უნდა გავიდეს ნავთობსადენი, რომელიც რუსეთს ხელს უშლის, რომ მთელ მსოფლიოს საკუთარი პირობები უკარნახოს. კიდევ ნავთობი, ნებისმიერ დროს ნავთობი. უყურეთ, როგორ გამდიდრდნენ დღეს ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები რუსეთში: უბრალო ჩინოვნიკები მილიონერები გახდნენ, პირველი პირები — მილიარდერები. ხოლო ხალხი ღატაკია.

„ისინი მოსკოვიდან მიღებულ ბრძანებებს ასრულებდნენ და სძულდათ ჯოჰარი“.

*— თქვენ უჩვეულო ბედი გაქვთ: რუსი ხართ, გახდით მუსულმანი, ცხოვრობდით ჩეჩნეთში, ხოლო ამჟამად საქართველოში ცხოვრობთ. და თქვენ მუდმივად იბრძვით რუსეთის ხელისუფლებასთან.*

— მე არავის არ ვებრძვი. მშვიდობიანი ადამიანი ვარ. დავიბადე კოლომნაში, ვსწავლობდი სმოლენსკში. 22 წლის სიყვარულით გავთხოვდი, ეს იყო ლამაზი ისლამური ადათი, რომლის შემდეგაც მეუღლე და მუსულმანი გავხდი. ამჟამად ვარ მორწმუნე ადამიანი, ხოლო მაშინ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. მხოლოდ ახლა მესმის, რომ ჩემს ცხოვრებაში არავითარი შემთხვევითობა არ ყოფილა. მეორე კლასში ვნახე სიზმარი, რომელიც მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა. ამ სიზმარში მე მაღალ თეთრ კედელზე გავრბოდი, რომელიც მთელ ყაზახურ სტეპზე გადაიჭიმა. ყველაფერი მთვარის სინათლით იყო გავსებული. მონადირეების მიერ მიყუჟული ხუთი რუხი მგელი, ამ თეთრ კედელთან მიმწყვდეულნი იყვნენ და მე მიყურებდნენ, თითქოსდა დახმარებას ითხოვდნენ. მეორე მხრიდან კედლები ძველ სასაფლაოს წარმოადგენდა, ჯვრების გარეშე, მხოლოდ თეთრი ქვებისგან შემდგარი. ასე აღმოჩნდა შემდგომში ცხოვრებაშიც: ეს მომწყვდეული მგლები და მე. როგორ მსურდა მშვიდობა! როდესაც ჯოჰარი დაიღუპა, მოსკოვში თეთრი მანდილით ჩამოსვლა მსურდა. ვოცნებობდი, რომ ეს ძმათამკვლელი ომი დასრულებულიყო და ჯოჰარის საქმის გაგრძელება მსურდა, მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყება. მაგრამ მე არ მომცეს ამის საშუალება. ომის პარტია ჩემზე ძლიერი აღმოჩნდა.

*— ვინ იყო ამ პარტიაში?*

— ბევრნი კრემლში და ნომენკლატურა, რომელსაც ჩვენი დამოუკიდებლობის დაშვება არ შეეძლო. ეს იყო კორუმპირებული ელიტა, თითქმის ყველანი ისინი „კაგებეზე“ მუშაობდნენ. რესპუბლიკების ხელმძღვანელები მოსკოვის ხელდასმულები იყვნენ და მასთან გულუხვად რიგდებოდნენ. ჯოჰარი საბჭოთა არმიის ოფიცერი იყო, სადაც არანაირი მგავსი რამ არ ხდებოდა და ჩვენთვის აღმოჩენა გახდა, რომ სამოქალაქოზე თანამდებობებისთვის ასეთ ფულს იხდიდნენ. კოლმეურნეობის თავმჯდომარის ადგილისთვისაც კი 50 ათას რუბლს იხდიდნენ.

როდესაც 1991 წელს ჩეჩნეთის ხალხმა საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დაცვით დამოუკიდებლობა გამოაცხადა და პარლამენტი და პრეზიდენტი აირჩია, მოსკოვმა ჩვენ ბლოკადა გამოგვიცხადა; ხოლო ამ მინისტრებმა, ვინც საბჭოთა ხელისუფლებიდან დარჩნენ, საიდუმლო საბოტაჟი დაიწყეს. მაღაზიებიდან უცბად ყველაფერი გაქრა. ისინი ახალი მთავრობის წინააღმდეგ მოსახლეობის უკმაყოფილებას ზრდიდნენ. ისინი მოსკოვიდან მიღებულ ბრძანებებს არსულებდნენ და ჯოჰარს ვერ იტანდნენ. „შენ არავინ ხარ, ხოლო ჩვენ ყოველთვის ვიყავით, ვართ და ვიქნებით“, — ისინი ამ პრინციპით დღესაც რუსეთში ცხოვრობენ.

პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე მხოლოდ ორი პრეზიდენია, რომლებმაც „კაგებეშნიკური“ ნომენკლატურული ხელისუფლება რევოლუციური გზით გადააგდეს, — ეს არის იუშჩენკო და სააკაშვილი. მათ ხალხმა მხარი დაუჭირა. ამიტომაც მთელი რუსული ხელისუფლება მათ წინააღმდეგ დადგა და ამ ტერიტორიების საკუთარ კონტროლქვეშ დაბრუნება სურს.

*— ყოველთვის ვცდილობ გავიგო, თქვენს მეუღლეს, საბჭოთა ოფიცერს, რატომ მოუვიდა თავში ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის იდეა?*

— ეს მისი ოცნება იყო ბავშვობიდან მოყოლებული. ჯოჰარი ერთი წლის იყო, როდესაც მის ხალხთან ერთად ყაზახეთში გადაასახლეს; და როდესაც ამის შესახებ მიყვებოდა, მასში ისეთი განწირულობა იგრძნობოდა... ვუყურებდი ამ უფსკრულს ფსკერის გარეშე და მისი მესმოდა. ამ უსამართლობამ მას ბავშვობა დაუმახინჯა. ის ხომ სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა. მაგრამ ხალხის მტრად ითვლებოდა. 13 წელი ისინი დეპორტაციაში იყვნენ. ხოლო შემდეგ ხრუშჩოვის დროს ჩეჩენი ხალხი რეაბილიტირებული იქნა და ჯოჰარი სამშობლოში დაბრუნდა. ის ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა მატარებლების სახურავებით. მაშინ მეექვსე კლასში სწავლობდა. მაგრამ როდესაც ჩეჩნები დაბრუნდნენ, ნახეს რუსები, რომლებმაც მათი სახლები დაიკავეს. ხოლო სახლი იალხარაოის ველზე, სადაც ჯოჰარი დაიბადა, აფეთქებულ იქნა. ამის შესახებ ხშირად ყვებოდა. მერე ჯოჰარის დედა ჩამოვიდა და მათ გროზნოში გაიარეს, მან ჯოჰარს ორსართულიანი მაღაზია აჩვენა და უთხრა: — ეს შენი პაპის მაღაზიაა. მაგრამ იქ უკვე სხვა მეპატრონე იყო და ისინი ჩამოვიდნენ, როგორც ღატაკები. მაშინ ჩეჩნები ქალაქისგან შორს დაასახლეს, უბრალოდ უკაცრიელ ადგილებში მისცეს ნაკვეთები, რომ იქ სახლები აეშენებინათ. ჯოჰარმა თავად ააშენა სახლი: ხედავდა, მეზობელი როგორ აშენებდა და მის ქმედებებს იმეორებდა. თავიდან დროებითი ბინა ააშენა და მასში დედასთან ერთად ცხოვრობდა. ჯოჰარი დამოუკიდებლობას, თავისუფლებას აფასებდა. ის ყოველთვის ამბობდა, რომ თუკი მოსკოვი სსრკ-ს ადგილას მართლაც დამოუკიდებელი სახელმწიფოების კავშირის აშენების უფლებას მისცემდა, მაშინ ჩვენ ყველაზე ძლიერი კავშირი ვიქნებოდით მთელ მსოფლიოში.

*— მაშ რატომ წავიდა ის საბჭოთა არმიაში?*

— ის მფრინავობაზე ოცნებობდა. თავიდან ფიზიკის ფაკულტეტზე შევიდა, მაგრამ მშობლებს არაფერი უთხრა და საჰაერო სასწავლებელში წავიდა. ჩაბარებისას მოუწია, რომ ოსად ჩაწერილიყო, ჩეჩნებს არ იღებდნენ. ცისთვის იყო დაბადებული და მფრინავთაგან საუკეთესო გახდა. გენერალ ბეზბოკოვს, რომელთანაც შორეულ აღმოსავლეთში მსახურობდა, სურდა, რომ მხოლოდ ჯოჰარი ყოფილიყო მისი პილოტი, როდესაც ის სადღაც მიფრინავდა; მისი რეკომენდაციით ჯოჰარი გარნიზონის უფროსად დანიშნეს ციმბირში. ეს ძალიან მიტოვებული გარნიზონი იყო, მაგრამ რამდენიმე თვეში იქ წესრიგი დისციპლინა იყო და არცერთი უბედური შემთხვევა.

მის დანიშვნამდე, ჩვენ თითქმის ყოველ თვეში ვილაცას ვმარხავდით. მფრინავები ტუ-16-ზე დაფრინავდნენ, ძველ ბომბდამშენებზე, რომლებსაც რკინის კუბოებს უწოდებდნენ. ეს მშვიდობიანი დრო იყო, მაგრამ იქ ჩვენ მეგობრების ნახევარი დავმარხეთ. მაშინ ოფიცერთა სახლში მხატვრად ვმუშაობდი, სამგლოვიარო გვირგვინებს ვხატავდი.

*— მამა არ ეწინააღმდეგებოდა თქვენს ქორწინებას ჩეჩენთან?*

— რას ამბობთ! ჩემი მშობლები ინტერნაციონალისტები არიან. ჯოჰარიც მოსწონდათ. მათ დიდი პატივისცემით ეპყრობოდა. ჯოჰარი სოფელ შაიკოვკაში გავიცანი. სამსახურის ადგილზე იყო გაგზავნილი, ხოლო მამაჩემი იქ თვითმფრინავების დაჯდომას უზრუნველყოფდა. სხვათა შორის, მამაჩემი მაშინ მაიორი იყო და არა გენერალი. ზოგიერთი მედიასაშუალება ახლაც წერს, რომ ჯოჰარი ჩემზე იმიტომ დაქორწინდა, რომ მე გენერალ კულიკოვის ქალიშვილი ვიყავი.

*— თქვენ თვლიდით, რომ ჩეჩნეთს შეეძლო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა?*

— არა მარტო ვთვლიდი, ახლაც დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკა, როგორც სახელმწიფო, შედგა. ეს აჩვენა როგორც პირველმა რუსულ-ჩეჩნურმა, ასევე მეორე ომმა. ახალგაზრდებს ომში მოსაწვევით არავინ იწვევდა — ადამიანები თვითონ მოდიოდნენ. დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტიდან ხალხი ძალზე შთაგონებული იყო, მოედნებზე ლეზგინკას ხმები ისმოდა. ყველას ემოციური აღმასვლა ჰქონდა. საუკეთესო ახალგაზრდებს საპრეზიდენტო გვარდიაში არჩევდნენ. მაშინ ჯოჰარმა არ მისცა არც ნავთობის და არც მსხვილი საწარმოო ობიექტების, საწარმოების პრივატიზების უფლება, რომლებიც სტრატეგიულ ნედლეულს აწარმოებდნენ. ომის წინ რუს ჯარისკაცებს ურიგებდნენ ფურცლებს წარწერით: „ვინ ცხოვრობს ყველაზე უკეთ რუსეთში? ჩეჩნები. მაშ ვინ ცხოვრობს ყველაზე ცუდად რუსეთში? რუსები“. ასე აღვიძებდნენ შურს და სიძულვილს.



# კოდორიდან რუსებს ინერტული მასალა გააქვთ

**დღეს აფხაზეთი მტრის საჯიჯგნ ტერიტორიადაა ქცეული. იქიდან ქართველების გამოდევნის შემდეგ, არსებული რეჟიმის პირობებში, აფხაზეთი ყველანაირად ნადგურდება.**

გულიკო ბალა ე

გარდა იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე რუსეთის სამხედროები დაძრწიან, გამაღებული შენდება რუსული სამხედრო ბაზები, ყოველ კვადრატულ კილომეტრზე ოთხიდან თექვსმეტამდე ნაღმია ჩადებული, აფხაზეთიდან კვლავაც დიდი ინტენსივობით გააქვთ დიდი ოდენობით ინერტული მასალები.

აფხაზეთის გარემოს დაცვის სამმართველო მოითხოვს აფხაზეთში ჩატარდეს სიტუაციის შესწავლა, ეკოლოგიური მონიტორინგი, რათა საერთაშორისო ინსტიტუტებისთვის გახდეს ცნობილი, რა მდგომარეობაა ოკუპირებულ აფხაზეთში ბუნების დაცვის თვალსაზრისით.

აფხაზეთის გარემოს დაცვის სამმართველოს მონაცემებით, აფხაზეთში ბუნებრივი კატასტროფაა მოსალოდნელი.

აფხაზეთის გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე მაია ცანავა ამბობს, რომ მთელი აფხაზეთი ნაღმებითაა მოფენილი, მაგრამ არსებულ პირობებში შეუძლებელი ხდება ომის შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგების აღმოფხვრა.

ამიტომ აფხაზეთის ბუნებას დიდი კატასტროფა, ხოლო ბუნებრივ რესურსებს განადგურება ემუქრება. შეიძლება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორია ამჯერად უკვე ბუნებრივი კატასტროფის მსხვერპლი შეიქმნას.

— მსოფლიოში სულ ასი მილიონი ნაღმია მიმოფანტული და ის თავის დროს ელოდება. აფხაზეთში ეს მაჩვენებელი ერთ კვადრატულ კილომეტრზე 4-დან 16-ს აღწევს. ყოველთვიურად მსოფლიოში ნაღმებზე სახიჩრდება ან იღუპება 1000-დან 2 ათასამდე ადამიანი, — აცხადებს მაია ცანავა.

აფხაზეთის ბუნების დამცველები აცხადებენ, რომ აფხაზეთში შექმნილი ვითარების გამო, უნდათ ხმა მიაწვდინონ საერთაშორისო ოფიციალურ და არაოფიციალურ სტრუქტურებს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათ გამო მიმართეს როგორც საქართველოს ხელისუფლებას, ასევე გაეროს.

თუმცა, ამ შემთხვევაში შედეგზე კი არ არის საუბარი, არამედ იმაზე, რომ ვერც საქართველოს ხელისუფლებას და ვერც გაეროს ვერ დააჯერეს, აფხაზეთის ბუნება რომ იღუპება და შველას საჭიროებს.

— გვინდა ყურადღება მივიქციოთ საქართველოში მოქმედი საქართველოში მოქმედი, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, არასამთავრობო სტრუქტურების მხრიდან, რომ პოსტკომფლიქტურ აფხაზეთში ჩატარდეს სიტუაციის შესწავლა, ეკოლოგიური მონიტორინგი, შეფასება და საინვესტიციო გარემოს შექმნა. ამ მიზნით ერთხელ უკვე მივმართეთ როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებს, — განაცხადა მაია ცანავამ.

*— შედეგი რა იყო? თუ გამოგეხმაურნენ?*

— ძალიან ცოტა. აფხაზეთში არსებობენ რაღაც ორგანიზაციები, რომლებიც იქ მუშაობენ. ჩვენ მათი საიტებით მონაცემებს ვიღებთ.

*— მათგან თუ დაგეკონტაქტათ რომელიმე ორგანიზაციის წარმომადგენელი?*

— მათგან არავინ დაგვკონტაქტებია.

*— საერთაშორისო ორგანიზაციებიდან?*

— არა. პასუხი არასოდეს მიგვიღია.

*— ვის მიმართეთ კონკრეტულად, ვთქვათ, გაეროს?*

— გაეროს მივმართეთ, მაგრამ არავითარი შედეგი არ არის.

აფხაზეთის გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსი მარინა ზუხბაია კი ამბობს, რომ ჩვენს ხელისუფლებას ვერ უმტკიცებენ, აფხაზეთში ინენტული მასალები რომ ამოაქვთ და საერთაშორისო ორგანიზაციებს როგორ დაუმტკიცებენ.

— ჩვენ ხელისუფლებას ვერ ვუმტკიცებთ, რომ ინერტული მასალები ამოაქვთ. გვიტკიცებენ, არ ამოაქვთო. ჩვენმა სამმართველომ ეს საკითხი დასვა არა მარტო აფხაზეთის მთავრობაში, არამედ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსა და პარლამენტის შესაბამის კომიტეტში, რომ ინერტული მასალების გატანის მხრივ სასწაული მდგომარეობაა.

როცა საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ ჩვენთან ერთად მიმართა გაეროს ოფისს, რომელიც განთავსებულია აფხაზეთში, გაერომ ჩვენი ოფიციალური განაცხადის საპასუხოდ იქიდან კოსმოსიდან გადაღებული ფოტოსურათები გამოგვიგზავნა და გვიპასუხეს, დღეს აფხაზეთში ინტერტულ მასალებს არ იღებენო.

ამდენად, ჩვენ ვერ დავუმტკიცეთ საქართველოს მთავრობას და ვერ ვუმტკიცებთ გაეროს, რომ აფხაზეთიდან გააქვთ ინეტრული მასალები. ისინი გვეუბნებიან, რომ არ ამოაქვთ.

*— თქვენ საიდან გაქვთ ინფორმაცია, რომ ინერტული მასალები ამოაქვთ? თქვენ დოკუმენტები გაქვთ?*

— ჯერ ერთი, აფხაზეთიდან დოკუმენტების მოპოვება არცთუ ისე იოლია, მაგრამ ელემენტარული დოკუმენტი არსებობს იმის, სადაც ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ბაღაფშმა და სტავროპოლის ოლქის ხელმძღვანელმა. ამის თაობაზე ოფიციალური განცხადება იყო. ეს ინტერნეტშიც დევს.

*— ანუ რა განაცხადზეა საუბარი?*

— ბაღაფშმა და სტავროპოლის ოლქის ხელმძღვანელმა ხელი მოაწერეს

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# რუსთაველის თეატრი პრემიერებს მასპინძლობს

ეკა ირემაშვილი

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიო აკადემიურ თეატრში ერთი კვირის განმავლობაში რამდენიმე პრემიერა გაიმართება.

თეატრი საკუთარი რეპერტუარის გარდა, მაყურებელს სტუმარი თეატრალური დასების წარმოდგენებსაც შესთავაზებს. დედაქალაქში საკუთარ წარმოდგენებს ზუგდიდისა და ქუთაისის თეატრები გაითამაშებენ.

19 ნოემბერს შალვა დადიანის სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო დრამატული თეატრი სპექტაკლს „ზარატუსტრას ჟამი" რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე წარმოადგენს. სპექტაკლის რეჟისორია ირაკლი გოგია, მხატვარი — მარიკა კორკელია, ქორეოგრაფი — ირინა კუპრავა, რეჟისორის თანაშემწე კი მომა როგავაა. სპექტაკლში მონაწილეობენ გოგი გუგუჩია, ზამფირა გუნია, მარინა დარასელია, ზურაბ ლაშხია, მერაბ კაკალია, ნანა ბუკია, მალხაზ მესხია, ნათია გუდაძე, რეზო ჯოჯუა და ირაკლი კაკალია.

22 ნოემბერს რუსთაველის თეატრის სცენა უკვე ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრს დაეთმობა. უილიამ შექსპირის ტრაგედიის ახლებური ვერსია შემოქმედებითმა ჯგუფმა ქუთაისელ მაყურებელს უკვე შესთავაზა. რეჟისორმა გიორგი სიხარულიძემ ცნობილი პიესის დადგმა მიმოდრამის სტილში გადაწყვიტა. სპექტაკლში თეატრის მსახიობებთან ერთად თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებიც მონაწილეობენ.

რუსთაველის თეატრის დიდ სცენაზე რეჟისორ გიორგი სიხარულიძის ერთმოქმედებიანი მიმოდრამა თბილისელი მაყურებლისთვის გათამაშდება. სპექტაკლში ქორეოგრაფია და სასცენო მოძრაობები კახაბერ შარტავას ეკუთვნის, სცენოგრაფი — იოანე ხუციშვილია, კოსტიუმების მხატვარი — თეო კუხიანიძე, ხოლო რეჟისორის თანაშემწე — ვახტანგ ამანათიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ კახაბერ შარტავა (რომეო), ნინო ჭოლაძე (ჯულიეტა), აბელ სოსელია (მერკუციო), გაგი შენგელია (ბენვოლიო), ირინა გუბელაძე (ქალბატონი მონტეგი), მაგდა ჩიხლაძე (ქალბატონი კაპულეტი), რეზი ქაროსანიძე (ტიბალტი) და ნიკოლოზ ჯანგვაძე (ლორენცო).

24 და 25 ნოემბერს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე ლაშა თაბუკაშვილის „ასტეროიდი" იქნება წარმოდგენილი. სპექტაკლის რეჟისორია ვატო ჯულელი, კოსტიუმების მხატვარი — ნათია მარსაგიშვილი, სცენოგრაფია — მიშა ფერაძესა და ხატია დავითაშვილს ეკუთვნით, ქორეოგრაფია — თიკო ქოიავას. სპექტაკლში დაკავებული არიან ანი იმნაძე, პაატა პაპუაშვილი, გიორგი გოგუაძე, გიგი დედალამაზიშვილი, რუსუდან მაყაშვილი, გიგი მიგრიაული, ამირან ქაჩიბაია, ვატო წულუკიძე და ანო მურღულია.

ნოემბრის თვის ბოლოს კი რუსთაველის თეატრის მცირე სცენა კიდევ ერთ პრემიერას გამართავს. რეჟისორი გაგა გოშაძე თეატრის მოყვარულებს ნედიალკო იორდანოვის „გონზაგოს მკვლელობას" შესთავაზებს. პიესის თარგმანი ზურაბ გოშაძეს ეკუთვნის, მხატვრობა — მირიან შველიძეს, მუსიკალური გაფორმება — ია საკანდელიძეს, ქორეოგრაფია — კოტე ფურცელაძეს, რეჟისორის თანაშემწე კი გრიგოლ თათეიშვილია.

ერთმოქმედებიან სპექტაკლში მონაწილეობენ რუსთაველის თეატრის მსახიობები ზაალ ჩიქობავა, მარინა კახიანი, ჯემალ ღაღანიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, მანანა აბრამიშვილი, ნიკა ქაცარიძე, მურმან ჯინორია, ლევან ხურცია და გელა ლეჟავა.

როგორც თეატრში განმარტავენ, პიესა მეტად მნიშვნელოვან 1989 წელს დაიწერა. ეს იყო პერიოდი, როცა საბჭოთა კავშირი დაშლას იწყებდა. კომუნისტური იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფი აღმოსავლეთ ევროპა საჯარო საუბარს ჯერ ისევ ერიდებოდა იმ პრობლემებზე, რომლებიც დრამატურგმა ფართო მაყურებელს აღუწერა.

— ნადიალკო იორდანოვის პიესა ოსტატურად გვიამბობს ყოველდღიური სასტიკი რეალობის ამბავს და ეს ამბავი იმ კვინტესენციას ჰგავს, რომელიც დანიის პრინცმა ელსინორის სასახლეში მოხეტიალე მსახიობებს გაათამაშებინა.

„გონზაგოს მკვლელობის" პრემიერა რუსთაველის თეატრში 27 და 28 ნოემბერს გაიმართება.

# გალაკტიონის უცნობი ნახატები საჯაროდ გამოიფინა

**ქართული პოეზიის მეფედ წოდებული გალაკტიონ ტაბი ის უცნობი ნახატები და ხელნაწერები მის 117-ე დაბადების დღეზე საჯაროდ გამოიფინა.**

ეკა ირემაშვილი

თბილისში მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე პოეტის სახლ-მუზეუმში 17 ნოემბერს უნიკალური ექსპოზიცია გამოიფინა, რომელიც ფართო საზოგადოებას არასოდეს უნახავს. დამთვალიერებლის წინაშე გალაკტიონ ტაბიძის აქამდე უცნობი ხელნაწერები და ნახატები იყო წარმოდგენილი.

გალაკტიონ ტაბიძე ვანის რაიონის სოფელ ჭყვიშში დაიბადა. მისი მამა სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ასაკში გალაკტიონის დაბადებამდე შვიდი თვით ადრე გარდაიცვალა. იგი სოფლის მასწავლებელი იყო. დედა მაკრინე ადეიშვილი ვანის რაიონის სოფელ საპაიჭოდან იყო. გალაკტიონის თავის ავტობიოგრაფიაში ყოველთვის აღნიშნავდა, „ჩემი წინაპრები დედის ხაზით მოდიან აფხაზეთის მეფეების, შერვაშიძეთა გვარიდან — ჩემი დიდედის, გურული ქალის, ბერიძის დედა იყო შერვაშიძის ასული. ამგვარად, ჩემში არის სამნაირი ქართული სისხლი — აფხაზის, გურულისა და იმერლის".

გალაკტიონი ქუთაისში დეკანოზ ნესტორ ყუბანეიშვილის სახლში გახსნილ კერძო, ერთკლასიან მოსამზადებელ სკოლაში შეიყვანეს. მოგვიანებით იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში ჩაირიცხა, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამავე პერიოდში გალაკტიონის პირველი ლექსები გამოქვეყნდა, თუმცა, პოეტი ამან არ დააკმაყოფილა და გამოსცა ხელნაწერი ჟურნალი „შუქი". პარალელურად თანამშრომლობა დაიწყო ჟურნალ „ფასკუნჯთან". თავისი უახლესი მეგობრის, ნიჭიერი ახალგაზრდის ქუჩუ ქავთარაძის თვითმკვლელობით თავზარდაცემულმა გალაკტიონმა მიატოვა თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ხარაგაულის რაიონის სოფელ ფარცხნალაში, რომლის დახურვის მერე იგი მასწავლებლად ბათუმის მახლობლად გადავიდა. ერთი წლის შემდეგ მან პედაგოგობაზეც უარი თქვა და საცხოვრებლად ქუთაისში გადავიდა, სადაც სხვადასხვა გაზეთების რედაქციებში მუშაობდა. მისი ლექსები დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რასაც მოწმობს ისიც, რომ გალაკტიონმა მონაწილეობა მიიღო გაზეთ „თემის" ლიტერატურულ კონკურსში, სადაც მისმა ლექსმა „უხილავი" მესამე პრემია დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, პოეტმა დიდხანს ვერ შეძლო საკუთარი ლექსების კრებულის გამოცემა. მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ ქუთაისში მისი ლექსების პირველი კრებული გამოიცა.

გალაკტიონი დაქორწინდა ოლღა ოკუჯავაზე და მასთან ერთად მოსკოვში გაემგზავრა, სადაც მოსკოვის სცენისმოყვარეთა ექვსთვიანი სარეჟისორო კურსები დაამთავრა. ამავე წლის ზაფხულში იგი სამშობლოში დაბრუნდა.

1919 წელს გალაკტიონ ტაბიძის ლექსების მეორე კრებული „თავის ქალა არტისტული ყვავილებით" გამოვიდა, თუმცა, იგი ბეჭდურ მედიას არ ჩამოშორებია. მისი რედაქტორობით საქართველოს მწერალთა კავშირი გამოსცემდა ჟურნალ „ლომისს". მოგვიანებით კი პოეტმა დააარსა საკუთარი ლიტერატურული ორგანო „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი". გალაკტიონმა ჟურნალ „მნათობის" მეხუთე ნომერში დაბეჭდა პოემა „მოგონებები იმ დღეებისა, როცა იელვა", რომელიც მწვავე პოეტური გამოძახილია 1921-24 წლებში საქართველოში მომხდარი ტრაგედიისა. საბჭოთა მთავრობამ გალაკტიონი დააპატიმრა და მეტეხის ციხეში მოათავსა ამ პოემის დაბეჭვდისათვის, ხოლო აღნიშნული ჟურნალის ტირაჟი მთლიანად გაანადგურა. ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ამავე ჟურნალის მეათე ნომერში კალაკტიონის ასი ლექსი დაიბეჭდა. მოგვიანებით კი გამოვიდა გალაკტიონ ტაბიძის ლექსების ერთტომეული, ე.წ. „ზარნიშიანი წიგნი". ხანმოკლე პაუზის შემდეგ ერთდღიური გამოცემა „გალაკტიონი" დაიბეჭდა, რომელშიც მოთავსებული იყო გალაკტიონისადმი მიძღვნილი წერილები და ლექსები. სოხუმში გაიმართა პოეტისადმი მიძღვნილი დიდი საზეიმო საღამო, სადაც მას მიართვეს ლირა წარწერით: „გალაკტიონს — პოეტების მეფეს".

გალაკტიონმა ჩამოყალიბდა ქართველ მწერალთა ახალი ლიტერატურული დაჯგუფება „არიფიონი", რომლის ფორმალურ წევრად თვითონაც ითვლებოდა. 1928 წელს პოეტის მოღვაწეობის 20 წლის იუბილე ჩატარდა. ამ პერიოდში შემოქმედმა იძულებით დაიწყო თავის შემოქმედებაში ე.წ. „გარდატეხის პერიოდისათვის" დამახასიათებელი ნაწარმოებების წერა „პაციფიზმი", „რევოლუციონერულ საქართველოს".

გალაკტიონი მიავლინეს მოსკოვში, კომუნისტური ინტერნაციონალის VI კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ქალაქებში სამოგზაუროდ. მისი მოგზაურობა ამით არ დასრულებულა, ერთი წლის შემდეგ მთავრობამ გალაკტიონი სომხეთში ამოგზაურა. ამავე წელს მისი მეუღლე ოლღა ოკუჯავა უზბეკეთში გადაასახლეს, სადაც მან სამი წელი დაჰყო. თუმცა, ეს არ იყო დასასრული, 1937 წელს ოლღა ოკუჯავა ხელმეორედ დააპატიმრეს და სამუდამოდ გადაასახლეს. ამ მოვლენამ პოეტზე საშინლად იმოქმედა.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტს იუბილეებსაც სისტემატურად აღუნიშნავდნენ და სხვადასხვა პრემიებითა და სიგელებითაც აჯილდოვებდნენ, იგი მაინც თავის სათქმელს და პრინციპებს არ ღალატობდა. 1959 წლის 17 მარტს პოეტმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. იგი მთაწმინდაზე დაკრძალეს. 2000 წლის ივნისში კი საქართველოს მართლმადიდებულმა ეკლესიამ შეუნდო მას თვითმკვლელობის ცოდვა, როგორც ლოგიკური შედეგი საბჭოთა მთავრობის მიერ მიყენებული ტანჯვისა.

სულ ახლახან კი გარემოს დაცვის სამინისტროს ძალისხმევით სოფელ ჭყვიშში, გალაკტიონის მშობლიურ სოფელში ნაპირდაცვითი სამუშაოები დასრულდა. რიონის მარცხენა სანაპირო ქვანაყარი დამბით გამაგრდა. ამ სამუშაოებზე გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ 400 ათასი ლარი დაიხარჯა.

მდინარე რიონი წლების განმავლობაში საფრთხეს უქმნიდა ცნობილი პოეტების გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმებს. გრანიტის დიდი ლოდები კი ახლა საუკუნოდ დაიცავს ტაბიძეების სახლ-მუზეუმებს დანგრევისა და საფრთხისაგან.

რაც შეეხება გალაკტიონის დაბადების 118-ე წელს, ექსპოზიციის ავტორებმა განაცხადეს:

— გალაკტიონი ბოლომდე ამოუცნობი და შეუსწავლელი დარჩა. არც დრო გადის მისი სიდიადე კიდევ უფრო დასტურდება. ამოუწურავია მისი შემოქმედება. ჩვენ მის დაბადების დღეზე საგანგებოდ გამოვფინეთ ის ხელნაწერები და ნახატები, რომლებიც ფართო საზოგადოებას არასოდეს უნახავს.

**გიგი უგულავა, დედაქალაქის მერი:**

— გალაკტიონი ჩემთვის, ისევე როგორც ნებისმიერი ქართველისთვის საყვარელი და გამორჩეული პოეტია. იგი ჩემთვის უფრო მეტია, ვიდრე საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო პოეტი. გალაკტიონის მხატვრობა განყენებული თემაა, რომელიც ბევრი ჩვენი თანამოქალაქისთვის ნამდვილი აღმოჩენა იქნება. მათ ეძლევათ შანსი, რომ მოვიდნენ გალაკტიონის სახლ-მუზეუმში და მისი ნახატები დაათვალიერონ. ყველასთვის ცნობილია, რომ კარგ ლექსებთან ერთად გალაკტიონი კარგადაც ხატავდა.

**რევაზ მიშველაძე, მწერალი:**

— ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გალაკტიონის უცნობი ნახატების და მისი ხელნაწერების ნახვა შევძელი. ეს დიდი მოვლენაა დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, ამიტომ დიდი გალაკტიონის ეს უნიკალური საგანძური რაც შეიძლება მეტმა დამთვალიერებელმა უნდა ნახოს.

# მარგო ლუჩკო „მისის მსოფლიოზე" მონაწილეობს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ბავშვია, მაშინ ქალი კიდევ უფრო ლამაზი და სასურველია.

„მისის მსოფლიოს" კონკურსის 40-წლიანი არსებობის მაძილზე ყველაზე დიდი აჟიოტაჟი „მისის მსოფლიო 2006"-მა გამოიწვია. ამ კონკურსის მასპინძელი ორი წლის წინ სანკტ-პეტერბურგი იყო. ჯერ იყო და დიადემას, რომელიც დედამიწის ყველაზე მომხიბვლელი ქალისთვის დამზადდა, კონკურსის დანარჩენ ძვირფასეულობასთან ერთად კონფისკაცია ჩაუტარდა. ამის მიზეზად საბაჟოზე დაასახელეს ის ფაქტი, რომ ამ სამკაულებმა ამერიკიდან გამოტანის დროს აქციზური შემოწმების აუცილებელი პროცედურა არ გაიარეს, ამიტომ 30 ათასამდე დოლარის ღირებულების ბრილიანტებით შემკული თეთრი ოქროს გვირგვინი ზუსად შოუს დაწყების წინ გამოიტანეს დროებითი შემნახველი საკნიდან. მეორე და ყველაზე აღმაშფოთებელი კონკურსის ორგანიზატორთათვის ის იყო, რომ „მისის მსოფლიოზე" ჩასვლა 54 ფინალისტიდან 20 სანკტ-პეტერბურგში რუსეთში ვიზების პრობლემების გამო ვერ მოხვდა.

„მისის მსოფლიოს" კონკურსში მონაწილეებისთვის სავალდებულო არ არის სტანდარტული პარამეტრების ფორმა. კონკურსის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით, სავსებით საკმარისია კონკურსანტებს მეუღლეები ჰყავდეთ. თუმცა, სავალდებულოა მისის მსოფლიოს ტიტულისთვის მებრძოლთ „შინაგანი სილამაზე" გააჩნდეთ.

წელს „მისის მსოფლიოში" 85 ქვეყნის წარმომადგენელი იღებს მონაწილეობას. საქართველოს წარმომადგენელმა საქართველო იმ განწყობით დატოვა, რომ იმედი აქვს, საუკეთესო ხუთეულში აუცილებლად მოხვდება.

საქართველოს წარმომადგენელი მარგო ლუჩკო უკვე იმყოფება ვიეტნამში. 20 ნოემბერს საერთაშორისო კონკურსის „მისის მსოფლიო 2009" პირველი ეტაპი უნდა გაიმართოს. დასკვნითი ფინალური კონკურსი კი ორგანიზატორების მიერ 22 ნოემბერს არის დაგეგმილი, სადაც დედამიწის წლევანდელი ყველაზე მომხიბვლელი ქალბატონი დასახელდება.





მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.


# კოდორიდან რუსებს ინერტული მასალა გააქვთ

დასაწყისი მე-7 გვერდზე

დოკუმენტს, სადაც გაცხადებულია, რომ აფხაზეთი სტავროპოლის მხარეს ინერტული მასალების 58 მილიონ კუბურ მეტრს გაატანს სოჭის ოლიმპიადისთვის. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენი მონაცემები არის ფაქტობრივად იმ ხალხისაგან გამოტანილი მონაცემები, რომლებიც იქ შედიან და გამოდიან.

სულ რაღაც ერთი თვის წინ, მდინარე კოდორის შესართავთან, ხიდთან ახლოს ამოიღეს ინერტული მასალები. არსებობენ თვითმხილველები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას, თუ როგორ გაქვთ იქიდან ინერტული მასალები, აბსოლუტურად დაუფარავად. გამალებული ტრანსპორტის მოძრაობაა. 24 საათის განმავლობაში მუშაობენ.

***— თქვენ ამბობთ, გაერომ კოსმოსიდან გადაღებული ფოტომასალა გამოგვიგზავნაო. თქვენს მიერ ხსენებული ტერიტორიის ფოტომასალა არ შეგვიძლია მოვიპოვოთ? ხომ შეიძლება მოვითხოვოთ?***

— ალბათ, შეიძლება მოვითხოვოთ.

***— საკითხი უნდა დასვათ, რა ხდებოდა ამ ტერიტორიაზე სწორედ იმ პერიოდში, რომელ პერიოდზეც არის საუბარი.***

— ერთი თვის წინ გაჰქონდათ და დღესაც გააქვთ.

# განცხადებები


● ქირავდება ვაჟა-ფშაველას II კვარტალში ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ყველანაირი ავეჯი, ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გათბობა, ცხელი წყალი) ბინა. ტელ: 899-103-183.

● სილამაზის სალონი „შარმი" აწარმოებს მოსწავლეების მიღებას 3-თვიან კურსებზე სამკურნალო გამაჯანსაღებელი და ბავშვთა მასაჟი, სტილისტი-ვიზაჟისტი, კოსმეტოლოგიის კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. ფასი 300 ლარი. გაგიწევთ შემდეგ მომსახურებას: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საქორწილო, საბანკეტო ვარცხნილობები, ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# ფილიპ ლამი: „ნაკრებშიც და ბაიერნშიც ერთნაირი პრობლემაა“

**გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელმა ფილიპ ლამმა საჯაროდ გააკრიტიკა კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა, რისთვისაც ჯარიმის შეთხელება 50.000 ევროთი მოუხდა. თუმცა, ამ თანხის გადახდის შემდეგ სულაც არ გასჭირვებია თავისი 26-ე დაბადების დღე გადაეხადა, სადაც ისინიც ჰყავდა მიწვეული, ვისაც ეს სოლიდური თანხა გადაურიცხა.**



ბავარიული კლუბისთვის სარეკორდოდ გადახდილი თანხა კი ინტერვიუს მიცემისთვის მოუწია, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

***— ზაფხულში შეგეძლოთ „ბარსელონას“ ფეხბურთელი გამხდარიყავით, მაგრამ „ბაიერნთან“ კონტრაქტის გაგრძელება არჩიეთ. ახლა ხომ არ ნანობთ ამ გადაწყვეტილებას?***

— დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ გადაწყვეტილებას არ ვნანობ, რადგან ვთვლი „ბაიერნის“ შემადგენლობაშიც შემიძლია გარკვეული წარმატების მიღწევა. რატომ უნდა გადავიდე სხვა გუნდში, როდესაც შემიძლია ჩემი საყვარელი საქმე „ბაიერნშიც“ ვაკეთო — აქ ჩემი სახლია, ჩემი კლუბი, სადაც გავიზარდე.

***— „ბაიერნი“, შესაძლოა, ვადამდე გამოვარდეს ჩემპიონთა ლიგის გათამაშებიდან.***

— თუ „ბაიერნის“ ჩემპიონთა ლიგის სხვა ტოპკლუბებს შევადარებთ, სადღაც მე-7 ან მე-8 ადგილზე აღმოჩნდება. თუ გვინდა „ბარსელონას“, „ჩელსის“ ან „მანჩესტერს“ თანაბრად ვებრძოლოთ, „ბაიერნს“ საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფია უნდა გააჩნდეს — ეს უნდა იყოს გუნდის მთავარი მიზანი.

***— ბოლო წლების განმავლობაში კლუბში საკმაოდ სოლიდური თანხა ჩაიდო.***

— ბოლო დროს ნაწილობრივ არ გვიმართლებდა ტრანსფერებში. ამასთან, ძალიან ბევრი იყო დამოკიდებული იმაზეც, რომ გუნდმა ბოლო დროს რამდენიმე მწვრთნელი გამოიცვალა, რომლებსაც სხვა და სხვა საფეხბურთო შეხედულება ჰქონდათ. თავის მხრივ, ისეთ კლუბებში, როგორიც „ბარსელონა“ და „მანჩესტერია“, მოქმედებს თამაშის საკუთარი სქემა, რომელსაც უხამებენ ფეხბურთელებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გუნდში ფეხბურთელებს იწვევენ კონკრეტულ პოზიციაზე.

***— „ბაიერნში“ ასე არ ხდება?***

— ჩვენთან ცოტა განსხვავებულად არის საქმე. მაგალითად, გუნდში მოიწვიეს არიენ რობენი, რომელიც შესანიშნავი ფეხბურთელია — მსოფლიოს დონის ვარსკვლავი, მაგრამ მისი მოსვლის შემდეგ გუნდმა თამაში დაიწყო 4-3-3 ტაქტიკური სქემით. გამოდის, რობენი კი არ მოერგო გუნდს, გუნდი მოერგო რობენს, რადგან „ბაიერნს“ ამ სქემით მანამდე არასდროს უთამაშია. გუნდში ბევრი მაღალი კლასის თავდამსხმელია და ამ სათამაშო სქემის დროსაც კი 2-3 მათგანი თადარიგში რჩება. როდესაც გუნდი ყიდულობს ისეთ თავდამსხმელს, როგორიც მარიო გომესია, უფრო მართებულად მიმაჩნია 4-4-2 სქემით ითამაშოს — ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით, როგორც ვემზადებოდით სეზონის წინ. რობენის მოსვლამ კი მოსამზადებელ პერიოდში გაწეული სამუშაო შეცვალა. ისევ „ბარსელონას“ მაგალითს დავუბრუნდები — ზლატან იბრაჰიმოვიჩის ყიდვით, მათ შეეძლოთ შეენარჩუნებინათ სამუელ ეტოოც, მაგრამ კარგად იცოდნენ, რომ თავდასხმაში ითამაშებდა იბრაჰიმოვიჩ-ანრის დუეტი და ისეთი მაღალი კლასის თავდამსხმელი, როგორიც ეტოა, სათადარიგოთა სკამზე დარჩებოდა.

***— დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ „ბაიერნის“ სუსტ ნახევარდაცვის ხაზზე.***

— მეც დარწმუნებული ვარ, რომ გუნდის ყველაზე სუსტი წერტილი სადღეისოდ სწორედ ნახევარდაცვაა. გუნდი ძალიან ბევრს თამაშობს დაცვიდან. უმნიშვნელოვანესია, რომ გუნდმა უკვე დაიწყოს შეტევითი ფეხბურთის თამაში, მაგრამ ჩნდება კითხვა — რის ხარჯზე? ჩვენ გვყავს ორი მწვავე შემტევი ნახევარმცველი არიენ რობენისა და ფრანკ რიბერის სახით, გვყავს მაღალი კლასის თავდამსხმელებიც, თუმცა არ გვყავს ფეხბურთელები, რომლებიც შეძლებენ დაცვისა და შეტევის შეკავშირებას. მაგალითად, ისეთი ფეხბურთელები, როგორიც „ჩელსის“ ჰყავს ფრენკ ლამპარდისა და მიხაელ ბალაკის სახით. ჩვენი თამაშისას ბურთი მოედნის ცენტრში უაზროდ დაგორავს და წინ შესაქმნელად ვერაფერს ვახერხებთ.

***— მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი კი ირწმუნება, რომ ფეხბურთელებისგან ბურთის ელემენტარულ კონტროლს მოითხოვს.***

— როგორც თქვენ აღნიშნეთ, ვან გაალი ამას მოითხოვს და ბურთის კონტროლიც ძალიან მნიშვნელოვანია. ისევ „ბარსელონას“ მაგალითს მოვიყვან, რომელსაც შესანიშნავად შეუძლია ბურთის ფლობა, მაგრამ ისინი მუდმივად და მიზანმიმართულად მიდიან შეტევაში, რაც ჩვენ ასე ძალიან გვაკლია. ყოველთვის მიჩნდება კითხვა, ვინ უნდა შეძლოს ეს ყველაფერი ჩვენს გუნდში. ერთი, რასაც ვხვდები, ის არის, რომ „ბაიერნის“ ასეთი თამაში მისაღებია მხოლოდ ბუნდესლიგისთვის და არა საერთაშორისო არენებზე. საჭიროა გუნდში 8 მაღალი კლასის ფეხბურთელი მაინც იყოს, რათა ერთმანეთს ღირსეული კონკურენცია გაუწიონ. ჩვენს გუნდში კი ამ 8 ფეხბურთელს ვერ ვხედავ. ეს ყველაფერი კი იმის ბრალია, რომ კლუბში ბოლო წლებია საფეხბურთო ფილოსოფია არ არის.

***— ბოლო წლებში „ბაიერნის“ შემადგენლობაში ასევე აქტუალური რჩება მეორე განაპირა მცველის საკითხი. ეს ადგილი მას შემდეგ გამოთავისუფლდა, როდესაც 2007 წელს ტრავმა მიიღო ვილი სანიოლმა.***

— გეთანხმებით. ახლა ამ ადგილზე ძალებს ედსონ ბრაფჰეიდი მოსინჯავს. მანამდე ამ ადგილზე იჯარით აყვანილი მასიმო ოდო თამაშობდა, ასევე მარსელ იანსენი, კრისტიან ლელი და ანდრეას გიორლიტცი. სულ ეს იყო — მეტი არ გამოჩნდა ფეხბურთელი, რომელიც შეძლებდა მაღალ დონეზე თამაშს და მწვრთნელის ნდობას მოიპოვებდა.

***— ითვლება თუ არა ლუის ვან გაალი იმ კრიზისის პასუხისმგებლად, რომელიც ამჟამად „ბაიერნშია“?***

— ვთვლი, რომ უფრო ფეხბურთელებმა უნდა ვითამაშოთ უკეთესად და მთავარ დამნაშავედ სწორედ ჩვენ თავს მივიჩნევ. მწვრთნელმა განახორციელა რამდენიმე ტრანსფერი, რომლის გამო მას მკაცრად აკრიტიკებენ, მაგრამ ვან გაალის ფხიზელ თვალს წამითაც არ ეპარება გუნდში შექმნილი სიტუაცია. მისი ექსპერიმენტები და მუდმივი გადანაცვლებები მიგვანიშნებს, რომ ვან გაალი ჯერ კიდევ ძიებაშია. პირადად მე მომწონს, რომ ძალიან ბევრ დროს უთმობს ტაქტიკას. ჰოლანდიელი მწვრთნელი ისეთი მასწავლებელია, როგორიც მანამდე არ მყოლია. სწორედ ამის გამო მიმაჩნია, რომ ახლა ისეთი მწვრთნელი გვყავს, რომელსაც შეუძლია „ბაიერნის“ აწყობა.

***— ვან გაალი მკაცრი მწვრთნელია?***

— ძალიან განსხვავებული მწვრთნელია მათ შორის, ვინც აქამდე ყოფილა „ბაიერნში“. ვან გაალი დიდ ყურადღებას უთმობს დისციპლინას და ბევრ ფეხბურთელს ამის გამო პრობლემები ექმნება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ცხოველივით იქცევა და ჩვენგან რამე უმიზნო და შეუსრულებელი საქმეების გაკეთებას ითხოვს. მას ჯერ კიდევ სჭირდება დრო, მაგრამ ისედაც დარწმუნებული ვარ, რომ ძლიერი მწვრთნელია. მიყვარს მასთან ერთ-ერთში საუბარი და გულღიაც არის, იმის მიუხედავად, რომ ბევრს უჭირს მასთან საერთო ენის გამოძებნა.

***— ბოლო კითხვა უკვე გერმანიის ანკრებს შეეხება — გახდება ბუნდესმანშაფტი მსოფლიოს ჩემპიონი 2010 წელს?***

— შესარჩევი ციკლი პირველი ადგილით დავასრულეთ, ხოლო რუსეთში დიდებული კლასის ფეხბურთი ვითამაშეთ. თუმცა, ნაკრებზეც იგივეს თქმა შემიძლია, რაც „ბაიერნზე“. ბუნდესგუნდმაც უფრო უკეთ უნდა ითამაშოს — ყოველთვის იმ გუნდებთან გვექმნება პრობლემები, რომლებიც ყრუ დაცვიდან გვეთამაშებიან. სწორედ ამ დროს ვერ ვახერხებთ მათი კარისკენ მისასვლელ გზებს. ეს პრობლემა ნაკრებშიც ძალიან მწვავედ დგას და „ბაიერნშიც“.

# ლონდონში ცვლილებაა

საჩოგბურთო სეზონს ერთი ტურნირი შემორჩა — შემაჯამებელი, რომელსაც ლონდონი უმასპინძლებს და მხოლოდ 8 ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას. ამის თაობაზე ადრეც ვწერდით და მათი სიაც გაგაცანით, მაგრამ ერთი ცვლილება მოხდა — ტრავმირებული ენდი როდიკის ნაცვლად ლონდონში შვედი რობინ სოდერლინგი ითამაშებს. ამერიკელი ჩოგბურთელისთვის პარიზის ტურნირზე მიღებული ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და წლის მნიშვნელოვანი შეჯიბრის გამოტოვება მოუწევს.

შემაჯამებელი ტურნირი სტარტს 22 ნოემბერს აიღებს და 29-ში დასრულდება. კიდევ ერთხელ გაგაცნობთ მათ სიას, ვინც წლის ბოლო ტიტულისთვის იბრძოლებენ — როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ენდი მიურეი, ხუან მარტინ დელ პოტრო, ნიკოლაი დავიდენკო, ფერნანდო ვერდასკო, რობინ სოდერლინგი.

კომენტარებისგან ჯერჯერობით ყველა თავს იკავებს, მხოლოდ სერბმა ჯოკოვიჩმა გათქვა თავისი აზრი.

— სეზონის ბოლოს 2 დიდი ტურნირი ზედიზედ მოვიგე, რაც ძალიან მახარებს. ეს გამარჯვებები კიდევ უფრო მეტ თავდაჯერებას შემმატებს და დარწმუნებული ვარ, ლონდონში კარგად ვითამაშებ, — განაცხადა სერბმა ჩოგბურთელმა.

მონაწილეებისგან განსხვავებით, თავისი აზრი გამოთქვა ყოფილმა ჩოგბურთელმა ავსტრალიელმა პატრიკ კეშმა, რომელიც მომავალ ტურნირზე გამოკვეთილ ფავორიტს ვერ ხედავს.

— ლონდონის შემაჯამებელი ტურნირი ყველაზე საინტერესო იქნება მთელი წლის განმავლობაში. სიმართლე გითხრათ, გამოკვეთილ ფავორიტს ვერ ვხედავ. მართალია, ლონდონში ფოჯერ ფედერერი ითამაშებს, მაგრამ სადღეისოდ შვეიცარიელს მსოფლიოს აბსოლუტურად საუკეთესო ჩოგბურთელად ვერ მივიჩნევ, — აღნიშნა კეშმა.

# ამაურის ოცნება „სკუადრა აძურაა“

2010 წლის მარტში ტურინის „იუვენტუსის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი ამაური იტალიის მოქალაქეობას მიიღებს. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, რომ ამაური მარჩელო ლიპის სანაკრებოდ ჰყავს შეგულებული და გამორიცხული არ არის, მისი პირველი დიდი ტურნირი 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი იყოს.

იტალიელ ფეხბურთელთა უმრავლესობამ კი ამაურის გაიტალიელებას მხარი არ დაუჭირა. ამის ყველაზე ხმაურიანი მოწინააღმდეგე „სამპდორიას“ თავდამსხმელი ჯანპაოლო პაცინი გამოდგა, რომელსაც ამაურის ნაკრებში გამოჩენა ისედაც მცირე შანსს კიდევ უფრო უმცირებს. თავად ამაურის კი პაცინის გამოხტომები საერთოდ არ აღელვებს და აცხადებს, რომ იტალიის ნაკრებში თამაში მისი ოცნებაა.

— მინდა „სკუადრა აძურას“ ღირსება დავიცვა. უკვე წელიწადია ველოდები იტალიის მოქალაქეობას. იმედი მაქვს, მარტში ეს საკითხი მოგვარდება, მარჩელო ლიპი ნაკრებში მიმიწვევს და სამხრეთ აფრიკაში იტალიის ნაკრების მაისურით ვითამაშებ. თუმცა, კარგად ვხვდები, რომ იტალიის ნაკრებში თამაში კარგი ფეხბურთელობით უნდა დავიმსახურო, ამიტომ ვაპირებ „იუვენტუსში“ შესანიშნავი სეზონი ჩავატარო. პაცინის შეუძლია, რაც უნდა ის თქვას, მაგრამ მინდა, რომ ჩემს არჩევანს პატივი სცეს. მივიღე გადაწყვეტილება, რომ იტალიის ნაკრებში ვითამაშო და ამას მივაღწევ კიდეც, — განაცხადა ამაურიმ.

# ექიმმა ვალუევს წასვლა ურჩია

ცნობილმა გერმანელმა ექიმმა ვალტერ ვაგნერმა, რომელიც გერმანიის კრივის კავშირში მუშაობს, მსოფლიოს ექსჩემპიონს სუპერმძიმე კატეგორიაში რუს ნიკოლა ვალუევს ურჩია, რომ კრივს თავი დაანებოს.

ექიმის აზრით, ვალუევის ფიზიკური მონაცემები (213 სმ, 144 კგ) მოკრივეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

თავად მოკრივე კი კარიერის დასრულებას არ აპირებს და ცნობილ ექიმს არაპროფესიონალიზმში დასდო ბრალი.

— ნიურბერგის ბრძოლის შემდეგ ექიმ ვაგნერის გამონათქვამი მის არაპროფესიონალიზმზე მიგვანიშნებს. არანაირ პრობლემებს არ ვგრძნობ და მისი გამონათქვამი უფრო პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობს. თუმცა, რაც უნდა ის ილაყბოს - კრივს თავს მაინც არ დავანებებ და ჰეისთან მატჩ-რევანშისთვის მოვემზადები, — განაცხადა რუსმა გიგანტმა.

გეტყვით, რომ ვაგნერსა და ვალუევს შორის დიდი ხანია უთანხმოება სუფევს. რამდენიმე წლის წინ გერმანელმა ექიმმა ერთ-ერთ ბულვარულ გაზეთს ვალუევის სურათები მიჰყიდა, რომელშიც მოკრივე საავადმყოფოს პალატაში იწვა და განაცხადა, რომ მოკრივემ ოპერაცია გაიკეთა, რითიც მოკრივის ჯანმრთელობის კონფიდენციალურობა არ დაიცვა.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული კი ვალუევმა ერთი კვირის წინ დაკარგა, როდესაც ბრიტანელ დევიდ ჰეისთან 12-რაუნდიანი ბრძოლა ქულებით წააგო.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ომანი-ბრაზილია | 0:2 |
| სლოვაკეთი-ჩილე | 1:2 |
| ს.აფრიკა-იამაიკა | 0:0 |
| ბელგია-ყატარი | 2:0 |

**ერ. შესარჩევი ეტაპი (21)**

| | |
|---|---|
| ალბანეთი-ბელარუსი | 1:2 |
| ლიტვა-ინგლისი | 0:0 |
| ლუქსემბურგი-იტალია | 0:4 |
| ჰოლანდია-ესპანეთი | 2:1 |
| პორტუგალია-საბერძნეთი | 2:1 |
| სან მარინო-გერმანია | 0:11 |
| ჩრ.ირლანდია-ჩეხეთი | 1:2 |
| საფრანგეთი-სლოვენია | 1:0 |

### პლაჟის ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| რუსეთი-იტალია | 3:1 |
| ა.გ.ემირატები-სოლომონის კუნძ. | 7:1 |
| ბრაზილია-ბახრეინი | 8:1 |
| ესპანეთი-კოტ დივუარი | 9:6 |
| იაპონია-სალვადორი | 7:2 |
| იტალია-კოსტა რიკა | 3:1 |
| რუსეთი-არგენტინა | 3:3(3:4პ) |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კლივლენდი-გოლდენ სტეიტი | 114:108 |
| მაიამი-ოკლაჰომა | 87:100 |
| ნიუ ჯერსი-ინდიანა | 83:91 |
| ნიუ ორლეანი-კლიპერსი | 110:102 |
| ჰიუსტონი-ფინიქსი | 105:111 |
| დენვერი-ტორონტო | 130:112 |
| საკრამენტო-ჩიკაგო | 87:101 |
| ლეიკერსი-დეტროიტი | 106:93 |

### ფრენბურთი

**მსოფლიოს თასი**

| | |
|---|---|
| ეგვიპტე-ირანი | 2:3 |
| ბრაზილია-კუბა | 3:2 |
| პოლონეთი-იაპონია | 2:3 |

### წყალბურთი

**მსოფლიოს ლიგა**

| | |
|---|---|
| რუსეთი-საბერძნეთი | 9:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| რეინჯერსი-ვაშინგტონი | 2:4 |
| მონრეალი-კაროლინა | 2:2(1:0ბ) |
| ოტავა-ტორონტო | 3:2 |
| ნეშვილი-სან ხოსე | 4:3 |
| კალგარი-კოლორადო | 2:3 |

# ეტოოს მორიგი ქველმოქმედება

მილანის „ინტერისა“ და კამერუნის ნაკრების ფეხბურთელი სამუელ ეტოო აგრძელებს პატრიოტულ ქველმოქმედებას. კამერუნის ნაკრების მიერ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურების მოპოვების გამო ეტოომ ყველა თანაგუნდელს 30.000 გირვანქა სტერლინგად ღირებული საათები უსახსოვრა. ეტოოსთვის მსგავსი ქმედება პირველი არ არის. ერთი ხანობა ნაკრები თავისი ხარჯებით დაჰყავდა შეკრებებზე და გასვლით მატჩებზე. 4 წლის წინ კი, როდესაც კამერუნის ნაკრებმა შინ კოტ დივუარის ნაკრებს მოუგო, ეტოომ ყველა ფეხბურთელი 2.000 დოლარით დაასაჩუქრა.

# ნატახტრიდან ათენამდე

დასაწყისი მე-12 გვერდზე

მფლობელია, არამედ მხოლოდ იმ გუნდის წევრად ითვლება, რომელმაც ამ უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ახლა კი, როდესაც ქართველმა ლეგიონერმა, 216 სანტიმეტრის გიორგიმ ევროლიგის 4 მატჩში „პანათინაიკოსის“ შემადგენლობაში 43 წუთის განმავლობაში გუნდს 26 ქულა 11 მოხსნა და 4 დაფარება შემატა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს დიდებული კალათბურთელი გაუზრდია, რადგან ანალოგიური შედეგები ასეთ მოკლე ვადაში მსოფლიოშიც კი უიშვიათესი შემთხვევაა.

ევროლიგაზე გიორგი შერმადინის თამაშს ამერიკული გამოცემა „სლემი“ გამოეხმაურა:

— ევროლიგის მიმდინარე გათამაშებისას თვალში მოგხვდებათ ტანმაღალი ქართველი ბიჭი, რომელსაც დიდი ნაბიჯები და საოცარი ჩატენები აქვს. გიორგი შერმადინი ჯერ შონ კემპი არ არის, მაგრამ აშკარად ეტყობა, რომ გაცილებით მოძრავია და ბურთთანაც თბილი დამოკიდებულება აქვს. მას გაუმართალა — თუ ვინმეს სურს თავისი შესაძლებლობები მსოფლიოს დაანახვოს, ამისთვის საუკეთესო ვარიანტი „პანათინაიკოსია“. შერამდინი ამ სეზონში სწორედ ამ ბერძნული კლუბის ღირსებას იცავს. გამოცდილი მეფარე მაიკ ბატისტის არ ყოფნაში ქართველი ცენტრი იოლად მოერგო გუნდის შემადგენლობას და ნიკოლა პეკოვიჩს ღირსეულად ცვლის.

ევროლიგის პირველ ტურში „მილანთან“ შერმადინმა 12 წუთში 2 ქულა ჩააგდო, მეორეში „ხიმკისთან“ 11 წუთში 10 ქულა, მესამეში „რეალთან“ 10 წუთში 6 ქულა, ხოლო ბოლოს „პროკომთან“ 14 წუთში 8 ქულა.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, თუ „პანათინაიკოსი“ მომდევნო ეტაპის საგზურს ნაადრევად გაინაღდებს, ბოლო ტურებში შერმადინს სერიოზული სათამაშო დრო მიეცემა. მისი მონაგარის ხილვა კი მაშინ უფრო საინტერესო იქნება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## დღის კალენდარი

### 19 ნოემბრისთვის



**წლის 323-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 42 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

24-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

ხსენება წმიდა პავლესი - კონსტანტინეპოლის პატრიარქისა და აღმსარებლისა (350); მოწამე ტეკუსასი, ალექსანდრასი, პოლაქტიასი, კლავდიასი, ეფროსინესი, ათანასიასი და მატრონასი (III); ღირსი ლუკა ტავრომენიელისა (800-820).

წმიდა მღვდელმთავარი პავლე აღმსარებელი კონსტანტინეპოლის პატრიარქ ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ აირჩიეს უმაღლეს სამღვდელმთავრო კათედრაზე, როცა ახალი ძალით იფეთქა არიანულმა მწვალებლობამ. არიოსის მწვალებლობას იყო დამონებული იმპერატორი კონსტანტიოსი, რომელიც რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილს განაგებდა. პატრიარქის არჩევის დროს ის კონსტანტინოპოლში არ იყო და როცა დაბრუნდა, ახალი საეკლესიო კრება მოიწვია, რომელზეც პატრიარქი პავლე უკანონოდ გამოაცხადეს დამხობილად. პავლე რომიდან განდევნეს სომხეთში, სადაც მოწამებრივი აღსასრული მიიღო: როცა წმიდა პატრიარქი საღმრთო ლიტურგიას აღასრულებდა, ტაძარში არიანელები შეიჭრნენ და მისივე სამღვდელმთავრო ომფორით მოაშთვეს იგი.

ღირსი მამა ლუკა ტავრომენიელი წარმოშობით სიცილიის ქალაქ ტავრომენიიდან იყო. სიჭაბუკეში მან მიატოვა მშობლები და უდაბნოში წავიდა, სადაც მრავალი წელი გაატარა მარხვით და ლოცვით. იგი ეტნის მთაზე მოსაგრეობდა. სიცოცხლის ბოლოს ლუკამ სავანე დააარსა. იმისთვის, რომ სხვა მონასტრის წესდებულებებსა და ცხოვრებას გასცნობოდა, ღირსმა მამამ მრავალ ქალაქში იმოგზაურა. იგი ამ მოგზაურობის დროს გარდაიცვალა ქალაქ კორინთოში, IX ს-ის დასაწყისში.

### დაიბადნენ:

1831 - ჯეიმს აბრაჰამ გარფილდი, აშშ-ს პრეზიდენტი, მოკლეს 1881 წელს.

1839 - ემილ შკოდა, გერმანელი ინჟინერი, ცნობილი ფირმის დამაარსებელი, გარდაიცვალა 1900 წელს.

1843 - რიჩარდ ავენარიუსი, შვეიცარიელი ფილოსოფოს-იდეალისტი, გარდაიცვალა 1859 წელს.

1910 - გიორგი შავგულიძე, თეატრისა და კინოს მსახიობი, გარდაიცვალა 1959 წელს.

### გარდაიცვალნენ:

1665 - ნიკოლა პუსენი, ფრანგი მხატვარი.

1828 - ფრანც პეტერ შუბერტი, ავსტრიელი კომპოზიტორი.

1962 - გრიგოლ რობაქიძე, გამოჩენილი მწერალი.

### მოვლენები

1620 წელი - ხომალდი „მეიფლაუერი“, რომელზეც ბრიტანელი პურიტანები იმყოფებოდნენ, ჩრდილოეთ ამერიკაში ჩავიდა.

1917 — თბილისში გაიხსნა პირველი ეროვნული ყრილობა.

1949 წელი - მონაკოს ტახტზე ავიდა პრინცი რენიე III.

1950 წელი - გენერალი დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად დანიშნეს.

1969 წელი - ამერიკული კოსმოსური ხომალდი "აპოლონ 12", რომელსაც მართავდნენ კოსმონავტები ჩ. კონრადი, ა. ბინი და რ. გორდონი, მთვარეზე დაჯდა.

1978 წელი - „ეროვნული ტაძარის“ სექტის წევრების მასობრივ თვითმკვლელობას 911 ადამიანი შეეწირა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

მონაკო - ეროვნული დღე.

პუერტო რიკო - აღმოჩენის დღე.

**მედიანიუსი**

# ამერიკელებმა მთვარეზე წყალი აღმოაჩინეს

როგორც ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, ექსპედიცია, რომელიც მიზნად მთვარეზე წყლის პოვნას ისახავდა, წარმატებით დასრულდა.

გასულ თვეში ჩატარებული ექსპერიმენტის ფარგლებში რაკეტა მატარებელი მთვარის ზედაპირს სამხრეთ პოლუსის რაიონში დაეჯახა.

პროექტზე მომუშავე მეცნიერები აცხადებენ, რომ შეჯახების შედეგად წარმოიქმნა მტვრის ღრუბელი, რომელშიც დიდი რაოდენობით აღმოაჩინეს ყინული და წყლის ორთქლი.

წარმოქმნილი ღრუბლისაკენ კვლევითი ზონდი გაგზავნეს, თანამგზავრი, რომელიც მთვარის კრატერებს აკვირდება და რომელიც მრავალი სამეცნიერო ინსტრუმენტით იყო აღჭურვილი.

მეცნიერების თქმით, ღრუბელში მათ საკმაო რაოდენობით წყალი აღმოაჩინეს, რაც დაახლოებით 92.2 ლიტრს შეესაბამებოდა.

ოქტომბრის ექსპერიმენტის დროს გამოყენებული იქნა რაკეტა „ცენტავრი“, რომლის წონა 2.2 ტონას შეადგენდა. იგი ზუსტად კებეუსის კრატერისაკენ მიმართეს, რომლის დიამეტრიც 100 კმ-ს შეადგენს. ეს კრატერი მთვარის სამხრეთ პოლუსზე მდებარეობს და თითქმის ყოველთვის ჩრდილით არის დაფარული.

მეცნიერები იმედოვნებდნენ, რომ რაკეტის მთვარის ზედაპირზე დაცემის შედეგად მტვრის ღრუბელი 10 კმ-ის სიმაღლეზე აიჭრებოდა და დედამიწიდან მისი ტელესკოპების საშუალებით დაფიქსირება გახდებოდა შესაძლებელი.

დაჯახების შედეგად ღრუბელი გაცილებით ნაკლებ, 1.6 კმ სიმაღლეზე აიჭრა, მაგრამ მთვარეზე წყლის არსებობის დასადასტურებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.




სპექტრომეტრის საშუალებით, რომელიც ინფრაწითელი დიაპაზონის ახლო ნაწილზე იყო მომართული, მტვერში ყინული და წყლის ორთქლი აღმოაჩინეს.

დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები ულტრაიისფერ და ხილულ სპექტრზე მომართული ხელსაწყოებით მიიღეს. მან ჰიდროქსილის ჯგუფის არსებობა დაადასტურა, რომლის გამოვლენასაც მზის სინათლემ შეუწყო ხელი.

როგორც უკვე ითქვა, ექსპერიმენტის დროს დაახლოებით 100 კგ-მდე წყალი აღმოაჩინეს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ გამოქვეყნებული შედეგები წინასწარია და შემდგომი კვლევების საშუალებით კრატერში წყლის რაოდენობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია შეიძლება იქნას მიღებული.

მთვარის ზედაპირი ჩვეულებრივ დედამიწის ნებისმიერ უდაბნოზე უფრო მშრალია.

მიუხედავად ამისა, მკვლევარები დიდი ხნის განმავლობაში ეჭვობდნენ, რომ ჩრდილში მყოფ ადგილებში წყლის მნიშვნელოვანი რაოდენობა შეიძლება ყოფილიყო „დამალული“.

შემგომი კვლევების მიერ წყლის არსებობის დადასტურების შემთხვევაში იგი მთვარეზე დაბანაკებული ასტრონავტებისათვის სასარგებლო შეიძლება გამოდგეს.

წყლის მარაგი ასტრონავტების სასმელი წყლით მომარაგებისათვის შეიძლება იქნეს გამოყენებული.

გარდა ამისა, წყლის დაშლით მისგან ჟანგბადის მიღება და ექსპედიციის წევრებისათვის მისი სასუნთქად გამოყენება იქნება შესაძლებელი.

გარდა ამისა, წყლის საკმარისი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში სარაკეტო საწვავის, წყალბადის და ჟანგბადის მიღებაც შეიძლება.

მიმდინარე წლის სექტემბერში სამმა კოსმოსურმა ხომალდმა, მათ შორის ინდურმა „ჩანრაიან 1“- მა დაადასტურეს, რომ ნაწილაკებში, რომლისგანაც მთვარის გრუნტია ფორმირებული, წყლის თხელი ფენა არის ლოკალიზებული.

ამ გამოკვლევაზე მომუშავე მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ ეს წყალი შესაძლოა შედარებით ცივი პოლუსებისაკენ გადაინაცვლებს, ისევე, როგორც დედამიწაზე ყინული უფრო პოლუსებთან გროვდება.

მეცნიერების თქმით, მუდმივად ჩრდილში მყოფი ადგილების ტემპერატურა ძალიან დაბალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას წყლის ორთქლის „ჩაჭერა“ და შენარჩუნება შეუძლია. სავარაუდოდ, მსგავსი პროცესები მილიარდობით წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.

მთვარის კრატერების შემსწავლელი ზონდი ნასამ 18 ივნისს გაუშვა. მასთან ერთად გაუშვეს აგრეთვე მთვარის ორბიტული ზონდი, რომელმაც კაბეუსის კრატერის რაიონში ტემპერატურა გაზომა. იგი ცელსიუსით მინუს 230 გრადუსის ტოლი აღმოჩნდა.

# პრინცის კოცნა ლუდზე დაპატიჟების სანაცვლოდ



უელსის პრინცი ჩარლზისა და განსვენებული პრინცესა დაიანას უმცროსმა ვაჟმა, პრინცმა ჰარიმ ბრიტანეთის საზოგადოება კიდევ ერთხელ გააკვირვა. ბოთლი ლუდის სანაცვლოდ მან თავის უცნობ თაყვანისმცემელს ლოყაზე აკოცა.

ეს შემთხვევა ქალაქ სტივენეიჯის ერთ-ერთ ღამის კლუბში მოხდა, სადაც 25 წლის პრინცი თანაკურსელებთან ერთად საზაფხულო აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ ისვენებდა.

პრინცი ჰარისა და მისი თანაკურსელების ჯგუფს მოულოდნელად ახალგაზრდა ბრიტანელი, როკი ბენეტი მიუახლოვდა და პრინცს ბოთლი ლუდის ყიდვა შესთავაზა, თუკი ეს უკანასკნელი ლოყაზე აკოცებდა.

— სტივენეიჯში პრინცის ნახვა ისეთი მოულოდნელი იყო, მე მასთან მივედი და ვითხარი, რომ ლუდზე მისი დაპატიჟება მინდოდა, ოღონდ ჩემთვის უნდა ეკოცნა, — ასეთი კომენტარი გაუკეთა ბენეტმა მომხდარ შემთხვევას.

მისი თქმით, პრინცს გაეცინა, შემდეგ მართლაც გადაეხვია მას და გადაკოცნა.

— ახლა მთელი თვე პირს არ დავიბან, — გამოაცხადა ბედნიერმა ბენეტმა ჟურნალისტებთან და დაუმატა, რომ მოზღვავებული გრძნობებისაგან ცრემლებიც კი გადმოსცვივდა.

აღსანიშნავია, რომ ბენეტი კლუბში მარტო არ ყოფილა და პრინცის კოცნის სცენას მისი მეგობარი, 19 წლის სემ სმითიც დაესწრო, რომელმაც პრინცთან შეხვედრას ასეთი კომენტარი გაუკეთა.

— პრინცთან ურთიერთობა ბევრს უნდოდა, იგი უბრალოდ იქცეოდა. შემდეგ ქუჩის გადალმა, მაკდონალდსში დავინახეთ, — თქვა მან.

პრინცი ჰარი ბრიტანეთის საზოგადოებისათვის გარდა თავისი წარმომავლობისა, სკანდალური ქცევითაც არის ცნობილი. იგი საერთაშორისო მედიის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ჟურნალისტები თითქმის ყოველ მის გამოსვლას თვალს ადევნებენ, სხვა ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტი იქნება ეს, მეგობარ გოგონა ჩელსი დეივთან განშორება თუ რასისტულად მიჩნეული მისი განცხადებები.

პრინცი ჰარი მკაცრი კრიტიკის ობიექტი მას შემდეგ გახდა, რაც მედიას ხელში ჩაუვარდა ვიდეოფირი, რომელზეც იგი სამხედრო ვარჯიშების დროს აზიური წარმოშობის სამხედრო მოსამსახურეს „ჩვენი პატარა მეგობარი პაკის“, ხოლო სხვა ეპიზოდში უელსის პრინცის უმცროსი ვაჟი მეორე ოფიცერს „დოლბანდთავიანს“ უწოდებს. მანამდე პრინცმა ჰარიმ საზოგადოების უკმაყოფილება წვეულებაზე სვასტიკიანი სამკლაურით გამოცხადებით გამოიწვია.

უელსის პრინცის რეზიდენციის, კლარენს ჰაუსის პრესსამსახურმა აღიარა, რომ 24 წლის პრინცი არასწორად მოიქცა, ხოლო ბრიტანეთის არმიამ პრინცი ჰარის ტოლერანტულობის კურსზე გაგზავნა გადაწყვიტა.

არანაკლებ, მაგრამ ამჯერად უფრო კეთილგანწყობილი რეაქცია გამოიწვია „რაფლსის“ ღამის კლუბში მისული პრინცი ჰარის ქცევამ და გარეგნობამ.

ლონდონის ერთ-ერთ პრესტიჟულ რაიონში, კინგს როუდზე მდებარე კლუბში პრინცი ჰარი 2009 წლის მარტში გამოცხადდა. პრინც ჰარის მარცხენა ხელზე ულტრათანამედროვე „მჟავევარდისფერი“ მანიკური ესვა, ხოლო ჯინსებიდან „შემთხვევით“ ამოჩრილი საცვლები ისეთივე ფერის ჰქონდა.

ტახტის მემკვიდრე პრინცის უმცროსი ვაჟის ეს საქციელი მაშინვე ბლოგერების განხილვის საგნად იქცა. ზოგმა მისი ორიენტაციის ტრადიციულობაში ეჭვი შეიტანა, ზოგს კი საძრახისი არაფერი დაუნახავს.

**მოამზადა**
**გენადი თვაურმა**



## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 2. ძვირფასი სარეწაო თევზი; 3. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 4. პირადი, წვრილმანი ინტერესებით მცხოვრები ადამიანი; 5. შუადღის საუზმე აშშ-ში; 6. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 8. განსაკუთრებული წესით დამზადებული ცხვრის ყველი; 11. გერმანული საგმირო ეპოსი; 14. საკუთარი სახელების შემსწავლელი ენათმეცნიერების ნაწილი; 15. ისტორიული ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 16. მუსიკალური ბგერის ამაღლება ან დადაბლება; 17. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. პატარა სასადილო იტალიაში; 21. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართველი ჯიში; 22. ჰოლივუდის კინორეჟისორი, სცენარისტი, მსახიობი მამაკაცი.

**თარაზულად:** 1. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. მზის სადიდებელი სვანური სიმღერა; 7. ავლანეთის დედაქალაქი; 9. ქართველი პოეტი რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 10. ქალაქი სამეგრელოში; 12. სიმჟავეების ჭარბი შემცველობა სისხლსა და ორგანიზმის სხვა ქსოვილებში; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 16. ოპერა „აიდას“ პერსონაჟი; 17. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 18. ბუდისტთა მღვდელი ჩინეთსა და იაპონიაში; 20. პატარა ქირურგიული დანა; 22. სახალხო მთქმელი შუა აზიაში; 23. დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი; 24. რაიონული ცენტრი ლეჩხუმში; 25. ბრიტანული არაყი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ფინო; 2. როვნო; 3. აბული; 4. ვალიო; 5. ლეკალო; 6. ნიჟარაძე; 8. ინვესტიცია; 10. გენეალოგია; 11. ბალახვანი; 14. მორალი; 15. ლადარი; 16. კამიუ.

**თარაზულად:** 1. ფსირცხა; 4. ვალტორნა; 7. ნაძვი; 9. ბინგო; 12. ტოშიბა; 13. წვიმა; 14. მაგატე; 17. ლიძავა; 18. მეგალომანია; 19. დარნიცა; 20. გუბაზი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პაროდია; 2. ჩხუტი; 3. კაკანათი; 4. მალაგა; 5. ავსტრია; 6. ნოკაუტი; 11. იგავი; 13. რუსტიკა; 14. კონსტებლი; 15. ცუგცვანგი; 17. რენომე; 18. კულიჩი; 19. ჯამე.

**თარაზულად:** 7. მარეხი; 8. საქართველო; 9. ტოიოტა; 10. მალაქიტი; 12. საფრანგეთი; 14. კვარცი; 16. კრასნოვი; 18. კინოლოგი; 20. ფლოტი; 21. ავი; 22. კონკლავი; 23. შუნი; 24. მემორიალი.

# ამერიკელ მოქალაქეს აზერბაიჯანელი ჩინოსნების მოქრთამვისთვის ერთი წელი მიუსაჯეს

აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო ბოლო დროს განსაკუთრებული გულმოდგინებით შეუდგა 1977 წელს მიღებული კანონის შესრულებას, რომელიც კომერციული სარგებლის მიღების მიზნით ამერიკელი მოქალაქეების მიერ უცხოელი ჩინოსნების მოსყიდვის მცდელობას სჯის.

ამჯერად, იუსტიციის სამინისტრო კორპორაციების ნაცვლად, რომლებსაც მსგავსი დარტყმების შედარებით უმტკივნეულოდ გადატანა შეუძლიათ, ფიზიკურ პირებს ასამართლებს, რომლებსაც ციხე და მძიმე სასამართლო ხარჯები ელით.

ცოტა ხნის წინ ნიუ იორკის სასამართლომ ერთი წლითა და ერთი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა კონექტიკუტელ ბიზნესმენ ფრედერიკ ბურკს, რომელსაც ივლისში აზერბაიჯანელი ჩინოსნების მოსყიდვის მიზნით დანაშაულებრივი შეთქმულების ორგანიზების ბრალდებები წაუყენეს.

ჩინოსნები მას სანაცვლოდ აზერბაიჯანული სახელმწიფო კომპანია „აზნეფტის“ უცხოელი ინვესტორებისათვის ხელსაყრელი პირობებით მიყიდვას სთავაზობდნენ.

ინვესტორებს შორის სენატის დემოკრატიული ფრაქციის ყოფილ ლიდერს, ჯორჯ მიტჩელსაც ასახელებდნენ, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიაში კონფლიქტის მოწესრიგებაში მონაწილეობდა, ამჟამად კი ახლო აღმოსავლეთში პრეზიდენტ ბარაქ ობამას საგანგებო წარმომადგენელია.

ისევე როგორც სხვა ინვესტორებმა, ამ საქმეში დაბანდებული ფული მიტჩელმაც დაკარგა, რადგან აზერბაიჯანის ხელისუფლებმა ნავთობკომპანიის გაყიდვისაგან თავი შეიკავეს.

ბურკი პასუხისგებაში ქრთამის მიცემისთვის კი არა, იმიტომ მისცეს, რომ ქრთამების მიცემის შესახებ მისთვის ცნობილი იყო. 1977 წელს მიღებული კანონი იმ პირთა პასუხისგებაში მიცემასაც კი ითვალისწინებს, რომლებმაც ქრთამის გადაცემის შესახებ არ იცოდნენ, მაგრამ თანამდებობრივი მდგომარეობის მიხედვით უნდა სცოდნოდათ.

ამერიკელი იურისტების თქმით, ის რომ ბიზნესმენი „თავს ქვიშაში მალავდა“, არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან.

მიმომხილველების თქმით, 63 წლის ბურკი, მოდური ხელჩანთების დამამზადებელი ცნობილი ფირმის „დონი ენდ ბურკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კიდევ იოლად გადარჩა.



პროკურატურა მისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა, კანონი მისთვის 57-დან 71 თვემდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მაგრამ მოსამართლემ ბურკის მიმართ გულმოწყალება გამოიჩინა. მისი საქმე რამდენიმე თვე გრძელდებოდა, გარდა ერთი წლით და ერთი თვით თავისუფლების აღკვეთისა, მოსამართლემ მას სამი წლით ზედამხედველობა დაუნიშნა და მილიონი დოლარი ჯარიმის გადახდა დააკისრა.

ბურკის ადვოკატებმა განაცხადეს, რომ აპელაციის წარდგენა აქვთ გადაწყვეტილი. აპელაციის განხილვის განმავლობაში იგი კვლავ თავდებით გაათავისუფლეს. სტატისტიკის თანახმად, სააპელაციო ინსტანციებში წარმატების შანსი უმნიშვნელოა.

საქმეში ფიგურირებს აგრეთვე ბურკის პარტნიორი ვიქტორ კოჟენი, რომელიც დასავლეთში „პრაღელი მეკობრის“ მეტსახელით არის ცნობილი.

იგი ბაჰამის კუნძულებზე ცხოვრობს და ჯერჯერობით აშშ-ში ექსტრადიციის მოთხოვნას ადგილობრივ სასამართლოებში წარმატებით იგერიებს.

კოჟენი არ უარყოფს, რომ აზერბაიჯანელებს ქრთამებს აძლევდა, მაგრამ ამბობს, რომ კანონი, რომლის მიხედვითაც ბურკი მისცეს პასუხისგებაში, მასზე არ ვრცელდება, რადგან იგი აშშ-ის მოქალაქე არ არის.

ეს კანონი მოქმედებს ყველა იმ კომპანიაზე, რომელთა აქციებიც აშშ-ის ბირჟებზე არის კოტირებული.

როგორც გაზეთი „უოლ სთრით ჯორნელი“ აღნიშნავს, მიმდინარე წლის დეკემბერში გერმანული კონგლომერატი „სიმენს ეიჯი“ აშშ-ის ხელისუფლებისათვის ჯარიმის სახით 800 მილიონი დოლარის გადახადას დათანხმდა, რადგან იუსტიციის სამინისტრომ და აშშ-ის ფასიანი ქაღალდების სახელმწიფო კომისიამ იგი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ჩინოსნებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარების კონტრაქტებისათვის ქრთამის მიცემაში დაადანაშაულა.

იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების თქმით, უცხოელი ჩინოსნების მოქრთამვის პრობლემის გადაჭრის მიზნით, იურიდიული პირების ნაცვლად, ფიზიკური პირების პასუხისგებაში მიცემა არის საჭირო. ისინი აგრეთვე აცხადებენ, რომ კომპანიებისაგან განსხვავებით, ფიზიკურ პირთა პროცესები უფრო დიდხანს გრძელდება, რადგან კომპანიები სკანდალის თავიდან აცილების მიზნით სასამართლოს გარეშე შეთანხმების რაც შეიძლება სწრაფად მიღწევას ცდილობენ.

ბურკის წინააღმდეგ მიმდინარე პროცესს გამოძიების რამდენიმე წელი და ძვირადღირებული თვენახევრიანი სასამართლო პროცესი დასჭირდა.

ოდნავ ნაკლები დრო დასჭირდა იუსტიციის სამინისტროს იმისათვის, რომ ყოფილი დემოკრატი კონგრესმენი უილიამ ჯეფერსონი გაესამართლებინა, რომელიც ნიგერიელი ჩინოსნებისათვის ქრთამის მიცემაში იყო დადანაშაულებული.

ორი თვის წინ ლოს ანჯელესში ჰოლივუდის პროდიუსერები ჯერალდ და პატრიშა გრინები დაადანაშაულეს. ბრალდებების თანახმად, ბანგკოკის ფესტივალთან დაკავშირებით მათ ტაილანდელი ჩინოსნები მოქრთამეს.

მიმდინარე წლის მარტში აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ ორი ბრიტანელი მოქალაქის წინააღმდეგ საქმე აღძრა. ბრალდებების თანახმად, ისინი კორპორაცია „ქეიბიერს“, რომელიც წარსულში „ჰოლიბარტონის“ სახელწოდებით იყო ცნობილი, ნიგერიელი ჩინოსნების მოქრთამვაში ეხმარებოდნენ.

# საფრანგეთის პოლიციამ სკოლაში სისხლისღვრის თავიდან აცილება შეძლო



საფრანგეთის პოლიციამ ქვეყნის ერთ-ერთ სკოლაში სისხლისღვრის თავიდან აცილება მოახერხა. 13 წლის მოსწავლის გეგმების შესახებ, რომელიც სკოლაში სროლის ატეხვას აპირებდა, პოლიციელებს მისმა მშობლებმა შეატყობინეს.

ქალაქ ბოვეს პოლიციის წარმომადგენლების განცხადებით, პარიზის მახლობლად მდებარე ამ პატარა ქალაქის მცხოვრები მოსწავლე მასწავლებლების დახოცვას, შემდეგ თავის მოკვლას აპირებდა.

პოლიციის წარმომადგენლების თქმით, იგი სკოლაში დატენილი სანადირო თოფით წავიდა, მაგრამ პოლიციის დაცვა რომ დაინახა, იარაღი გადააგდო და უკან დაბრუნდა.

მშობლებმა განგაში მას შემდეგ ატეხეს, რაც სახლში თოფი მოისაკლისეს.

მოგვიანებით შვილი ქალაქის ცენტრში, ერთ-ერთ ინტერნეტ კაფეში იპოვეს.

გავრცელებული ცნობების თანახმად, სკოლაში წასვლის წინ მოზარდმა თავის ინტერნეტ დღიურში ჩაწერა „დღეს ჩემი სიცოცხლის უკანასკნელი დღეა“.

სააგენტო ესოშიეიტედ პრესმა მოიყვანა ოფიციალური პირის განცხადება, რომლის თანახმადაც გარდა თოფისა, მოზარდს თან 25 ვაზნაც ჰქონდა.

სკოლის დირექტორმა, სადაც ორი ათასამდე მოსწავლე სწავლობდა, პოლიციისაგან მოსწავლეების კლასებში დატოვების განკარგულება მიიღო.

მოსწავლეს, რომელმაც მასწავლებლებთან ანგარიშსწორება გადაწყვიტა, ახასიათებენ, როგორც კარგი აკადემიური მოსწრების მქონე მოზარდს კარგი ოჯახიდან.

# რუსეთში წლეულს ხუთასზე მეტი ბავშვი მოკლეს

2009 წლის იანვარ-სექტემბრის განმავლობაში, ბავშვთა უფლებების საკითხებში პრეზიდენტის რწმუნებულის, ალექსეი გოლოვანის თქმით, მოზრდილთა ხელით ხუთასზე მეტი ბავშვი დაიღუპა.

პრესკონფერენციის დროს რუსმა ომბუდსმენმა ასევე განაცხადა, რომ შარშან, იმავე პერიოდის განმავლობაში, რუსეთში მოზრდილთა ხელით დაღუპული ბავშვების რიცხვი ათას ხუთასს აღწევდა.

გოლოვანის თქმით, მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში რუსეთის ფედერაციაში არასრულწლოვანთა მიმართ 40 ათასი დანაშაულია ჩადენილი, დაზარალებულად მიჩნეულია 3.8 ათასი არასრულწლოვანი.



მათგან 265 ერთ წლამდე ასაკისაა, ერთიდან ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების რიცხვი 290-ს შეადგენს.

ოფიციალური მონაცემების თანახმად, რუსეთში მიმდინარე წლის განმავლობაში 900 მოზარდი გააუპატიურეს.

ომბუდსმენის თქმით, რომელიც ამ პოსტზე მიმდინარე წლის 1 სექტემბერს დანიშნეს, ყველაზე ხშირად ბავშვის უფლებებს მათი მშობლები არღვევენ.

ყველაზე გავრცელებულ დარღვევას ალიმენტების გადაუხდელობა წარმოადგენს. მის გადახდასთან სასამართლო აღმასრულებლების სამსახურის გადაწყვეტილებების 10%-ია დაკავშირებული.

ბავშვებზე ძალადობის შესახებ საუბრის დროს გოლოვანმა აღნიშნა, რომ ბავშვები ხშირად გარდა ფიზიკურისა, ფსიქოლოგიური ძალადობის ობიექტიც ხდებიან. ასეთ ძალადობად მშობლების განქორწინება შეიძლება იქნას მიჩნეული.

სტატისტიკის თანახმად, რუსეთში ათ ქორწინებაზე ხუთი განქორწინება მოდის.

იუნისეფის წარმომადგენელმა ბერტრან ბეინვილმა გაეროს ადამიანის უფლებათა კონვენციის 20 წლისთავთან დაკავშირებით გამართული კონფერენციის დროს განაცხადა, რომ რუსეთში ყველაზე მწვავედ ბავშვების უარმყოფელი მშობლების პრობლემა დგას.

მისი თქმით, 730 ათასი ბავშვი მშობლების ზრუნვის გარეშე რჩება, ბავშვთა სახლებისა და ინტერნატის აღსაზრდელთა რიცხვი კი არ მცირდება და დღეისათვის 156 ათას ადამიანს აღწევს.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ჯერჯერობით სახელმწიფო ამ მიმართულებით სისტემურ ღონისძიებებს არ მიმართავს.

მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთის პოზიცია ბავშვთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციასთან დაკავშირებით, რომელიც ბავშვებით ვაჭრობასა და ბავშვთა პროსტიტუციას ეხება, გაოცებას იწვევს.

მისი თქმით, ეს დოკუმენტი გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2000 წელს მიიღო, იგი მსოფლიოს 140 ქვეყნის მიერ არის რატიფიცირებული, მათ შორის ყოფილი სსრკ რესპუბლიკების მიერ, რუსეთის გარდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



აზა ზარანდია, ვახტანგ ახალაია, ქეთევან ჩემია, როლანდ ჩხიკვაძე, გენო შონია, ჟენია და დიმიტრი ზარანდიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯაკო (ჯარნაზ) გურამის ძე ზარანდია**

და ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მომხდარის გამო.

---

მეუღლე მანანა, შვილები ია და ხათუნა, შვილიშვილები ლადო და დიმა, სიძე ილია გუჯაბიძე, რძალი თამუნა ოძელაშვილი, შვილთაშვილი ანნა გუჯაბიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ (ვოვა) ივანეს ძე შულაია**

პანაშვიდი: 19, 20 ნოემბერს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 21 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ქ.თბილისი, დიდი დიღომი, II მიკრორაიონი, თავდადებულის 10.

---

დალილა ხორავა და თამაზ ხუბუა თანაუგრძნობენ ხათუნა შულაიას მამის

**ვლადიმერ (ვოვა) შულაიას**

გარდაცვალების გამო.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

---

დეზინფექციის, დეზინსექციის, დერატიზაციისა და სტერილიზაციის სპეციალიზებული ეპიდზედამხედველობის ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ციცო და ვაჟა ლეჟავებს სიძის

**შალვა ჩარგეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ვანო ჩხარტიშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს შორენა და თენგიზ შოშიაშვილებს სიძის

**გიორგი ანდრიაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნათია ჩხარტიშვილი სამძიმარს უცხადებს შორენა და თენგიზ შოშიაშვილებს სიძის

**გიორგი ანდრიაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ვანო ჩხარტიშვილი ოჯახით სამძიმარს უცხადებს მარიკა შოშიაშვილს მეუღლის

**გიორგი ანდრიაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ნათია ჩხარტიშვილი სამძიმარს უცხადებს მარიკა შოშიაშვილს მეუღლის

**გიორგი ანდრიაძის**

გარდაცვალების გამო.

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 19 ნოემბერი**

08.00 ან. სერიალი „პიტი და კენტროფი„ 08.30 სერიალი „ფილიპის ფილოსოფია„ 09.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ქალაქები„ 10.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 10.10 მხ. ფ. „მე იქ ვიქნები„ 12.30 სერ.„ელიზას ქალიშვილი„ 13.30 დოკ. ფილმი „აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი„ 14.00 მეხსიერება 15.00 სერიალი „პირისპირ„ 17.00 ევროვიზია ჯუნიორი 2009 — დღიური 17.30 ან. სერ.„ადამიანი ობობა„ 18.00 დოკ. ფილმი „მე-2 მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა„ 19.05 „მეხსიერება„ 20.45 „ნანინა„ 21.00 სერ.„ელიზას ქალიშვილი„ 22.00 დიალოგი 23.00 სერიალი „სულებთან მოჩურჩულე„ (12) 00.00 მხ. ფილმი „ბედისწერის შეცვლა„ (გ) 02.00 მოამბე

11.00 პარლამენტი 19.00 ან.ფ.„პიტი და კენტროფი„ 19.25 ნანინა 19.40 სერიალი „ფილიპის ფილოსოფია„ 20.25 დოკ. ფილმი „ნოსტრადამუსი □ 2012 წელი„ 21.05 სერიალი „ელიზას ქალიშვილი„ 22.00 სერიალი „პირისპირ„ 23.00 მხ. ფ.„საპარიკმახერო 2: ისევ ბიზნესი„ (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერიალი „შურისძიების ცეცხლში„ 11.00 ვის უნდა 20 ათასი 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.40 კურიერი 12.20 სერ.„გზა დიდებისკენ„ 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერიალი „უფრთხილდი ანგელოზს„ 15.25 სერიალი „ჩვენი ოფისი„ 15.50 სერიალი „გულის ძახილი„ 16.50 სერიალი „დონ ხუანი და ლამაზმანი„ 18.30 სერიალი „ჩვენი ოფისი„ 19.00 სერიალი „ჟამი ყვავილობისა„ 19.50 სერიალი „ანხელის საიდუმლო„ 22.00 პროფილი 23.40 სერიალი „ექიმი ჰაუსი„ 00.40 პატრული 01.00 მხ. ფილმი „ერთჭერქვეშ„ (18) (ო. ტოტუ)

08.00 მულტფილმი „რიპლი„ 09.00 სერიალი „მარია ემილია„ 09.50 სერიალი “ჩემი შეყვარებული“ 10.50 სერიალი „ტყუპები„ 12.00 სერიალი „სი-ეს-აი„ 12.40 მხ. ფილმი 15.00 სერიალი „მარტოხელა მტრედი„ 15.50 მხ. ფილმი 17.00 სერ. „ჩენტო ვეტრინე„ 19.30 სერიალი “ჩემი შეყვარებული“ 20.20 სერიალი „ტყუპები„ 21.10 ძილისპირული 21.30 ვიქტორინა „ქეშ შოუ„ 22.35 ეტალონი პლუსი 23.40 სერიალი „სი-ეს-აი„ 00.30 მ-კოდი 2 01.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 10.00 სერ. „ორმაგი თამაში„ 11.25, 14.35 ტვ-მარკეტი 11.40 დოკ. ფილმი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე„ 12.00 სერიალი „კლინიკა„ 13.00 სერიალი „მარადიული გრძნობა„ 15.00 ნანუკას შოუ (გან.) 16.00 სერიალი „განრისხებული ანგელოზი„ 17.35 დოკ. ფილმი „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე„ 18.00 სერიალი „სიყვარულის აჩრდილი„ 19.05 სერიალი „მარადიული გრძნობა„ 21.00 სერიალი „განრისხებული ანგელოზი„ 22.00 სერ.„ყავა და ლუდი: მეფეები და კომბოსტო„ 1-2 ს. 00.00 სერიალი „უილ თრეველერის საიდუმლო„ 01.00 მხ. ფილმი „მეღვინეთა წეს-ჩვეულებები„ (გ) (შ. ტერონი) 03.10 ქრონიკა 03.25 სერიალი „კლონი„

08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 „დრო„ 08.15 მულტფილმი 09.00 მხ. ფ. „მეფეთა მეფე„ 10.30, 19.30 სერიალი 11.45, 21.00 სერიალი „ცხოვრების ქარცეცხლში„ 12.45 მხ. ფილმი „სახელმწიფოს მეთაური„ 14.50 „სცენა„ 15.20 მხ. ფილმი „დაკარგული კიდობნის მაძიებელნი„ 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ნოვოსტი 23.00 მხ. ფ. „ცხელი შუადღე„ 00.30 მხ. ფ. „მარლენ დიტრიხი„

ერთსულოვნება 09.10 დილის პროგრამა „განთიადი„ 10.30 გადაცემა „პერსპექტივა„ 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ.ფ.„ჭიდაობას რა უნდა„ 13.20 კონცერტი 15.10 მულტსერიალი „რედვოლი„ 15.35 მხ. ფილმი „ოთარაანთ ქვრივი„ 17.00 დოკ. ფილმი „ველური ბუნება„ 17.30 ტრაპეზი 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.30 სატ. არქივიდან 19.15 მხ. ფილმი „ყვარყვარე„ 20.35 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მიწათმოქმედი 22.00, 00.00 სიახლენი 22.15 დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ჩერიალი „საბჭოთა საქართველო„ მე-4 ს.

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 19 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6825 | ევრო — 2,4035 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536 | რუსული რუბლი — 0,0533 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13-16, ღამით — 4-8

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 15-17, ღამით — 8-11

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 5-13, ღამით — -6-4

## ამინდის პროგნოზი 19 ნოემბრისთვის






## ქართული ფლორის საოცრება „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

''სალხინოს'' შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებგვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

## ნატახტრიდან ათენამდე

### გიორგი შერმადინი ევროლიგაში შეამჩნიეს

**საქართველოს ნაკრების კალათბურთელი გიორგი შერმადინი მეორე წელია „პანათინაიკოსის" ღირსებას იცავს. გასულ სეზონში 19 წლის ჭაბუკს მაინცდამაინც დიდ ნდობას არ უცხადებდნენ და მცირე სათამაშო დროს აძლევდნენ, მაგრამ ახალი სეზონიდან გიორგი უფრო გაუშინაურდა გუნდს და მოედანზე ყველა მატჩში გარკვეულ დროს ატარებს. ამაში, რა თქმა უნდა, საქართველოს ნაკრებთან ერთად მიღწეული წარმატებაც დაეხმარა და ის შრომისმოყვარეობა, რაც ამ ბიჭს ბავშვობიდანვე ახასიათებს.**



ალბათ საინტერესო იქნება თუ კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს მის მიერ განვლილ გზას. გიორგი პირველად თბილისის „მაკაბის" კლუბში 2005 წლის 2 იანვარს მივიდა, მაშინ 210 სმ სიმაღლის იყო და 85 კგ-ს იწონიდა. მუყაითმა შრომამ, ნიჭმა, შექმნილმა სიტუაციამ, ინფრასტრუქტურამ და განსაკუთრებით პროფესიონალების მშობლიურმა ზრუნვამ, რომელსაც თან ახლდა შვეიცარიაში მაცხოვრებელი, „მაქაბის" პრეზიდენტის მეგობრის, მიხეილ სოროკას ფინანსური მხარდაჭერა, შედეგი გამოიღო. 2005 წლის აგვისტოში იგი ნბა-ს „ადიდასის" კემპზე ბერლინში ერთ-ერთი საუკეთესო აღმოჩნდა, საუკეთესო იყო საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატშიც, სადაც მრავალი რეკორდი დაამყარა. გიორგი დღეში 5-6 საათს ვარჯიშობდა და არც დასვენების დღე ეძლეოდა. ფიზიკური გამძლეობით ვუნდერკინდი აღმოჩნდა. მალევე საქართველოს ჩემპიონატშიც გამოიჩინა თავი, იქაც მრავალი რეკორდის ავტორი შეიქმნა და ამიტომაც იყო 2007 წლის სუპერლიგის საუკეთესო მოთამაშედ რომ აღიარეს.

შერმადინი ნბა-ს რამდენიმე საერთაშორისო კემპზე იყო მიპატიჟებული და ყველგან „ოლსტარში" ხვდებოდა. იმავე წელს იგი მსოფლიოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც აღმოჩნდა, თუმცა, სერიოზული ტრავმის გამო თამაში არ დასცალდა. ტრავმის მოშუშების შემდეგ შერმადინი კვლავ ჩვეულ ფორმაში დაბრუნდა. ბრწყინვალედ ითამაშა ყველგან, 16 თუ 20 წლამდე ასაკის კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატებზე. თუმცა, „მაკაბის" ხელმძღვანელობა მის გასხვისებას არ ჩქარობდა. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესაძლებლობა არსებობდა, მშობლიური ნატახტარიც არ დაუტოვებია და იქიდან დადიოდა ვარჯიშებსა და თამაშებზე. ამასობაში მან სიმაღლეში 6 სმ, წონაში კი 30 კგ მოიმატა და ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული შეიქმნა. ეს იყო მიზეზი, რომ გიორგი შერმადინი ნბა-ს ყველაზე პოპულარულ დრაფტ-ექსპრესის ვებგვერდზე თავის ასაკში კონტინენტის ნომერ პირველ კალათბურთელად დაასახელეს. მართალია, ზოგიერთისთვის წვრთნის ათწლიანი სტაჟიც კი არ კმარა, რომ მაღალი რანგის კლუბში მოხვდეს, მაგრამ გიორგი შერმადინით ნბა-ს და ევროპის მრავალი კლუბი დაინტერესდა. ეს მაშინ, როდესაც „მაკაბის" კლუბში ვარჯიშის მხოლოდ სამი წლის სტაჟი ჰქონდა. მხოლოდ მას შემდეგ დათანხმდა კლუბის ხელმძღვანელობა გიორგის უცხოეთში გაშვებას, როდესაც დარწმუნდა, რომ თბილისში გაწვრთნილმა გიგანტმა თითქმის ყველა საკალათბურთო ნიუანსი აითვისა.

იყო შანსი, ნბა-ს რომელიმე კლუბში აღმოჩენილიყო, მაგრამ ბოლოს არჩევანი ევროპის ერთ-ერთ გრანდზე, ბერძნულ „პანათინაიკოსზე" შეჩერდა. როგორც აღმოჩნდა, მისი გამზრდელი მწვრთნელის ჯამლეტ ხუხაშვილის და პირადი აგენტის ლევან მიქელაძის გადაწყვეტილებამ გაამართლა. ერთი სეზონის განმავლობაში გიორგი შერმადინის „პანათინაიკოსი" გახდა ევროლიგის ჩემპიონი, დაეუფლა საბერძნეთის თასსა და ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედლებს. მართალია, გიორგის დიდი ხნით არ უწევდა მოედანზე ყოფნა, მაგრამ როდესაც მოედანზე იყო, შესანიშნავად ირჯებოდა. საერთო ჯამში 52 წუთში, რაც მან მოედანზე დაჰყო, 38 ქულას მოუყარა თავი. სწორედ დროის ამ სიმცირის გამო იყო, რომ ზოგჯერ გიორგის ამ ტიტულებზე საუბრისას მაინც თავს იკავებდნენ და აცხადებდნენ, რომ ნატახტარელი ჭაბუკი, არათუ ევროლიგისა და საბერძნეთის სანუკვარი თასებისა და მედლების

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 19 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**არ აჩქარდეთ**

**ვერძი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **კური** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ქალწული** — ჰარმონიული დღეა, იაქტიურეთ. **სასწორი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ამანათიც მიიღოთ. **ღრიანკალი** — გელით კარგი ახალი ამბავი. **მშვილდოსანი** — პოზიტიური დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **თხის რქა** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **მერწყული** — წარმატებული დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **თევზები** — ნუ აყვებით სხვებს, საკუთარი აზრი შეინარჩუნეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი



***

— ლუდს სვამ?
— არა.
— აბა, რას უშვრები?

***

— ბაი, ბაი, ბეიბი, ბეიბი გუდ ბაი.
— თარგმანი: „იყიდეთ, იყიდეთ ბავშვი, ბავშვი კარგი შენაძენია"

***

— ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი ადამიანები ალბათ ისინი არიან, ვინც ცელოფნის ბუშტუკებიანი პაკეტების ქარხანაში მუშაობენ — ალბათ შესვენებაზეც არ გადიან...

***

— ჩემს ძარღვებში რუსული, ქართული, პოლონური, მოლდავური, თათრული სისხლი ჩქეფს...
— რა ცელქი წინაპრები გყოლიათ...

***

— ქალი და მამაკაცი იმდენად განსხვავებული არსებები არიან, რომ გაუგებარია, როგორ ახერხებენ ერთად ცხოვრებას...

გ.თ.

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. ბრიტანული ტაქსი; 2. მარადმწვანე ხე, ბუჩქი; 3. სპორტული სასეირნო ნავი; 4. ცხენის ერთგვარი სვლა; 5. პატიოსნება, სინდისი; 6. სამშენებლო მინერალი, წითელი ფერის მოსაპირკეთებელი ქვა; 8. თევზების შემსწავლელი ზოოლოგიური ნაწილი; 10. ძველი თბილისის კოლორიტი, რაინდული ქცევისა და ბუნების მქონე მამაკაცი; 11. აეროპორტი რომში; 14. დიდი კაშკაშა მეტეორი; 15. მოკლე წარწერა გერბზე; 16. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

**თარაზულად:** 1. დაკეპილი ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. კინოცენტრი იტალიაში; 7. მოწინააღმდეგეს დასაშინებელი ხერხი პოკერში; 9. პირველი, ახლადმოსული თოვლი; 12. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 13. „სამი მუშკეტერის" პერსონაჟი; 14. საჯარიმო დარტყმა ჰოკეიში; 17. „დეკამერონის" ავტორი; 18. რუსეთში მოღვაწე ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი; 19. იუმორისტული ფესტივალის ქალაქი ბულგარეთში; 20. კუთხე საქართველოში.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## მარგო ლუჩკო „მისის მსოფლიოზე" მონაწილეობს



ეკა ირემაშვილი

ყველასათვის კარგად ცნობილი ტელესახე და მომღერალი „ვარსკვლავების აკადემიიდან" მარგო ლუჩკო საერთაშორისო კონკურს „მისის მსოფლიო 2009"-ში საქართველოს სახელით მიიღებს მონაწილეობას. ამ კონკურსში მონაწილეობის მიღება ყველა მსურველს — გათხოვილ ქალს, დედასა თუ ბებიას შეუძლია.

მარგო ლუჩკო არ არის პირველი ქართველი ქალბატონი, რომელიც ამ კონკურსში იღებს მონაწილეობას. „მისის მსოფლიოში" მონაწილეობა უკვე მიიღო ქართველმა მოდელმა და მომღერალმა თიკა ფაცაციამ, რომელმაც მსოფლიო ქალბატონთა შორის წარმატებებსაც მიაღწია.

„მისის მსოფლიო" გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ტარდება. ამ კონკურსის დამაარსებელმა დევიდ მერმელმა პირველად კონკურსი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატარა. იგი მიიჩნევს, რომ ახალგაზრდა გოგონების პაექრობა სრულად ვერ წარმოაჩენს ქალის სილამაზეს. მისი განცხადებით, ქალის სილამაზე ასაკის მატებასთან ერთად სულ უფრო და უფრო თვალშისაცემია. დევიდ მერმელი ამტკიცებს, რომ თუკი ოჯახში

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## რაზე მეტყველებს თქვენი ხელწერა? ტესტი



*1. ასოების ზომა:*
ა. ძალიან პატარა (3); ბ. პატარა (7); გ. საშუალო (17); დ. მსხვილი (2).

*2. ასოების დახრა:*
ა. მარცხნივ (2); ბ. ოდნავ მარცხნივ (5); მარჯვნივ (14); გ. მკვეთრად მარჯვნივ (0); დ. პირდაპირ (5).

*3. ასოების ფორმა:*
ა. მომრგვალებული (9); ბ. უფორმო (19); გ. კუთხოვანი (19).

*4. სტრიქონების დახრა:*
ა. ზემოთ (16); ბ. პირდაპირი სტრიქონები (12); გ. ქვემოთ (1).

*5. ინტენსიურობა და კალმის დაწოლის ძალა:*
ა. მსუბუქი (8); გ. საშუალო (15); ძალიან ძლიერი (2).

*6. წერის მანერა:*
ა. გადაბმული ასოები (11); ბ. განცალკევებული ასოები (18); გ. შერეული (15).

*7. ზოგადი შეფასება:*
ა. აკურატული (13); ბ. ზოგი ასო იკითხება, ზოგი არა (9); გაურკვეველი (4).

### პასუხები

**45 ქულაზე ნაკლები:** ავადმყოფი ან ძალიან ხანდაზმული ადამიანების ხელწერა.

**45-55 ქულა:** გაუბედავი, პასიური, ფლეგმატური ადამიანი.

**55-75 ქულა:** გაუბედავი, რბილი, დახვეწილი მანერების მქონე ადამიანი.

**75-85 ქულა:** პირდაპირი, გულახდილი, საკუთარი ღირსების შეგრძნების მქონე ადამიანი.

**85-95 ქულა:** პირდაპირი და კეთილსინდისიერი ადამიანი მდგრადი ფსიქიკით.

**95-105 ქულა:** ინდივიდუალისტი, ფეთქებადი ხასიათის, სხვაზე დამოკიდებული, ნიჭიერი ადამიანის ხელწერა.

**105-ზე მეტი ქულა:** უპასუხისმგებლო ადამიანი, ზოგჯერ არადისციპლინირებული, უხეში.

გ.თ.